

საღვთისეპტემბერ-სამეცნიერო

შ რ ტ მ ა მ ბ ი

VII

**თ ბ ი ლ ი ს ი
2016**

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

**THEOLOGICAL-SCIENTIFIC
W O R K S
VII**

**TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY
PUBLISHING HOUSE
Tbilisi
2016**

თბილისის სასულიერო აკადემია

საზოგადოებრივ-სამეცნიერო

მ რ მ ა მ ბ ი

VII

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის
გამომცემლობა

თბილისი
2016

UDC (უაკ) 27-1
ს - 333

რედაქტორი: **ედიშერ ჭელიძე**
ფილოლოგისა და თეოლოგის დოქტორი

Editor: Edisher Chelidze
Doctor of Philology and Theology

რეცეზნისტი: **ანა ჭუბარიძე**
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

Reviewer: Anna Chumburidze
Doctor of Philology

მინარესი

ნიმუში სავანები

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

- ათონის ივერთა მონასტერი – ქართლის სულიერი
მეწინამძღვრე ----- 9

ბიბლის ეგზეგეტიკა

ირაკლი ორჟონია

- საეკლესიო ეგზეგეზისი წმინდა წერილის სიტყვებისა: „არა
იხილოს კაცმან პირი ჩემი და ცხონდეს“ ----- 23

პატრისტიკა

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

- ორასეული ღმრთისმეტყუელებისათვს (პირველი ასეული) (ტექსტი
ხელნაწერ A 39-ის მიხედვით გამოსაცემად მთამშადა დეკანოზია
ირაკლი ახალიძემ, წინათქმა, სქოლითები და ბერძნული ტექსტი
დაურთო ედიშერ ჭელიძემ) ----- 58

ლიტერატურა

დეკანზი ბიძინა გუნია

- კითხვა-მიგებანი ლიტურგიკულ საკითხებზე ----- 135

კომილეტიკა

ლელა ხაჩიძე

- წმ. გრიგოლ ნოსელის ქადაგება სტეფანე პირველმოწამის შესახებ
და მისი სტეფანე სანანოვსკისეული თარგმანი ----- 166

დოკატია

დავით ბრეგვაძე

- წმინდა ლეონ დიდის «ტომოსის» ძველი ქართული თარგმანი---215

კოლექტური დათისმატყვალება

ედიშერ ჭელიძე

- როგორი კაცობრივი სხეული მიიღო მაცხოვარმა – ადამის დაცემამდელი (ცოდვამდელი) თუ დაცემის (ცოდვის) შემდგომი? ----- 272
- დანართი I: დამატებითი წყაროები მაცხოვრის კაცობრივი სხეულის თვისობრივ ნიშნეულობათა შესახებ ----- 356
- დანართი II: წმ. მაქსიმე აღმსარებლის სწავლიება მაცხოვრის კაცობრივი ბუნების კნებულებითი თვისების შესახებ ----- 391

სამართლებრივი უზრუნველყოფა

მღვდელი იოსებ გელუკაშვილი

- წმ. ეფრემ მცირის ერთი უცნობი კოლოფონის შესახებ ----- 395

სამართლებრივი კაორდინაცია

კახა შჩერბაკოვი

- წმინდა გიორგის 10 ნოემბრის (ას. სტ. 23) დღესასწაულის სახელწოდებისა და ისტორიისათვის ----- 398

ლიტერატურული დათისმატყვალება

მღვდელი ლონგინოზ სუარიშვილი

- ევქარისტიული ცოლილებანი ლათინთა და სომეხთა ეკლესიებში ----- 485

C o n t e n t s

HOLY DWELLINGS

Protopresbyter Giorgi Zviadadze

- The Monastery of Iviron on Mount Athos – Spiritual Leader of Kartli ----- 9

THE EXEGESIS OF THE BIBLE

Irakli Orjonia

- The Ecclesiastical Exegesis of the words of the Holy Scripture: «There shall no man see me, and live» ----- 23

PATRISTICS

St. Maximus the Confessor

- Two Hundred Chapters (First Century) ----- 58

LITURGICS

Archpriest Bidzina Gunia

- For Definition of Several Liturgical Topics ----- 135

HOMILETICS

Lela Khachidze

- Homily of St. Gregory of Nyssa on St. Stephen the Protomartyr and its Georgian Translation by Stephen Sananoisdze-Chkondideli ----- 166

DOGMATICS

Davit Bregvadze

- The **Tomos** of st. Leo the Great and its ancient Georgian Translation ----- 215

POLEMICAL THEOLOGY

Edisher Chelidze

- What kind of Body was assumed by the Saviour – The body of Adam before the Fall (before the Sin) or after the fall (after the Sin)? ----- 272
- Appendix I: Additional Souces concerning the Essential Features of the Savior's Human Body ----- 356
- Appendix II: The Teaching of st. Maximus the Confessor concerning the Pasible Feature of the Savior's Human Nature ----- 391

ECCLESIASTICAL PHILOLOGY

Priest Ioseb Gelukashvili

- Concernong the unknown colophon of st. Ephrem Mtsire - 395

ECCLESIASTICAL HEORTOLOGY

Kakha Shcherbakovi

- On the Title and History of the Feast Day of St. George on November 10 (23 November on New Style) ----- 398

LITURGICAL THEOLOGY

Priest Longinoz Suarishvili

- Eucharistic Errors in the Latin and Armenian Churches - 485



კახა შჩერბაკოვი

**წმინდა გიორგის 10 ნოემბრის (ახ. სტ. 23)
დღესასწაულის სახელწოდებისა და ისტორიისათვის**

10 ნოემბრის გიორგობა V-X საუკუნეების ქართულ
ლიტურგიკულ და პაგიოგრაფიულ ძეგლებში

პირველი ლიტურგიკული კრებული, რომელშიც დაფიქ-
სირებულია წმ. გიორგის დღესასწაულები, ესაა „იერუსალიმის
ღექციონარის“ სახელით ცნობილი IV-V სა-ის ტიპიკონი¹.

10 ნოემბრის ხსენება ხსენებული „ღექციონარის“ ქართულ
რედაქციაში, კერძოდ კალა-ლატალის ნუსხებში, ასეა აღნიშნული:

„ქსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისად“².

ამრიგად, ნათელია, რომ აღნიშნული დღე უკავშირდება არა
წამებას, არამედ ტაძრის სატფურებას ანუ კურთხევა-განახლებას.

¹ К. Кекелидзе, Иерусалимский Канонаръ VII века (грузинская версия), Тифлис 1912, аგრეთვე ბ. უტიე, ქ. ქექელიძე და ქართული ღექციონარის საკითხები. შრავალთავი X, თბ. 1983, გვ. 28. აგრეთვე ქართული ღექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწილი I, ტექსტი გამოსაცემად მთამზადეს ქ. დანელიამ, სტ. ჩხერიძემა, და ბ. შავიშვილმა. თბ. 1987, გვ. 463.

² К. Кекелидзе, Иерусалимский Канонаръ, с. 142.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ციტირებული ტექსტი, როგორც მივუთითეთ, ეკუთვნის „იერუსალიმის ლექციონარის“ იმ ნუსხებს (კალა-ლატალი), რომლებიც კ. კეკელიძემ 1912 წელს გამოსცა. თითქმის იგივე ტექსტია «ლექციონარის» პარიზულ ნუსხაშიც:

„ენბიგონეს დაბასა, სატფური ეკლესიისად და ჭენებად წმიდისა გიორგისი“¹.

დაბა „ენბიგონის“ დამატება მცირედ განასხვავებს კალა-ლატალის „ლექციონარებსა“ და პარიზულ ნუსხას ერთმანეთისაგან.

წმ. გიორგის ამ დღესასწაულს ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ. მან იერუსალიმის „ლექციონარის“ ტექსტს დაურთო კომენტარები. 87-ე კომენტარი ეძღვნება 10 ნოემბერს. ესაა მცირე ზომის გამოკვლევა აღნიშნული დღესასწაულის შესახებ².

კ. კეკელიძემ წმიდა გიორგის ცხოვრებიდან ერთი ფაქტის ამოღება (ბორბალზე წამება), მისი დღესასწაულად ქცევა და 10 ნოემბერს აღნიშვნა არადამაჯერებლად მიიჩნია, რადგან ამით იკარგებოდა „ძველი ივერიის“ ის „ნორმები და განცდები“, რომლითაც იგი დაახლოებული იყო პალესტინა-იერუსალიმთან³.

მკვლევარი, ასევე, შეეხო ტიმოთე გაბაშვილის ცნობას 10 ნოემბრის დღესასწაულის დადგენის შესახებ, რაც ასეთი სახისაა:

1 M.Tarchnishvili, Scriptores Iberici, Tome 13, Le Grand Lectionnaire (V-VIII s.) de L., Eglise de Jerusalem, Tome II, Louvain, 1960, გვ. 61. ქ. თარხნიშვილის მითითებით, პირველად ქართული ლექციონარი უნდა შედგენილიყო V საუკუნეში. კ. კეკელიმის მოსაზრება ბერძნული დედნისა და მისი ქართული მოღელის შექმნის პერიოდის შესახებ არ ეთანხმება მ. თარხნიშვილის შეხედულებას. ამ საკითხს შეეხო ბ. უტიე, რომელმაც გამოაყონა ქართული ლექციონარების ოცნებები მეტი ხელნაწერის ფრაგმენტი. ბ. უტიე წერს: „სხვადასხვა ავტორი ქართულ კანონს სხვადასხვანაირად ათარიღებს. კ. კეკელიმე ფიქრობდა, რომ ბერძნული მოღელი ქართული კანონისა შექმნილია 634 და 644 წლებში, ქართული თარგმანი კი არა უგვიანეს 750 წლისა. მ. თარხნიშვილის ამით, ქართული კანონის პირველი ფენა V საუკუნეს ეკუთვნის. ჭეშმარიგი ნათქვამია. მართლაც, ამ ლიტურგიკულ წიგნში მრავალი ფენაა. ყველას ერთი თარიღი არ ჰიუდგება“. ის. მრავალთავი, X, გვ. 32.

2 კეკელიძე, c. 282-286.

3 კეკელიძე, c. 284.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„...მაშინ ახოვანი გიორგი ბეჭედსა თუსსა მისცემს პარგიკარტოს და ეტყვის, ვითარმედ: ვიცი, რამეთუ დიოკლეტიანეს ეგულვების წამებად და სიკვდილი ჩემი, ხოლო შენ ბეჭედი ესე განავაჭრე და გვამი ჩემი წარიღე და დამარხე ლუდიად. და იქმნა ესრეთ. და თითოსახეთა და სატანჯველთა შემდგომად თავი წარკვეთეს და წმიდა იგი გვამი მისი მოიღო და დამარხე პარგიკარტოს ლუდიას ნოემბერსა გ(3) და კვალად სწორსაცა მისსაცა, ილორს მონასტერსა წმიდისა გიორგისასა, სასწაულთა მათვის, რომელნი იქმნებიან წლითი-წლად“.

ამ ადგილის გვერდით აშიაზე ავტორისავე ხელით მინაწერია:

„რამეთუ კაცთა ვიქთმე უმეცართა დღესასწაულისათვის წმიდისა გიორგისი სწორზე სასწაულთაცა ჩვენება უარყვეს, რამეთუ ნამეტნავი დღესასწაული არს—ო“.

D ხელნაწერში ტიმოთეს დამატებით მიუწერია:

„და კვალად ნოემბერსა ი(10) დააკრეს ურმის-თვალსა წმიდა მოწამე გიორგი“¹.

ძველქართულად მოიპოვება წმინდა გიორგის „ცხოვრება—მარტვილობის“ ოთხი ვრცელი რედაქცია. უძველესია X ს—ის ხელნაწერი, რომლის ავტორია, თხზულებისავე მიხედვით, წმ. გიორგის მოწაფე და მისი საქმეების მხილველი ბასიქარტოსი. მეორე რედაქცია XI-XII სს—ის ხელნაწერებითა მოღწეული. მისი ავტორიც იგივეა (პასიკარტოსი), რაც ცხადყოფს, რომ ორივე ქართული თარგმანი რედაქციულად ერთი წარმომავლობისაა და ეკუთვნის სხვადასხვა მთარგმნელს. მესამე რედაქცია სათაურშივე გვამცნობს, რომ იგი ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს და თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ 990 წელს. მეოთხე რედაქცია XII-XIII საუკუნეებშია თარგმნილი, სავარაუდოდ, გელათურ სკოლაში და სხვაობს ზემორე რედაქციებისაგან. ამათ გარდა, არსებობს, ასევე, „სვინაქსარული“ მოკლე რედაქცია, რომელიც შედის წმ. გიორგი მთაწმინდელის „დიდ სვინაქსარში“. ესეც განსხვავებული ვერსიაა (აქ იხსენიება წმ. გიორგის შშობლები - გერონტიოსი და პოლიტრონია).

¹ ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, თბ. 1977, გვ. 70-71.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომენტის დღესასწაული

ჩამოთვლილი ოთხი ვრცელი „მარტვილობიდან“ ოთხივე ერთხმად მიუთითებს, რომ წმ. გიორგი აღსრულა 23 აპრილს¹,

¹ ე. გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი ძეველ ქართულ მწერლობაში, თბ. 1991, გვ. 73, 159, 178, 199. წმ. გიორგის „ცხოვრების“ უძველეს რედაქციად მიჩნეულია ვენის პალიმფსესტი, რომელიც V საუკუნით თარიღდება. დ. დეტლეფსენმა გაშიფრა იგი და 1858 წელს გამოსცა ამ ხელნაწერის ფრაგმენტები (ლ. კვირიკაშვილი, ბიჭანტიური და ქართული პიმნოგრაფიის საკითხები, საგალოობლები გიორგი მთავარმოწამეზე, საკანონიდატო დისერტაცია, თბ. 1970, გვ. 67). ა. კირპიჩინიკოვმა (ნაშრომში - წმ. გიორგი და მამაცი ეგორი) წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ შესწავლის შემდგომ გამოყო რედაქცია: A-კანონიკური ტექსტი, B-აპოკლიფი, C-აპოკლიფის განსხვავებული ტიპი, ცნიბილი უმეტესად სლავური ხელნაწერების მიხედვით. ა. კირპიჩინიკოვის მიხედვით, წმ. გიორგის კანონიკური „ცხოვრების“ წყაროს წარმოადგენს B ანუ აპოკლიფული რედაქცია, სადაც „დაღიანე“ აწამებს წმინდანს (კვირიკაშვილი, გვ. 67-68). კირპიჩინიკოვის შემდგომ წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ შესწავლა განახორციელა ა. ვესელოვანი. მან თეორიულად დასაშეგნად მიიჩნაა უძველეს რედაქციად კირპიჩინიკოვის მიერ B ლიტერით აღნიშნული აპოკლიფული „ცხოვრება“, მაგრამ მაინც ივარაუდა X-რედაქციის არსებობა, რომელიც წმ. გიორგის წამებას უკავშირებდა დაოკლეტიანეს ეპოქას და მასთან ერთად ასახელებდა ადგილობრივ ხელისუფალს - დადიანეს, ხოლო A და B რედაქციის სხვადასხვაგვარ (თავისებურ) განვითარებას წარმოადგენდა X-რედაქციისას. მევლევარმა დიდი ყურადღება დაუთმო C-რედაქციის ტექსტს, რომელშიც გვხვდება თხრობა წმინდანის შუბლებზე და წამების ადგილის ლოკალიზაციად დასახელებულია დიოსპოლისი ანუ ლილია. წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ საფუძვლიანი გამოქვლევა ექითვნის აგრეთვე ფრაგმენტის გეცნივის - ი. დელევის. მისი ნაშრომის - „ბერძნული ლეგენდები წმ. მეომართა შესახებ“ მესამე თავი ეხება წმ. გიორგის საკითხს. აღნიშნულმა მეცნიერმა უარი თქვა კანონიკური და აპოკლიფული „ცხოვრების“ რედაქციის გამოყოფაზე. მისი აზრით, წმ. გიორგის ცხოვრების პირველი რედაქცია არის ის ტექსტი, რომელიც დ. დეტლეფსენმა აღმოაჩინა ანუ მეცნიერების მის დათინურ თარგმანს, რომელსაც ახლავს მინაწერი. ამ მინაწერის მიხედვით წმ. გიორგის წამებანი აღუნუსხავს მის მსახურს - პასიკატეს. დელევის მითითებით

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მაგრამ არსადაა ნახსენები მოწამის ურმის-თვალზე დაკვრის თარიღი. ამასთან, შევნიშნავთ, რომ ცნობა წმინდა გიორგის სხეულის გადასვენების თაობაზე პალესტინაში დაცულია მხოლოდ წამების მე-4 რედაქციაში:

„აწ უკუე შემდგომად ჩემისა განსლებისა, უბადრუკისა ამის სხეულისა ჩემისა აღმდებელი ანდერძით ჩემითურთ, რომელი ვყავ პირველ შეპყრიბისა ჩემისა, უფლისა წარმმართებელითა შენითა, პალესტინედ სახიდ მკვიდრობისა ჩემისა აღვედ“¹.

ეს უწყება სხვაობს ტიმოთე გაბაშვილისული უწყებისგან, სადაც „ბეჭდის გაყიდვაა“ ნახსენები.

ტიმოთე გაბაშვილს შეშლია წმ. გიორგის იმ მოწაფის სახელი, რომელმაც წაასვენა მისი სხეული პალესტინაში. თავდა-

„ცხოვრების“ მეორე ვერსიას წარმოადგენს ვატიკანის 916 წლის ხელნაწერი (N 166, ფ. 278-288), ასებობს ამ რედაქციის რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი. ფრანგი მეცნიერის დაკვირვებით დიოკლეტიანე შეუე ჩნდება უძველესი ლეგენდის გადამუშავების შემდგომ, მანამდე კი წმ. გიორგის მწამებლად სახელდებულია სპარსეთის შეუე დადიანე და სხვა 78 მეფე (კვირიკაშვილი, გვ. 70.). დღემდე და მნიშვნელობას ინარჩუნებს ცნობილი გერმანელი მეცნიერის, კ. კრუმბახერის ნაშრომი - „წმ. გიორგი ბერძნულ გაღმოცემაში“. მან, დღემის მსგავსად, უარი თქვა აპოკრიფული აქტების გამოყოფაზე, რადგან ე. წ. „აპოკრიფული“ ტექსტები სხვადასხვა დროის ფენებს შეიცავენ. კრუმბახერმა წმ. გიორგის „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტების სამი ტიპი დააღინა: „დადიანეს“, „დიოკლეტიანეს ძველი“, და „დიოკლიტიანეს ახალი“. კრუმბახერის მიერ განხორციელებული პუბლიკაცია შეიცავს 14 ბერძნულ ტექსტებს, აქედან 11 მანამდე გამოუცემელი იყო (კვირიკაშვილი, 72-73.). ა. ერპარდი აღნიშნავს, რომ რომანი მელოდის „კონტაკიონები“ წმ. გიორგიზე, ვენის პალიმფსისტთან ერთად, წარმოადგენს იმის დასაბუთებას, რომ არსებობდა წმ. მოწამის „ცხოვრებათა“ რედაქციების მრავალრიცხვანი ნაკადი (კვირიკაშვილი, გვ. 73.). გვინდა აღნიშნოთ, რომ წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ რედაქციების კვლევისათვის, სხვა თარგმანებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართულ ვერსიებსაც, ისინი ბევრი რამით უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდებიან კიდეც.

1 გაბიძაშვილი, გვ. 195

კახა შეკრპაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

პირველად იგი ახსენებს ღვლიკერის, შემდგომ შლის და ზემოდან აწერს პარვიკარტოსს, იგივე სურათია D ხელნაწერშიც, ხოლო C-ში გაუსწორებელი დარჩენია¹. ჩასწორების მიზეზი მარტივია, ღვლიკერი (ლორაკლეოზი, ღლუკერი, ღულვიკერიოზი, ღვლვიკერი) არის ის პირი, ვისაც წმ. გიორგიმ ხარი გაუცოცხლა და ვინც აღიარა, სასწაულიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი ღმერთი, რის გამოც დიოკლეტიანემ უმაღვე სასტიკი წამებით მოაკვლევინა, ხოლო პარვიკარტოსი კი ისაა, ვინც თავიდანვე იცნობდა მოწამეს და შემდგომ აღწერა მისი მარტივილობა. ამასთან, D ხელნაწერში, როგორც ითქვა, ტიმოთე გაბაშვილს მიუწერია „კვალად ნოემბერისა ი(10) დააკრეს უძმის-თვალსა წმ. მოწამე გიორგი“. ხელნაწერთა ჩასწორებები გვავარაუდებინებს, რომ ტიმოთე გაბაშვილი ხელმძღვანელობდა არა წერილობითი წყაროთი, არამედ ზეპირი გადმოცემით.

ვფიქრობთ, საინტერესოა ის გარემოება, თუ რა აკავშირებდა წმინდანს პალესტინასთან და რატომ სურდა მას თავისი ნაწამები სხეულის იქ გადასვენება:

„...პალესტინეს უკუე, დედულეთსა დაბასა წმიდისა გიორგისასა, სადა-იგი სხენან ყოვლადწმიდანი ნაწილნი მისნი სახელსა მისსა ზედა აღშენებულსა ტაძარსა“².

ამ უწყებიდან ჩანს, რომ წმინდა გიორგის დედულეთი პალესტინის დაბა ლიდიაა, რადგან ადგილი, სადაც მისი წმინდა ნაწილები განისვენებს და სადაც მისი ტაძარია, არის სწორედ დაბა ლიდია. ამასევ მოწმობს სხვა უწყებები:

„...ხოლო იყო მამულით კაბადუკისახ, აღზრდით პალესტინისახ...“³.

¹ მეტრეველი, გვ. 71.

² გაბიძაშვილი, გვ. 86.

³ წამებად და შესხმად წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისი, აღწერილი სკმეონ ლოთლოთეტისა შიერ, რომელი იყითხვების საბერძნეთისა უმრავლესთა ექვლესიათა შინა, რამეთუ სიღრმისათვს იჯუმევენ ამას, გაბიძაშვილი, გვ. 61. საგულისხმოა, რომ წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ ხუთი რედაქციიდან მხოლოდ სეიმურ ლოთლოთეტისეული რედაქცია განაწესებს მის სსენებას: „თუესა ნოემბერსა ი და აპრილსა

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„...შთამომავალი უკუე კაბადუკიელთა სოფლით, ...რომელ არღა დამწყებელი წუერგამობისად ობოლ იქმნა მამისაგან, ...ხოლო დედითურთ აღდგომილი კაპადუკით პალესტინადვე გარდაემკუდრდა მიერ მყოფობისაკვს დედისა მისისა“¹.

„...ხოლო კაცობრივ ქუეყანად მისი მამული იყო ჩუენი ესე ქუეყანად კაპადუკიისად, ...რომელი აღმოეცენა აქა და აღორძნდა ქუეყანასა პალესტინისასა...“².

„...და მთავარმოწამე გიორგი, რომელიც იმყოფებოდა უამსა მას პალესტინესა შინა ქალაქსა ობლად დაშთომილი ქრისტიანეთა მორწმუნეთა შეილი, ...კომსალ დადგინებულ იყო მისვე მძღავრისა მის მეფისაგან...“³.

„პალესტინედ სახედ მკვიდრობისა ჩემისა აღვედ...“⁴ (ეს თვით წმინდანის სიტყვებია).

როგორც უკვე ითქვა, კ. კეკელიძე შეეხო ტიმოთე გაბაშვილის ცნობას იმის თაობაზე, რომ 10 ნოემბერი დადგენილი იყო ილორის მონასტრის სასწაულის გამო, მაგრამ ილორის ტაძარი XI საუკუნეში აიგო, ხოლო «იერუსალიმური ლექციონარი», რაც კ. კეკელიძის აზრით VII-VIII საუკუნისაა (გ. ჭელიძე აღნიშნული ძეგლის ქართულ თარგმანს IX ს-ის 20-იანი წლებით ათარიღებს)⁵

კმ „როგორც ჩანს, აღნიშნული „ცხოვრების“ მთარგმნელი, წმ. ექვთიმე ათონელი, 10 ნოემბრის დამატებით ქართულ ტრადიციას უსვამს ხაშს, რადგან წმ. გიორგი ათონელის მიხედვით, 10 ნოემბრის გიორგობას „ბერძენი არა დიად დღესასწაულობრივინ“.“

1 წამებად წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი, გაბიძაშვილი, გვ. 180.

2 შესხმად წმიდისა და დიღებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა წმიდამან ბასილი დღესა მას ღუაწლისა მისისასა, გაბიძაშვილი, გვ. 223-224.

3 ამბობის ნეკრესელის ქადაგება, გაბიძაშვილი, გვ. 273-274.

4 გაბიძაშვილი, გვ. 195.

5 მევლევარი მიიჩნევს, რომ «საბაწმიდისა განგება», რაც წმ. გრიგორ ხანცთელის, მისივე თხოვნის ბასუხად, საბაწმინდან გამოუგზავნეს, სწორედ «იერუსალიმური ლექციონარი», ხოლო კინაიდან ამ მოვლენას

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

და რაც V-VIII საუკუნეების იერუსალიმურ-პალესტინურ წეს-განგებას ასახავს, იქ კი, როგორც უკვე მივუთითებდით, ასეთი ტექსტია:

„კენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისად“ (კალა-ლატალის ხელნაწერები), „ენბიგონეს დაბასა, სატფური ეკლესიისად და კენებად წმიდისა გიორგისი“ (პარიზული ხელნაწერი).

შესაბამისად, ტიმოთე გაბაშვილის ზემორე ცნობა საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან იმის გამო, რომ ეს დღესასწაული იღორის ტაძრის აგებამდე ბევრად აღრეა განწესებული, თანაც უკავშირდება სატფურებას და არა სასწაულს ანდა წამებას.

ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილის უწყებით, 3 ნოემბერი არის პარვიკარტოსის მიერ წმ. გიორგის სხეულის გადასვენებისა და პალესტინაში დაკრძალვის დღე, ხოლო მისი სწორი 10 ნოემბერი იღორის ტაძრის დღესასწაული და ურმის-თვალზე დაკვრის ხსენება.

ვფიქრობთ, 10 ნოემბრის ყველაზე მართებულ ლიტურგიკულ აქსნას გვთავაზობს კ. კეკელიძე:

„ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს 3 ნოემბრის განახლების დღესასწაულის განტევებასთან, რომელიც უდავოდ გრძელდებოდა ჩვა დღე (ე. ი. სწორის ჩათვლით, კ. შ.). ლიდიის ტაძრის განახლება თავისი მნიშვნელობით უთანაბრდებოდა აღდგომის ტაძრის განახლებას (კურთხევას, კ. შ.), რომელიც 13 სექტემბერს აღინიშნებოდა და რომელი დღესასწაულიც გრძელდებოდა, სილვია აკვიტანელისა და ასევე გამოცემული ძეგლის თანახმად, (გულისხმობს ლექციონარს, კ. შ.) რვა დღე. ის რომ 3 ნოემბრის „განახლება“ ისეთივე დიდ დღესასწაულად იყო მიჩნეული, როგორც 13 სექტემბრის „განახლება“, მტკიცდება შემდეგი

აღილი ჰქონდა IX ს-ის 20-იან წლებში (აშოთ კურობალატის მევლელობის [826 წ.] ახლო ხანებში), შესაბამისად, კ. ჭელიძის დასკვნით, თარგმანი შესრულებულია IX ს-ის I მეთახდში. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ძეგლები თარგმანი, გამოსაცემად მოაშადა და სქოლითები დაურთო კ. ჭელიძემ, I, თბილისი, 2008, გვ. 765-807 [ქვემოთ შემოქმებით: ძველი ქართული...].

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

გარემოებით: საქართველოში სექტემბრის თვეს „ენკენის“ დღესასწაულის გამო „ენკენბის თვე“ ეწოდება. სწორედ ასევე ნოემბერს წმიდა გიორგის ტაძრის ენკენის გამო ეწოდება „გიორგობის თვე“¹.

წმინდა გიორგის ხსენებულ დღესასწაულს ვხვდებით ორ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში. პირველია „კოსტანტი კახის მარტვილობა“, სადაც ანონიმი ავტორი სამგზის ახსენებს 10 ნოემბერის დღესასწაულს:

„და ვითარცა-ესე მე აღგიარებ წინაშე უსჯულოდსა ამის მეფისა, შენცა, სახიერო უფალო, აღმიარე მე წინაშე ანგელოზთა შენთა და ვითარცა დღეინდელსა ამას დღესა შინა აღიდე ღირსი შენი მოწამე წმიდა გიორგი და შეიწირენ შილმანი მისნი და დათხევად უბიწოდსა სისხლისა მისისად, შეიწირენ უნდობცა ესე სისხლი ჩემნი და მომეც მე ნაწილი მის თანა, რამთა წილ მხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამთუ სამკუდრებელი შენი მტკაცე არს ჩემდა“.

„წარავლინა მან ერთი წინაშე-მდგომელთაგანი უცხოთესლი და მან მოჰკუთა თავი მისი მახულითა, პარასკევსა ი(10) ნოემბერსა“.

„ხოლო აღესრულა იგი (კოსტანტი კახი) კეთილითა აღსარებითა თთუესა ნოემბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისასა, რომლისაცა თანაზიარ იქმნა, დღე იყო პარასკევი“² („პარასკევ დღეს“ შემთხვევით არ ახსენებს ჰაგიოგრაფი, რაღაც წმ. გიორგის „მარტვილობათა“ ორი ძველი რედაქცია გვაუწყებს, რომ მას თავი მოჰკეთეს სწორედ „პარასკევ“ დღეს)³.

პირველი ციტატა წარმოადგენს წმ. კოსტანტი კახის წინასამარტვილო ლოცვას. ეჭვგარეშეა, რომ ამ უწყებაში, სადაც

1 კეკელიძე, ც. 286.

2 ცხორებადად და წამებად წმიდისა მოწამისა კოსტანტინე ქართველისად, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჭაფარის მიერ, ბევრი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V-XII), თბ. 1989, გვ. 170.

3 გაბიძაშვილი, გვ. 73, 159.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მოწამის ლოცვაა წარმოდგენილი, 10 ნოემბერი უკავშირდება უშუალოდ წმ. გიორგის მარტვილობას (ე. ი. აღსასრულს), მესამე ციტატში კი 10 ნოემბერი უკვე დღესასწაულადაა მოხსენიებული. გამომდინარე პირველი ციტატიდან, აქაც წმ. გიორგის მოწამეობრივი აღსასრული იგულისხმება.

მეორე ძეგლი, სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზეა საუბარი, არის „ცხორებად გრიგოლ ხანცოლისად“. გიორგი მერჩულე გვაუწყებს:

„...გიორგიწმიდობისა თთუტ რად დადგეს, შარხუად წუელითა ვიდრე გიორგიწმიდობამდე“¹.

აღნიშნული ცნობა მრავალმხრივ საინტერესოა. გარდა იმისა, რომ აქ იხსენიება გიორგობა, როგორც „გიორგიწმიდობად“, საყურადღებოა, რომ თვით თვეც ასეა წოდებული.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ჰაგიოგრაფის უწყება იმის შესახებ, რომ „გიორგიწმიდობის თვის“ ანუ ნოემბრის დადგომიდან იწყება მარხვა „წუელით“ ანუ რძის ნაწარმით, რაც გრძელდება ვიდრე „გიორგიწმიდობამდე“ ე. ი. 10 ნოემბრამდე. აქ იბადება სამი კითხვა:

პირველი კითხვა:

რომელი ტიპიკონიდან არის აღებული ზემოხსენებული მარხვა, – საბაწმიდურიდან თუ კონსტანტინოპოლურიდან?

წმ. გრიგოლ ხანცოლის „ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულე, როგორც ცნობილია, საგანგებოდ საუბრობს ბერ-მონაზვნური წეს-განგებების შესახებ:

„ხოლო მამად გრიგოლ გულსა-ეტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათხოებითა უზეშთაეს არიან უამისა ამის მონაზონთადსა, ეგრეცა წეს არს წესი საღმრთოდ საეკლესიოდ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“. ... ამისთვის განიზრახა წარსკვლად ქრისტის საჭურჭლედ, მეორედ იერუსალემშიდ რომელ არს კოსტანტინეპოლისი და ყოველთა საჩინთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას უამსა იერუსალემს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თუსი და მას

¹ ძეგლი ქართული, გვ. 530.

კახა შეკრპაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

დაპვედრია საბაწმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემად და ქმათა თქითა კაცნი მოძღვარნი უჩინნა და შშუდობად მათ და აღუთქუა კუალად აღრე მოსლვად“¹.

იმ დრომდე, ვიდრე წმ. გრიგოლი გაემართებოდა კონსტანტინოპოლისკენ და საბერძნეთის სხვა „საჩინო“ ე. ი. გამოჩენილი მონასტრებისაკენ (მათ შორის, უპირველესად, უნდა ვიგულისხმოთ სტუდიელთა ცნობილი მონასტერი, რომლის წეს-განგებაც საბერძნეთში ყველაზე სახელგანთქმული იყო იმ დროისთვის)², ვიდრე წმინდა მამას მოართმევდნენ „საბაწმიდის“ ტიბიკონს, მანამდე ხანცთის უდაბნო მოქმედებდა საკუთრივ გრიგოლისეული განწესებებით, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს ადგილობრივად შემუშავებულ ტრადიციასაც.

¹ მეეღლი ქართული ..., გვ. 524.

² როგორც შენიშვნულია, გრიგოლი პირადად უნდა შეხვედროდა წმ. თეოდორე სტუდიელს. ე. შეეღლიდე მიუთითებს: „მან [გრიგოლმა] პირადად იმოგზაურა კონსტანტინოპოლში და მოიხილა ელადის ანუ კონტინენტური საბერძნეთის ყველა სიწმინდე. როგორც ვვარადუდობდით, ის შეიძლება პირადად შეხვდა და უეჭველად შეხვდებოდა სახელგანთქმულ წმ. თეოდორე სტუდიელს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი. როდესაც გრიგოლ ხანძთელი მოდის კონსტანტინოპოლიდან და საქართველოში შემოდის მაშინ აღესრულება თეოდორე სტუდიელი (826 წელს), მაგრამ საბერძნეთში გრიგოლის ყოფნისას ის ცოცხალი იყო და კონსტანტინოპოლის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე, ცხადია, არ დარჩებოდა იგნორინებული გრიგოლ ხანძთელის მიერ, რომელიც სწორედ კონსტანტინოპოლში წავიდა და სწორედ იმ კონსტანტინოპოლურისისწმინდეების სრული გაცნობისა და შესწავლა-აღქმის მიზანდასახულობა ჰქონდა. ის სტუდიის მონასტერის, რომელიც ლიღერი, წინამდღვარი იყო მაშინდელი საეკლესიო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა კონსტანტინოპოლში, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა. ამიტომ სრულიად ლოგიკური გვეჩვენება ვთქვათ, რომ იგი პირადადაც შეხვდებოდა წმ. თეოდორე სტუდიელს და მრავალ სხვას“, http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=587 3A2016-04-07-16-59-48&catid=54+3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka..

კახა შეკრძალვის: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„და თანაწარიყვანნა საბა, დედის დისწული თუსი, და ერთი ვინმე სხუად მოწაფე და წარემართა საპერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლისს, და თაყვანის-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალ-მოსწავლე-ყოფილ ქელითა კეთილადმსახურებისადთა. და რომელიმე სახილავი მოძღუარ იხ. კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათუს. და ესრეთ მოვიდეს ხანცთად, მონასტრიად თუსა. მაშინ იერუსალტმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმიდისა განგებად დაწერილი. ... ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას უაშსა განაწესა წესი თუსისა ეკლესიისად და მონასტრისად, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული ვითარცა საფასტ დაულევნელთა კეთილთაა“¹.

აღნიშნული უწყების შემდგომ, გიორგი მერჩულე მოკლედ საუბრობს ხანცთის უდაბნოს იმ ტიპიკონზე, რომელიც წმ. გრიგოლმა დაამკვიდრა საკუთარ მონასტერში. ტიპიკონი ეფუძნებოდა საბაწმიდურ განგებას, „საჩინოთა საპერძნეთისა წმიდათა ადგილთა“ და საკუთრივ წმ. გრიგოლისეულ განწესებებს, რომლებიც აღნიშნულ წეს-განგებათა დამკვიდრებამდე არსებობდა ხანცთაში. ამასთან, როგორც ჩანს, ხანცთაში არსებობდა ადგილობრივი ასკეტური კანონები, რომელთა მიხედვითაც თავდაპირველად იმართებოდა მონასტერი და რომლებიც შემდგომშიც პპოვებდა გაგრძელებას. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას? ერთი მხრივ ის, რომ ყოველთვის, ყველა მონასტერში, არსებობდა ადგილობრივი ტრადიციები, მონაზონური წესები, რომლებიც განსხვავდებოდა სხვა მონასტრების ჩვეულებისა და ტრადიციისაგან. აღმოსავლეთში საბაწმიდის მონასტრის წეს-განგება იყო წამყვანი, დასავლეთში - სტუდიელთა მონასტერი, განსაკუთრებით კი IX საუკუნეში. ამათ გარდა, რა თქმა უნდა, იმავე აღმოსავლეთსა და დასავლეთში არსებობდა უამრავი მონასტერი, რომელნიც ძირითადად საბაწმიდისა

¹ ძველი ქართული ..., გვ. 526, 528.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

და სტუდიელთა ლავრების გავლენას განიცდიდა, თუმცა მათ ასევე მრავლად ჰქონდათ საკუთრივ ადგილობრივი ჩვეულებანი, ასკეტური წესები და ტრადიციები. საკმარისი იქნება მივუთითოთ აღმოსავლეთის ისეთი ცნობილ მონასტრებზე, როგორიც იყო: წმ. ექვთიმე დიდის, წმ. ხარიტონ აღმსარებლის, ქოზიბას, წმ. თევდოსი დიდის, სპონდიონთა, წმ. გერასიმე იორდანელისა და სხვათა სამოლვაწეო კერები. ყველა მათგანს მოეპოვებოდა დროთა განმავლობაში დამკვიდრებული შიდა სამონასტრო განგებანი. ამის კარგი მაგალითია იოანე-ზოსიმეს კალენდარი, რომელიც ოთხი დედნისგან ე. ი. ოთხი სხვადასხვა ტრადიციის ამსახველი წერილობითი ძეგლისგან არის შემუშავებული.

გიორგი მერჩულე საუბრობს იმ ადგილობრივ ასკეტურ წესებზე, რომლებიც მონაზვნური მოსაგრეობის დასაწყისში განწესებული ჰქონდა წმ. გრიგოლ ხანცოელს. ამ წესებს, როგორც ჩანს, გარკვეული რეგულაციები მიეცა მას შემდეგ, რაც წმ. გრიგოლმა მოიხილა საბერძნეთის მონასტრები და შეისწავლა საბაწმიდური განგება.

აი, რას წერს გიორგი მერჩულე ხანცოელი მამების ადგილობრივ და თავდაპირველ ასკეტურ წესებზე:

„არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუქნისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწავეთა მისთამ“ (შდრ. პარალელური ახალქართული თარგმანი: „თუმცა ჩვენი ნეტარი მამის გრიგოლის მოღვაწეობის პირველ დღეებში მისი მოწავეებისათვის მეტად მეტაციი კანონი იყო“.)¹, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოვა სარწყული წყლისათვს, ხოლო სხუად ნუგეშინისაცემელი ვორცთად არად აქუნდა საჭამადისად და სასუმადისად ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებად მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდის ღვანოსა ყოლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ ივუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა და არცა ღამე სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებად და დღისი წიგნისკითხვად და

¹ ძველი ქართული, გვ. 532-533.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

ლოცვად მარადის, ვითარცა იტყვს დავით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობად მისი და ღამე გალობად მისი“. ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიღნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალბანითა უმგბრითა, ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა პური, ნაკლულევანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი, ღვნოდ კულა სიყრმიდანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყის“¹.

ნათელია, რომ წმ. გრიგოლ ხანცოთელსა და მის მოწაფეებს მოღვაწეობის დასაბამში ადგილობრივი, უაღრესად მკაცრი ასკეტური ცხოვრების წესი ჰქონდათ.

დავუბრუნდეთ უშუალოდ პირველ კითხვას:

რომელი ტიპიკონიდან აღებულ მარხვაზეა საუბარი „წმ. გრიგოლ ხანცოთელის ცხოვრებაში“?

ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული მარხვა არ უნდა იყოს „საჩინთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა“ ტრადიცია. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მარხვა დავაკავშიროთ წმ. საბა განწმენდილის მონასტერთან, იმ მიზეზით, რომ ეს მონასტერი პალესტინის რეგიონში მდებარეობს, რომელიც ახლოსაა ქალაქ ლუდიასთან, სადაც განისვენებს დიდმოწამე გიორგის წმინდა ნაწილები. შესაძლოა, პალესტინაში წმ. გიორგის დიდი თაყვანისცემის გამო, ეარსება მისი დღესასწაულისადმი მიძღვნილ მარხვას, რაც ჩვეულებად ექნებოდა საბაწმიდის მონასტერს, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და შესაძლოა სიმართლესთან ყველაზე ახლოს მაშინ ვიყოთ, თუ ამ მარხვას დავაკავშირებთ თავად ხანცოთის მონასტრის ტრადიციასთან.

მეორე კითხვა:

რის გამოა აღნიშნული მარხვა დაწესებული, და რას ეძღვნება იგი, ანუ ეძღვნება თუ არა ეს მარხვა წმინდა გიორგის დღესასწაულს?

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ისაა, რომ მარხვა, დიდი ალბათობით, დაწესებულ იქნა გიორგობის დღესასწაულის გამო

¹ ძველი ქართული ..., გვ. 532.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

უშუალოდ ტაო-კლარჯეთში და ეს მხოლოდ ადგილობრივი ტიპიკონის შემადგენელი ნაწილი იყო. მარხვის წმ. გიორგისადმი მიძღვნის ალბათაობას გვავარაუდებინებს სამი გარემოება:

პირველი ის, რომ საუბარია ნოემბრის თვის „გიორგიწმიდობის“ სახელწოდებით მოხსენიებაზე. გიორგი მერჩულე ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ხაზს უსვამს საკუთრივ ქართულ ტრადიციას, ერთი მხრივ, იმით, რომ ნოემბრს „გიორგიწმიდობის თვედ“ იხსენიებს, მეორე მხრივ კი, იმით, რომ იქვე „გიორგიწმიდობის“ დღესასწაულაც უთითებს.

ქართულ ტრადიციაზე ხაზგასმა ჩანს იმაშიც, რომ ზემორე უწყების შემდეგ პაიოგრაფი ისევ ეხება ნოემბრის თვეს, მაგრამ უკვე აღარ მოხსენებს მას „გიორგიწმიდობის თვედ“, რადგან რასაც ამჯერად ამბობს, არ უკავშირდება უშუალოდ ქართულ წესს. სწორედ ამიტომ, აღარ სჭირდება მას ნოემბრის თვის „გიორგიწმიდობის“ სახელწოდებით მოხსენიება:

„ხოლო ნოემბრისა თოჯსა დაღეგითგან ყოველთა შაბათთა ცისკრად ვიღრე პირმარხვადმდე კანონი ოთხი, და დაღთა მარხუათა ვიღრე ბზობამდე ყოველსა კანონი ოთხი, ეგრეთვე წიგნისკითხვად ოთხი“¹.

დამოწმებული ციტატები დასაწყის ნაწილში ძალიან ჰგავს ერთმანეთს:

„გიორგიწმიდობისა თუედ რად დაღეს“.

„ხოლო ნოემბრისა თოჯსა დაღეგითგან“.

ორივე ეს ცნობა არსებითად ერთი სიტყვათშეწყობით არის მოცემული, მაგრამ აშკარაა ავტორის მიზანი პირველ და მეორე შემთხვევაში.

მეორე გარემოება:

მარხვა გრძელდებოდა „ვიღრე გიორგიწმიდობამდე“ ე. ი. გიორგობას წყდებოდა, რადგან ის აღვსებას, ანუ დასასრულს აღწევდა გიორგობის დღესასწაულზე, მაგრამ რატომ უნდა დასრულებილიყო მარხვა გიორგობისთვის, თუკი ის არ ეძღვნებოდა წმინდა მოწამის დღესასწაულს?

მესამე გარემოება და, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი:

¹ ძველი ქართული ..., გვ. 532.

კახა შეკრპაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ ბერმა კუედიოსმა იხილა ჩვენება, არა თუ ძილში, არამედ ცხადად. ამ ჩვენებაში მას განეცხადა, რომ იქ, სადაც გიორგი მერჩულის დროს ხანცოის ეკლესია იდგა, წმ. გრიგოლ ხანცოელს უნდა აეგო ტაძარი:

„...ამან ნეტარმან (კუედიოსმა, კ. შ.) ჩუენებად იხილა არა ძილსა შინა, არამედ ცხადად, რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ ხანცოას წმიდად ეკლესიად შენ არს, ვითარმცა სახედ ეკლესიისა ნათლისა ღრუბელი გამოხატული დგა მყოვარუამ და სულნელებად დიდძალი გამოვიდოდა მიერ ღრუბლით. და ესმა ჭმად ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ: «აღეშენოს წმიდად ეკლესიად ადგილსა ამას წელითა გრიგოლ მღდელისა, კაცისა ღმრთისადთა, და სულნელებად ლოცვათა მისთად და მოწაფეთა მისთად, ვითარცა გეთილი საკუმეველი აღიწევლის წინაშე ღმრთისა». და ესე ჩუენებად ვითარცა იხილა, განიხარა დიდად ფრიად და მიელოდა უწყებულსა მას წმიდასა, რამეთუ ჩუეულებად აქუნდა ღმრთისამიერისა ხილვისად. ეგრეთვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებად და ადგილისა მის მოგებად მისა¹.

ამ თხრობას მოსდევს წმ გრიგოლის ლოცვა:

„ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოდ დაავაკა და ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა ესე ლოცვად ცრემლითა წართქუა:

„...შენ უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე, წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვიდრებელი, მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხითა, რამთა ღირს-ვიქმნე გლახაკი შენი სრულად აღშენებად ამისა სახელსა ზედა უძლეველისა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა, გიორგი ჯუარითმოქადულისა, ახოვანისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტივლთა და მოწამეთა, რომელთაცა წორცნი მახულითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოებად არა განიკუეთებოდა, ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმწნითა წმიდად

¹ ძველი ქართული ..., გვ. 494.

კახა შეკრპაჟოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

გიორგი და მრავლით უამითგან უშვიულოთაგან ზარგანებილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმწნეული, მხიარულებით რამ მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და ძლევითშემოსილი იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ამისთვისცა ანგელოზთა თანა წმიდათა განიხარეს მოწამეთა ნეტართა სრულებად ღუაწლთა მისთამ, რამეთუ მას მისცა ქრისტემან ძლევად ყოველთა მტერთად და აწ - ნაწილთა და სახელსა მისსა, და მეოხებად მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა მარადის და უკუნისამდე“.

... და ჯუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა და იწყეს შენებად. და ესრეთ განსულდა ძუელი იგი ეკლესიად ხანცითისად შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ღოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ჭორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისადთა და ყოველთა მართლმოწმუნეთადთა“¹.

აქ გადმოცემული ცნობები კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ განსახილველი მარხვა გიორგობის დღესასწაულისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხანცითის ეკლესიის აშენება საღვთო ხილვით იქნა ნაუწყები კუედიოსისადმი. შესაძლოა, ეკლესია დიდმოწამე გიორგის სახელზე აშენებაც საღვთო უწყებით გაეცხადა ღირს მამას. ფაქტი ისაა, რომ წმ. გრიგოლ ხანცელელმა ბერი კუედიოსისადმი ხილვით ნაუწყები ეკლესია სწორედ დიდმოწამე „ჯუარითმოქადულ“ გიორგის მიუძღვნა.

ამრიგად, ვინაიდან ხანცთა იყო წმ. გიორგის სახელობისა, შესაბამისად, მონასტრის დღესასწაულიც გიორგიწმიდობა იყო. შესაბამისად ბუნებრივად იძენს დამაჯერებლობას ზემოაღნიშნული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ხსენებული მარხვა სწორედ დიდმოწამე გიორგისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი.

რაც შეეხება მესამე კითხვას, თუ წმინდა გიორგის რომელ ხსენებას მიეძღვნა მარხვა – 3 თუ 10 ნოემბერს, ვთიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს 10 ნოემბერს, რადგან დაახლოებით

¹ ძველი ქართული ..., გვ. 514, 516.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

იმავე ეპოქის ძეგლი „კოსტანტი კახის მარტივილობა“ 10 ნოემბერს უკვე დღესასწაულს უწოდებს. ასევე 10 ნოემბრის „დიად“ და „პირველითგანვე“ დღესასწაულის რანგით ქართულ ტრადიციაში აღნიშვნაზე საუბრობს წმ. გიორგი მთაწმინდელი „სვინაქსარის“ ანდერძში, რასაც ქვემოთაც დავიმოწმებთ. ამათ გარდა, დღევანდელი ჩვეულება საქართველოში 10 ნოემბრის გიორგობის განსაკუთრებულად აღნიშვნისა სწორედ ამ უძველეს ტრადიციას მოწმობს, რაც ჯერ პალესტინაში იყო, იქიდან იმემკვიდრა ქართლის ეკლესიამ და თავის მხრივ, კიდევ უფრო მასშტაბური გახადა. ეს უკვე ფაქტია IX საუკუნეში, რასაც მოწმობს ნოემბრის „გიორგიწმიდობის თვის“ სახელწოდებით მოხსენიება.

ამრიგად, IX საუკუნეში 10 ნოემბრის გიორგობა უკვე იმდენად დიდი დღესასწაულია, რომ ერთი მხრივ, ნოემბერს გიორგობის თვე ეწოდება, მეორე მხრივ კი, დიდმოწამისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემის გამო, ტაო-კარჯეთის მონასტრებში დადგენილი ყოფილა ცხრადღიანი მარხვა „გიორგიწმიდობის“ დღესასწაულის კიდევ უფრო მეტი სიწმიდით შესახვედრად.

აღნიშნული მარხვის ქართულ წარმოშობას გვავარაუდებინებს ისიც, რომ საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა განსხვავებულია. ამის მაგალითია სწორედ 10 ნოემბრის დღესასწაული. წმ. გიორგი ათონელის ცნობით: „ბერძენი“ 10 ნოემბერს „არა დიად დღესასწაულობენ“, საპირისპიროდ ქართლის ეკლესიისა.

რაც შეეხბა აღნიშნული მარხვის შესაძლო კავშირს 3 ნოემბერთან, საღლეისოდ ამის დამადასტურებელი რაიმე მონაცემი არ არსებობს, თანაც გიორგი მერჩულის სიტყვები: „გიორგიწმიდობისა თუედ რად დადგის, მარხვად წუელითა ვიდრე გიორგიწმიდობამდე“¹ აღბათ უფრო ხანგრძლივ დროს უნდა გულისხმობს (პირველი ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე), ვიდრე ორდღიან პერიოდს (1-2 ნოემბერი).

¹ „გიორგიწმიდობას“ ასევე 10 ნოემბრის დღესასწაულად მიიჩნევს ე, ჭერიძე (იხ. 84-ე სეილით, ძევლი ქართული ..., გვ. 764).

კახა შექმნაული: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

რა ვითარებაა ამ მხრივ ძველ პიმნოგრაფიულ კრებულებში? «ახალი აიდგარებიდან», როგორც ცნობილია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია X ს-ის I ნახევრის Sin.1, რომლის საწელიწდო ნაწილში ვხვდებით მითითებას როგორც 3, ისე 10 ნოემბერის გიორგობაზე. პირველი მათგანის შესახებ აღნიშნულია:

„თუესა ნოემბერსა გ - სატფური ღუდისა წმიდისა გიორგის ეკლესიასა“ (შეიცავს „ღალადყავის“ ღასძებლებს, საცისკო კანონს და „აქებდითსას“ ღასძებლებს¹).

10 ნოემბერთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„ნოემბერსა ი, წმიდისა გიორგისი“ (შეიცავს საკითხაე მასალას, მსგავსად 3 ნოემბრისა, თუმცა მათი შინაარსი განსხვავებულია²).“

იგივე ვითარებაა მცირედით გვიანდელ Sin. 65-ში:

„თუესა ნოემბერსა გ - სატფური ღუდისა წმიდისა გიორგის ეკლესიისად“. საკითხავები Sin. 1 „იადგარის“ იდენტურია³.

„ნოემბერსა ი - წმიდისა გიორგისი“. საკითხავები Sin. 1 „იადგარის“ მსგავსია⁴.

მიქაელ მოღრეკილის ნევმირებული „იადგარი“ დიდი „იადგარების“ განსაკუთრებული ტიპისაა. მასში მიქაელის მიერ შემოკრებილია ქართველ პიმნოგრაფთა (ითანე მტბევარის, ითანე მინჩხის, მიქაელ მოღრეკილის, სტეფანე სანანაოჩსძე-ჭუთნდიდელის, ეგრის, ითანე ქონქოშისძის, კურდანარს) საგალობლებიც. მიქაელის „მესურ იადგარში“ 3 ნოემბერს განწესებულია „ღუდის ეკლესიისა სატფური და ხსენებად ღვაწლითშემოსილისა გიორგისი“, 10 ნოემბერი კი ემთხვევა ხელნაწერების – Sin. 1 და Sin. 65 მონაცემს: „თუესა ნოემბერსა ი(10) წმიდისა მოწამისა გიორგისი“⁵.

1 გვ. 31.

2 გვ. 32.

3 გვ. 219.

4 გვ. 219. შევნიშნავთ, რომ დამოწმებული იადგარები, ცხადია, შეიცავენ 23 აპრილის გიორგობის ღღესასწაულსაც, რასაც ქვემოთ ვიმოწმებთ.

5 გვახარია, 301.

კახა შეკრპაჟოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

რაც შეეხება „უძველეს იადგარს“, აქ შესულია მხოლოდ 3 ნოემბერის ხსენება:

„თთუესა ნოემბერსა გ(3). წმიდისა გიორგისი“¹ (ჰიმნოგრაფიული მასალა შემთავარგლება მხოლოდ საზიარო ანუ ზოგადი მასალით).

„იადგარების“ შემდეგ, რომლებიც გარდა საგალობლებისა, კალენდარულ მონაცემებსაც შეიცავენ, უნდა განვიხილოთ უშუალოდ კალენდარი, კერძოდ – იოანე-ზოსიმესი, რომელსაც ეწოდება „კრება თთუეთა წელიწდისაა“. ავტორის უწყებით, კრებული შედგენილია ოთხი დედნისაგან:

„ესე კრებანი ოთხითა დედითა დამიწერიან: თავად კანონისამთა და საბერძნეთისამთა და იერუსალემისამთა და საბაწმიდისამთა“².

„საბერძნეთისა დედაა“ გულისხმობს „აია სოფიის“ დიდი ეკლესიის კალენდარს. „საბაწმიდისა დედაა“ წარმოადგენს იმ წესებსა და კალენდარულ მონაცემებს, რომელნიც საბა განწმენდილის ლავრაში მოქმედებდა (საბაწმიდის წეს-განვება ყოველთვის წარმოადგენდა აღმოსავლეთის ბერმონაზენობისთვის უმთავარ ტიპიკონურ განაწესს). „იერუსალემისა დედაა“ გულისხმობს იმ წესებს, რომლებიც მოქმედებდა იერუსალიმსა და მის მიდამოებში მდებარე მონასტრებში. ესენია: ექვთიმე დიდის, თევდოსი დიდის, გერასიმე იორდანელის, ხარიტონისა და სპონდიონთა მონასტრები. ყველა ეს ლავრა, რა თქმა უნდა, განიცდიდა საბაწმიდის მონასტრის გავლენას, მაგრამ მათ ჰქონდათ საკუთარი ტრადიციებიც, განსაკუთრებით კი „სპონდიონთა“

¹ ე. შეტრეველი, ც, ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარი, თბ. 1980, გვ. 318.

² G. Garitte, Le Calendrier Palestino-Géorgien, Du Sinaiticus 34 (X Siècle), BRUXELLES, 1958, p. 114. ითანა-ზოსიმეს „კალენდარი“ პირველად დაბეჭდა ივ. ჭავახიშვილმა „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“, თბ. 1947, გვ. 200-226. მეორე გამოცემა განახორციელა კ. კეპელიძემ: „ტფლისის უნივერსიტეტის შრომები“, XXXIX, თბ. 1950, გვ. 23-62. აღნიშნული ძეგლი კ. კეპელიძემ 1957 წელს, გამოკვლეულისათან ერთად, ხელმეორედ გამოაქვეყნა ეტიუდების V ტომში, გვ. 242-281. ბოლო პუბლიკაცია გარიცს ექვთიმის.

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მონასტერს. რაც შეეხება „კანონს“, რომელიც მთავარ დედნად აქვს აღებული იოანე-ზოსიმეს, ეს არის „იერუსალიმის ლექციონარი“, რომელიც მიღებული იყო მაცხოვრის საფლავზე და უმთავრესად გამოიყენებოდა საპატრიარქო ღვთისმსახურებისათვის. თუმცა იოანე-ზოსიმე არ გვისახელებს, მაგრამ ის ასევე ითვალისწინებს საკუთრივ ქართულ პეორტოლიგიურ მასალასაც, რადგან გვხვდება სპეციფიკურად ქართული სხენებები: წმ. ნინოსი, წმ. აბო თბილელისა, წმ. არჩილ მეფისა, წმ. მამამისი, მცხეთის ჯვრისა, მანგლისის ჯვრისა¹.

როგორც ვხედავთ, იოანე ქართველის კალენდარი მრავლის-მომცველი ძეგლია, სადაც ასახულია სხვადასხვა წეს-განგება, მათ შორის კონსტანტინოპოლიტიკი.

დასახელებულ კრებულში 3 ნოემბერი უცვლელად უკავშირდება სატფურებას:

„გიორგიწმიდისა ეკლესიასა სატფური ღუდას, რამლასა შინა ღუდას“².

აშერაა, რომ იოანე-ზოსიმეს დროს „ღიდია“ ქალაქ „რამლას“ შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამას მიანიშნებს სიტყვები: „....ღუდას, რამლასა შინა ღუდას“. 3 ნოემბრის ბსენების სახელწოდება შეიძლება ასე გავიაზროთ: „წმინდა გიორგის ეკლესიის სატფურება ღიდიაში, რომელიც რამლაშია“.

3 ნოემბერზე დართულ კომენტარში უ. გარიტი მიუთითებს:

„რამლა არის არაბული ქალაქის სახელი, რომელიც VIII საუკუნის დასაწყისში დაარსდა „ღიდიას“ გვერდით, რომელმაც მოიცვა იგი. ბერი ბერნარდი მას უწოდებს რამულას“³.

სამი ნოემბრის მსგავსად, 10 ნოემბერიც ტაძრის კურთხევას ეძღვნება:

„ენბიგლონს დაბასა, ხსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისად“⁴.

¹ ქ. ქველიძე, ეტიუდები მეელი ქართული ღიტერატურის ისტორიაზე, ტ. V, თბ. 1957, გვ. 242-250.

² Garitte, p. 102.

³ Ibid. p. 375.

⁴ Ibid. p. 103.

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

დაბა „ენბიგლონის“ მოხსენიება ამ მონაცემს განასხვავებს როგორც „ლექციონარისგან“, ასევე „იადგარებისაგან“. იგი ზემოთ ჩამოთვლილი მონასტრებიდან ერთ-ერთის კუთვნილება უნდა იყოს, ტაძრის კურთხევა კი უეჭველად ლუდის ტაძრის სატფურებას გულისხმობს, რომელიც, როგორც ითქვა, პირველად „ლექციონარში“ დაფიქსირდა. დაბა ენბიგლონის შესახებ ჟ. გარიტი წერს, რომ მისი ლოკალიზება ვერ ხერხდება¹.

ცნობილია, რომ იოანე-ზოსიმე განსხვავებულ ლიტურგიკულ მონაცემებს, ჩვეულებრივ, გამარტებებს ურთავს (მათგან ერთ-ერთს ქვემოთაც ვეხებით), მაგრამ ასეთ განმარტებას ვერ ვხვდებით 10 ნოემბერთან დაკავშირებით, რისი მიზეზიც, ვფიქრობთ, უნდა იყოს შემდეგი:

პალესტინა-იერუსალიმის ტიპიკონის მოქმედების პერიოდში 10 ნოემბერი უკვე ტაძრის კურთხევის დღე იყო და არა ბორბალზე დაკვრისა და წამებისა, ამიტომაა, რომ არცერთ ლიტურგიკული დანიშნულების კრებულში არსად არაა ნახსენები წმ. გიორგის წამება ამ დღის აღსანიშნავად.

იოანე-ზოსიმეს „კალენდარში“ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება:

მაისის თვის მასალას ახლავს ავტორის შენიშვნა:

„ესე თთუე არს ვარდობისად მაისი, და მაისსა კე არს წამებად წმიდისა გიორგისი და დღესასწაულობად არს დიდი საბერძნეთს, ხოლო თქუენ რად გინებთ, ყავთ და ლოცვა ყავთ ჩემთვს, ამენ“².

ამრიგად, იკვეთება წმინდა გიორგის კიდევ ერთი ხსენება, რომელსაც, იოანე-ზოსიმეს შენიშვნის მიხედვით, საბერძნეთში დიდი დღესასწაულის სახე ჰქონია. აქ, რა თქმა უნდა, „აია სოფიის“ კალენდარი იგულისხმება, მაგრამ წმ. გიორგის „ცხოვრებაში“, თვით მეტაფრასისულშიც კი, რაც იკითხებოდა კონსტანტინოპოლურ ღვთისმსახურებაში, არაა ნახსენები წმინდა გიორგის წამება მაისის თვეში, თუმცა აშკარაა, რომ ეს დღესასწაული ოდესალაც არსებობდა.

¹ Garitte, p. 342, 380,

² ქ. ქვემოთ, ეტიუდები, ტ. V, გვ. 264. ასევე Garitte, p. 64-65.

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც წმ. გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა „დიდი სვინაქსარი“, მასში 25 მაისის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს, რისი მიზეზიც ისაა, რომ ხსენებული დღესასწაული წმ. გიორგი მთაწმინდელის დროს უკვე აღარ აღინიშნებოდა. ჟ. გარიტის მიხედვით, ეს დღე არც „სვინაქსარის“ ბერძნული ნუსხებისთვისაა ცნობილი¹. შენიშვნა 25 მაისის გიორგობის შესახებ იოანე-ზოსიმეს მითითებული აქვს „იადგარის“ B ნუსხაშიც, 7 მაისის ჯვრის გამოჩინების საგალობლების ბოლოს:

„მებუთე თთუედ ვარდობისად მაისი და მაისსა კე(25) წმიდისა გიორგისი წამებად, ღოცვა ყავთ, ამენ“².

პირველი დამოწმების მსგავსია Sin. 34 -ში (196 r) მოცემული შენიშვნა იოანე-ზოსიმესი 25 მაისს საბერძნეთში წმ. გიორგის დღესასწაულის აღნიშვნის თაობაზე, თუმცა ნიუანსური სხვაობა შესამჩნევია:

„თუმ ვარდობისად თთუე მაისი არს და მაისსა კე-სა ყოფილ არს წამებად წმიდისა გიორგისი და დღესასწაულები არს დიდი საბერძნეთს, ღოცვა-ყავთ“³.

დასახელებულ კალენდარში 23 აპრილიც ტაძრის კურთხევის დღეა და იხსენიება შემდეგი სახით:

„კგ. გიორგიწმიდისა სატფური“⁴.

ამას მოსდევს იდეოგრამა – წრე, რომელშიც გერტიკალური ხაზი ზის. ეს იდეოგრამა, ავტორისავე მითითებით, ლამისთევის მსახურების აღმნიშვნელია.

აღნიშნული დღე, თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან გაურკვევლობას იწვევს:

რატომაა ის სატფურება და არა წამება, მაშინ როცა 23 აპრილი წმინდა გიორგის თავისკვეთაა ყველა წყაროსა და მასალის მიხედვით. სავარაუდოა, რომ სახელწოდება უნდა ეკუთვნოდეს არა კონსტანტინოპოლის და ქრისტეს საფლავის განგებას, არამედ

¹ Garitte, p. 233.

² უძველესი იადგარი, გვ. 727.

³ ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, სინური კოლექცია I, გვ. 127.

⁴ Garitte, p. 62.

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

საბაწმიდის ან რომელიმე სხვა პალესტინური ლავრის ტრადიციას. ჟ. გარიტი ამ თარიღის კომენტარში წერს:

„...23 აპრილი არის წამების ტრადიციული თარიღი. მხოლოდ ჩვენს კალენდარშია მითითება, რომ დღესასწაულის საგანი არის სატფურება. წმ. გიორგის ბაზილიკის კურთხევა ლიდიაში აღინიშნებოდა 3 ნოემბერს. თუ აღნიშნული სატფურების მოხსენიება ჩვენს კალენდარში ზუსტია, მაშინ ის უნდა დავაკავშიროთ წმ. გიორგის სხვა ეკლესიასთან, რომელზეც მიუთითებს პარიზის ლექციონარი ტოპონიმით – „ფლობია“. ბუნებრივია, რომ წმ. გიორგის ტაძრის „ინაუგურაციისათვის“ (inaugurer) 23 აპრილს აირჩივდნენ. ჸ. გუსენის მიხედვით, ფლობია უნდა იყოს Flavia Néapolis ან Naplouse, რაც საეჭვოა¹.

ჸ. გარიტის ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო საკითხი. გამოდის, რომ 23 აპრილს შესრულდა წმ. გიორგის ერთი რომელიმე ტაძრის „სატფურება“, ხოლო ტაძრის კურთხევა კი დაამთხვიეს მოწამის მარტვილობის თარიღს – 23 აპრილს. ეს ტაძარი, გარიტისავე ვარაუდით, უნდა იყოს „პარიზის ლექციონარში“ მოხსენიებული „ფლობიის“ წმ. გიორგის ტაძარი:

„თთუესა აპრილსა კგ: ფლობიას, ქსენებად წმიდისა გიორგისი“².

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს ასე სინამდვილეში. საკითხს ართულებს ისიც, რომ იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“ ახსენებს არა „ფლობიას“, არამედ მხოლოდ „გიორგიწმიდას“. ამას გარდა, „ლექციონარის“ პარიზული ნუსხა 23 აპრილის თარიღზე არ ახსენებს „სატფურებას“. იქ მხოლოდ „ქსენებაა“ აღნიშნული:

„ქსენებად წმიდისა გიორგისი“.

თავის მხრივ, ტერმინი „სატფური“ გულისხმობს როგორც ეკლესიის კურთხევის ლიტურგიკულ აქტს, ასევე იმ წმინდანის სსენებასაც, ვის სახელზეც ტაძარია ნაკურთხი. რაც შეეხება „ქსენებას“, ის თავის თავში არ გულისხმობს „სატფურებას“. შესაძლოა, ჸ. გარიტის ვარაუდი სწორია, მაგრამ იოანე-ზოსიმეს

¹ Garitte, p. 206.

² Tarchnishvili, Lexionare, Tome II, 1960, p. 3.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„კალენდრისა“ და „ლექციონარის“ პარიზული ნუსხის მონაცემები 23 აპრილის თარიღთან დაკავშირებით ერთმანეთს გამორიცხავს. ამას გარდა, იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“ და „ლექციონარის“ პარიზული ნუსხა ხშირ შემთხვევაში ტოპონიმებს ერთნაირად აღნიშნავს, აქ კი საქმე სხვაგვარადაა. ვთიქრობთ, „პარიზული ლექციონარი“ 23 აპრილს წმ. გიორგის წამების დღედ რაცხს. რაც შეეხება „გიორგიწმიდას“ – ასეთი სახელწოდებით იოანე ქართველის „კალენდარში“ მოხსენიებულია წმ. გიორგის ორი ტაძარი: პირველი – ლიდის ტაძარი – 3 ნოემბერს: „გიორგიწმიდას სატფური ლუდას, რამლასა შინა ლუდას“ და მეორე – 23 ნოემბერს: „გიორგიწმიდას, დავითის გოდოლსა გარეგან სატფური“¹.

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მ. ლისიცინის ცნობა². მეცნიერი საუბრობს „ლიგანიობის“ უძველეს ტრადიციაზე ბიზანტიაში, რაც დაკავშირებული იყო ტაძრის სატფურებებთან. პატმოსის ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ბერძნული ხელნაწერის მიხედვით ავტორი იმოწმებს 24 აპრილის სენებას:

„ენკენია წმიდისა გიორგისი, კიბარისიაში“.

რთულია თქმა იმისა, არის თუ არა პატმოსის ბიბლიოთეკის ხელნაწერის ეს მონაცემი რაიმე კავშირში იოანე-ზოსიმეს კალენდართან. როგორც ხსენებული მკვლევარი მიუთითებს, ენკენიათა ხსენებანი „აია სოფიის“ წესისა. დამოწმებული ორი მონაცემი ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე წმინდა გიორგის ტაძრის ენკენიას ანუ სატფურებას (კურთხევას, განახლებას) განაწესებს, ორივე აპრილის თვეშია, ხოლო სხვაობს ერთი დღით (23 – იოანე-ზოსიმე, 24 – პატმოსის ხელნაწერი). მ. ლისიცინის მიხედვით, ხსენება აღესრულება „კიბარისიაში“. აღნიშნული გვაფირებინებს, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდრის ეს ხსენება „აია სოფიის დიდი ეკლესიის“ ტრადიცია უნდა იყოს, რაც მოულოდნელი არაა, რადგან იოანე-ზოსიმე თავად უთითებს «საბერძნეთისა დედაზე».

¹ Garitte, p. 105.

² Прот. М. Лисицын, Первоначальный славяно-русский Типикон, Санкт-Петербург, 1911, с. 107,

კახა შეკრპაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

იოანე-ზოსიმეს კალენდარი, სხვა კრებულებთან მიმართებაში, კიდევ ერთ თავისებურებას ავლენს. აქ დაცული წმინდა გიორგის სსენებებიდან ორის – 23 აპრილის და 3 ნოემბრის მეორე დღეც ამავე წმინდანის სსენებაა, სხვა წმინდანებთან ერთად. მაგ, 23 აპრილისა და 3 ნოემბერის მომდევნო დღეს (ანუ 24-ში და 4-ში) მითითებულია: „გიორგისივე“¹.

დღესასწაულთა ორი, სამი და ერთკვირიანი აღნიშვნის შესახებ იოანე-ზოსიმე გვამცნობს „კალენდარზე“ დართულ მეორე შენიშვნაში:

„ხოლო არს დღესასწაული, რომელსა ბ-სა და გ დღესა ზედამს-ზედა პატივსცემენ იერუსალიმს და საბაწმიდას და მსგებსითაცა, ხოლო თქუენ, ვითა გინებთ, ყავთ. ლოცვა ყავთ ჩუენთვს, ამენ².“

იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“ 24 აპრილსაც წმ. გიორგის სსენებად აცხადებს: „გიორგისივე“.

ასევეა Sin. 1-შიც: „აპრილსა კდ, გიორგისივე“³.

იგივე ვითარებაა Sin. 64-ში: „აპრილსა კდ, გიორგისივე“⁴.

Sin. 14-ში 23 აპრილის დღესასწაული, წმ. გიორგის „ცხოვრებათა“ მსგავსად, წამებასთან არის დაკავშირებული:

„თუესა აპრილსა კგ, წამებად წმიდისა გიორგისი“⁵.

Sin. 64-ში 23 აპრილის თარიღზე განწესებულია:

„აპრილსა კგ, წმიდისა გიორგისი“⁶.

Sin. 26-ში კი მითითებულია:

„აპრილსა კგ, გიორგისი“⁷.

„ჭილ-ეტრატის იადგარი“, 10 ნოემბრისაგან განსხვავებით, იცნობს 23 აპრილის გიორგობას და განაჩინებს:

¹ Garitte, p. 62, 102.

² Ibid. p. 114.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, თბილისი, 1978, გვ. 24.

⁴ იქვე გვ. 202.

⁵ იქვე გვ. 48.

⁶ იქვე გვ. 201.

⁷ იქვე გვ. 80.

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„თუ ესა აპილსა კი, გეორგი წმიდისად“¹,
თუმცა საკითხავი მასალა საზიაროა.

10 ნოემბრის დღესასწაულის ისტორია, რაც მან განვლო პალესტინა-იერუსალიმის ღვთისმსახურებაში, მოწმობს იმას, რომ მისი სახელწოდება გულისხმობს ლილის ფაძრის ენკენის დღეს, ან როგორც კ. კეკელიძე განმარტავს, ენკენის წარგზავნის მსახურებას, რომლის საზეიმო განწყობაც არ ჩამოუვარდებოდა თავად კურთხევის დღეს. მთავარი ორიენტირი კეთდება, რა თქმა უნდა, „იერუსალიმის ღერძიონარზე“ – კრებულზე, რომელმაც პირველმა შემოგვინახა ეს ხსენება.

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ გარკვეული სხვაობა ღერძიონარებსა, იოანე-ზოსიმეს „კალენდარსა“ და „იადგარებს“ შორის. იადგარული მონაცემი 10 ნოემბრის გიორგობაზე არ ახსენებს ფაძრის სატყურებას, მარტოოდენ მიუთითებს წმ. გიორგის ხსენებას, მაშინ როცა „კოსტანტი კახის ცხოვრება“ ხსენებულ 10 ნოემბერს სწორედ წმ. გიორგის აღსასრულს ანუ მარტვილობას უკავშირებს, „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მერჩულე კი ამ დღესასწაულს „გიორგიწმიდობას“ უწოდებს. იოანე-ზოსიმეს პალესტინურ-ქართული „კალენდარი“, რაც შედგენილია X საუკუნეში, მკაცრად იცავს და აგრძელებს ღერძიონარების ტრადიციას 10 ნოემბრის დღესასწაულის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ასეთია, მეათე საუკუნის ჩათვლით, ჩვენამდე მოღწეულ ლიტურგიკულ კრებულებში წმ. გიორგის დღესასწაულთა აღნიშვნის წესი. განხილული ძეგლებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას, ცხადია, იმსახურებს „იერუსალიმური ღერძიონარი“, რადგან ეს კრებული ყველაზე ახლოს დგას იმ დროსთან, როდესაც დაწესდა ზემოსხენებული დღესასწაულები. ამ ძეგლში პირველად აისახა დიდმოწამე გიორგის დღესასწაულთა სახელწოდებები, ისე როგორც მათ დასაბამში ეწოდა პალესტინელ-იერუსალიმელი მოღვაწეების მიერ.

**წმინდა გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული
წმ. გიორგი მთაწმინდელის სვინაქსარსა და თვენში**

X საუკუნის ბოლოდან, როგორც ცნობილია, ქართლის ეკლესიაში იერუსალიმური საღვთისმსახურო ტრადიცია შეიცვალა კონსტანტინოპოლურით. ამ ცვლილების სათავეში დგანან ათონელი მოღვაწეები. ითარგმნა „კონდაკი“ და „იაკობის ჟამისწირეა“ ჩაანაცვლა იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიებმა, ითარგმნა „მცირე სვინაქსარი“ წმ. ექვთიმე ათონელის მიერ, შემდეგ კი წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ – „დიდი სვინაქსარი“. „კურთხევანი“, მსგავსად „სვინაქსარისა“, თავდაპირველად გამოკრებილი სახით თარგმნა წმ. ექვთიმე ათონელმა, ხოლო წმ. გიორგი მთაწმინდელმა კი – იმჟამინდელი სისრულით, „იადგარები“ ჩაანაცვლა წმ. გიორგი მთაწმინდელისეულმა უნიკალურმა „თვენებმა“, „პარაკლიტონმა“ და „მარხვანმა“.

წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარში¹ პირველად აღინიშნა, რომ 10 ნოემბერი წმ. გიორგის ურმის-თვალზე წამების დღეა.

სვინაქსარში 10 ნოემბერის სსენებას ერთვის შემდეგი სათაური:
„და წმიდისა მოწამისა გიორგისი ურმის-თუალსა შესლვად, რაჟამს დაჲკრეს იგი ურმის-თუალსა“².

ისმის კითხვა, რა სახით შეეხო ტიპიკონური ცვლილებანი წმ. გიორგის სსენების დღეებს?

23 აპრილი დარჩა მთავარ სსენებად, რადგან ამ რიცხვში, „ცხოვრებათა“ უკლებლივ ყველა რედაქციის მიხედვით, თავი მოკვეთეს წმ. გიორგის.

¹ ნოემბრის გიორგობის დღესასწაულები, არ გვხვდება „კონსტანტინოპოლურ სვინაქსარში“. იხ. *Propylaeum Ad Acta Sancturum Novembris, Synaxarium Constantinopolitanum, Bruxellis, Mensis November, p. 190, 211-212.*

² კეკელიძე, ა. 284.

კახა შექმნაული: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

10 ნოემბერიც შენარჩუნებულია თავისი სიძველისა და განსაკუთრებული ზეიმურობის გამო, თუმცა ცვლილება შეეხო ამ დღის ლიტურგიკულ სახელწოდებას: ტაძრის „სატფურება“ ჩაანაცვლა „ბორბალზე დაკვრამ“. რაც შეეხება 3 ნოემბრის ხსენებას, იგი სვინაქსარულ ტიპიკონებში საერთოდ იყარგება. კერძოდ, „დიდ სვინაქსარში“ ეს დღე შეტანილი არაა.

დავუბრუნდეთ 10 ნოემბერს. ჩნდება კითხვა: საიდან დადგინდა, რომ სწორედ ამ დღეს აწამებინა დიოკლიტიანემ წმ. გიორგი? სადაა ასახული ეს ცნობა, რასაც დაეყრდნო წმ. გიორგი მთაწმინდელი? წმინდანის „ცხოვრება-მარტვილობებში“ ამაზე საუბარი არ გვაქვს (ყველგან აღნიშნულია მხოლოდ ფაქტი, რომ წმ. გიორგი ბორბალზე აწამეს).

შესაძლოა, წმ. გიორგი მთაწმინდელის წყარო 10 ნოემბრის შესახებ ზეპირი ტრადიციაც ყოფილიყო, რომელიც იმ დროისათვის იყო გავრცელებული კონსტანტინოპოლში ან ქართლის ეკლესიაში. ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, რადგან არაა გამყარებული ფაქტებით.

10 ნოემბრის ხსენებას წმ. გიორგი მთაწმინდელმა „სვინაქსარში“¹ დაურთო მცირე ზომის შენიშვნა:

¹ გვინდა დავიმოწმოთ აგრეთვე ჭვერის მონასტრის სვინაქსარის სააღაპე წიგნის კალენდარული მონაცემები წმ. გიორგის დღესასწაულებთან დაკავშირებით. ეს ძეგლი სააღაპე კალენდარულ აღრიცხვას იწყებს 6 სექტემბრით და შეიცავს წმ. გიორგის სამიერე სენიება-დღესასწაულის: თუმცა ნოემბერს გ(3): „ამასვე დღესა აღაპი გიორგი მეფისად შეუცვალებელი უკუნისამდე“ (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კლონის ისტორიისათვის, (XI-XVIII ს.), თბ. 1962, გვ. 83). ელ. მეტრეველი შესაბამის კომენტარებში მიუთითებს, რომ გიორგი მეფეში უნდა ვიტულისხმოთ ან გიორგი ბრწყინვალე ან გიორგი მცირე (1311-1313). სააღაპე ტაბულა თარიღდება XIII ს-ის დამლევითა და XIV ს-ის დამდეგით (მეტრეველი 1962, გვ. 132 და გვ. 129). 10 (ახ. სტ. 23) ნოემბრის გიორგობა სვინაქსარის აღაპებში ორჭვერ გეხვდება: 1. თუმცა ნოემბერს ი(10): „....გიორგისა დღესასწაოლისა წირვა და აღაპი საუკუნო...გერასიმესი გარდაიხდებოდის“ (მეტრეველი 1962, გვ. 84). თუმცა ნოემბერს ი(10): „....წმიდისა გიორგის დღესასწაულისა აღაპი...მარკოზეთ კრიაკესთვეს“

კახა შექმნაული: წმ. გიორგის 10 ნომბრის დღესასწაული

„წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენი წმიდისა გიორგისათვის არა დიად დღესასწაულობენ, არა რამ არს ყენებად, რამთა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრალ გუაჭას ჩუელებამ, ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ თავადი დღესასწაული წმიდისა გიორგისი აპრილსა კგ არს“¹.

ამ შენიშვნიდან კარგად ჩანს, რომ 10 ნოემბერი ბიზანტიაში არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ დღესასწაულს („არა დიად დღესასწაულობენ“). ამის საპირისპიროდ, ქართლის ეკლესია „პირველითგანვე“ ანუ დასაბამშივე განსაკუთრებულად აღნიშნავდა მთავარმოწამის ამ ხსენებას. აშკარაა, რომ ათონელი მოღვაწე თუმცა თვით ხსენებას სახელწოდებას უცვლის, მაგრამ უცვლელად ტოვებს სადღესასწაულო განწყობას, რაც ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო ქართლის ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

(მეტრეველი 1962, გვ. 84). ელ. მეტრეველის მითითებით, პირველი სააღაპე ტაბულა თარიღდება XIII ს-ის უგანასკნელი მეოთხედით, ხოლო მეორე ტაბულა კი – XIII ს-ის პირველი ნახევრით (მეტრეველი 1962, გვ. 133). რაც შეეხება 23 აპრილის (ახ. სტ. 6 მაისი) გიორგობას, აღნიშნული დღის კალენდარული განწევება სამგზისაა მითითებული: 1. თუესა აპრილის კგ(23): „ამასევე დღესა აღაპი გიორგი მოზღოდიანისად“ (მეტრეველი, 1962, 98). 2. თუესა აპრილის კგ (23), „...აღაპი და პანაშეიდი ერისთავთ ერისთავისა დადანისა გიორგისი არს..“ (მეტრეველი, 1962, 98). 3. თუესა აპრილის კგ (23): „...მეფეთ მეფისა გიორგისო...გაუჩინეთ საუკუნო აღაპი აპრილის კგ გიორგობად“ (მეტრეველი 1962, გვ. 98). პირველ სააღაპე ტაბულას ელ. მეტრეველი ათარიღებს XIII-ს-ის უგანასკნელი მეოთხედით (მეტრეველი 1962, გვ. 165), მეორე ტაბულაში ნახენები გიორგი დადანი არის გიორგი II, გარდაიცვალა 1384 წელს (მეტრეველი 1962, გვ. 165). რაც შეეხება მესამე სააღაპე ტაბულაში მოხსენიებულ გიორგი მეფეს, ესაა იმერთა მეფის აღმერქანდრეს ძე, გარდაიცვალა 1392 წელს (მეტრეველი 1962, გვ. 165).

1 წმ. გიორგი ათონელის სეინაქსარში დართულ შენიშვნას ვიმოწმებთ ხელნაწერთა ერთვნული ცენტრის თანამშრომლების – მანანა დოლაქიძისა და დალი ჩიტუნაშვილის მიერ გამოსაცემად მოშადებული და კრიტიკულად დაღვენილი ტექსტიდან, რაც ითვალისწინებს A 97, A 193, Ath 30, H-2211 ხელნაწერებს.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა შემდეგი გარემოება:

წმ. გიორგი ათონელი „სვინაქსარს“ ურთავს აღნიშნულ ანდერძს, რადგან სურს, რომ სიცხადე შეიტანოს წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაულთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, აქცენტს აკეთებს დღესასწაულის სახელწოდებასა და აღნიშვნის ტრადიციაზე. როგორც ჩანს, მის დროს უკვე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა ამ ხსენების შესახებ. ამიტომაც მან განიზრახა შენიშვნის დართვა, რითაც საბოლოოდ დაამკიდრა 10 ნოემბერი, როგორც დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების ხსენების დღე. ცხადია, მან კარგად იცოდა იერუსალიმურ ტრადიციაში აღნიშნული დღესასწაულის სახელწოდება. როგორც ჩანს, მის დროს ტაძრის სატფურების სახელწოდება უკვე ვეღარ ასახავდა წმ. გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას საქართველოში, ამიტომაც ეს დღე, ანუ 10 ნოემბერი, საჭიროებდა წამება-მარტვილობასთან დაკავშირებას. ამას გარდა, კონსტანტინოპოლიურ ტიპიკონებში ტაძართა სატფურებანი არ იყო ისეთი დიდი მნიშვნელობისა და რაოდენობის, რაც მათ პქონდათ იერუსალიმურ-პალესტინურ ტრადიციაში¹.

1 იერუსალიმის წმინდა ეკლესიების სატფურებათა შესახებ ერთ-ერთი უძველესი და ამასთან უკეთესი კრცელი ცნობა დაცულია მოგზაურ ეგვიპტისათან. რომელი ქალის – ეგვიპტის ფრაგმენტული წიგნის დაწერის თარიღად მიჩნეულია 381-384 წლები (ი. e. Dictionnaire encyclopédique du christianisme ancien, t. I, Paris, 1990, p. 873). „ეკლესიის სატფურების დღეებად იწოდება ის დღეები, როდესაც გოლგოთაშე აგებული წმინდა ეკლესია, რომელსაც იერუსალიმში უწოდებენ მარტინული ტიპიური თარიღის და მიეღონ და დამერთო. აგრეთვე იმავე დღეს იკურთხა და დმიტრის მიეღონ წმინდა ეკლესია სახელწოდებით ან ას ტიპიური თარიღის არა ეკლესიათა სატფურება აღინიშნება უდიდესი პატივით, ეინაიდან უფლის ჯვარი ნაპოვნი იქნა გუსტავ ამ დღეს. ეს უოველივე იყო წინასწარ განჩინებული, რათა წმინდა ეკლესიათა კურთხევა და ჯვრის აღმოჩენა ერთმანეთს დამთხვეობდა, რაც გახდებოდა გაერთიანებული ჯეიმის მიზეზი ამ თან დღესასწაულისა. ...ასე რომ, როდესაც სატფურების დღეები მოდის, რომლის ხანგრძლივობაც რეა დღეა, შეკრებას იწყებს ხალხი – არა მხოლოდ ბერები და განდეგილები

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„შენიშვნის“ დართვა ხელნაწერში, როგორც წესი, ემსახურება რაიმე საკითხში სიცხადის შეტანას, ან ახალი ინფორმაციის უწყებას. წმ. გიორგი მთაწმინდელის აღნიშნული შენიშვნაც ამ მიზნებს ემსახურება.

წმინდა მამას სურს, სიცხადე შეიტანოს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია წმ. მოწამე გიორგის მთავარი დღესასწაული. ამის დროსაც, ისევე როგორც დღეს, საქართველოში, როგორც ჩანს, უფრო საზეიმოდ აღნიშნებოდა 10 ნოემბრის დღესასწაული, რაც გარკვეულწილად მიუღებელია ათონელი მოღვაწისათვის. სწორედ

სხვადასხვა პროგინციიდან, მაგალითთან: მესოპოტამიიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან და ოებაიღიდან, სადაც ძალიან ბერი ბერი ცხოვრობს, არამედ ყველა სხვა აღგიღილიდან და პროგინციიდან – არავინ რჩება ისეთი, ვინც არ ჩამოვა ამგვარი დღესასწაულის ესოდენ ამაღლებული დღეებისათვის. მოწმუნე მამაკაცებიც და ქალებიც, აგრეთვე მღვდელმთავრები, აქეთ მომართებიან. როდესაც ეპისკოპოსთა რაოდენობა შედარებით მცირეა, მათი რიცხვი 40-50-ს მაინც აღწევს, მათ რიცხვს ემატება იმ სასულიერო პირთა რაოდენობა, რომლებიც მათ თან ახლავს. მეტი რაღა შეიძლება ითქვას? ის აღამიანი, ვინც არ დაგესწრებოდა ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე, ფიქრობდა, რომ ეს შეერაცხებოდა დიდ ცოდვად. ამ საცჯურებათა დღეებზე ტაძრები მორთულია ისე, როგორც აღდგომასა და ნათლისღებაზე. მსახურებები აღესრულება სხვადასხვა წმინდა აღგიღას, მსგავსად პასექისა და განცხადებისა. პირველი და მეორე დღის დღისმსახურება ტარდება დიდ ტაძარში, რომელსაც ეწოდება მარტინიუმი, მესამე დღე ელეონის (ზეთისხილის) მთა 8 ე. ეს არის მთა, საიდანაც უფალი ამაღლდა, ამ ტაძარში არის მღვიმე, სადაც მაცხოვარი ასწავლიდა თავის მოციქულებს“ (Egeria's Description of the Liturgical Year in Jerusalem: Translation, Based on the translation reproduced in Louis Duchesne's Christian Worship, London, 1923, XLVIII 2, XLIX 2, 3). უაღრესად მნიშვნელოვანია მე-5 ს-ის საექლესით ისტორიულის სოჭემენეს ცნობაც: „იერუსალიმის ეპლესია ბრწყინვალებ დღესასწაულობს ყოველ წელს განახლების დღესასწაულებს. ამ დროს აღესრულება ნათლობაც... ამ დღესასწაულზე მოემგზავრებიან მთელი გვისევე მეთიღან“ (იხ. K. კეკელიძე, იერუსალიმის კანონა, c. 18-19).

კახა შერბაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ამიტომ აღნიშნავს: „...ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ თავადი დღესასწაული წმიდისა გიორგისი აპრილსა კგ (23) არს“.

უდავოა, რომ ეს ცნობა გარკვეულ რეგულირებას ახდენს მთავარ დღესასწაულსა და წმინდანის მეორე ხსენებას შორის.

ამავე შენიშვნაში გვხვდება სიტყვები, რაც აგრეთვე მიანიშნებს 23 აპრილის უპირატესობაზე: „...რომელნი დღესასწაულობდეთ, განგებად ყოველი აპრილსა ოცდასაშვა მოიძიეთ“.

23 აპრილის უპირატესობას განაპირობებს ის, რომ სწორედ ამ რიცხვში აღესრულა წმ. გიორგი მოწამეობრივად, ხოლო 10 ნოემბერი „ბორბალზე დაკვრია“ ან „ტაძრის კურთხევაა“, რაც მარტვილობასთან და წმიდანის აღსასრულთან შედარებით ვერ ჩაითვლება მთავარ დღესასწაულად.

კ. კეკელიძე შეეხო კიდევ ერთ საკითხს ამ დღესასწაულთან დაკავშირებით. ესაა 10 ნოემბრის ხსენების მხოლოდ საქართველოში აღნიშვნის ტრადიცია. მეცნიერმა სწორად მიანიშნა, რომ ეს დღე არაა ქართველთა მიერ დადგენილი:

„გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ დამოწმებული ციტატიდან ამოიღეს სიტყვა დიად (განსაკუთრებით), ასე რომ მეთორმეტე საუკუნეში უკვე სხვაგვარად ფიქრობდნენ, „დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისათვის არა დღესასწაულობენ“. ამის შემდეგ საქართველოში გაერცელდა აზრი, რომ წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული ბერძნებმა არა თუ არ იყიან, არამედ არც არასოდეს იცოდნენ“.

ამის დასტურად მკვლევარი იმოწმებს XI საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერს¹.

ეს აზრი დღესაც საკმაოდაა გავრცელებული.

ამიტომ, ნათლად უნდა ითქვას, რომ 10 ნოემბრის დღესასნაული შემთხვევაში იმავე აზრი ითქვას და აქედან გადავიდა როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ ტრადიციაში (საერთოდ ყველგან). შესაბამისად, არ არის სწორი, თითქოს ათი ნოემბერი ორიგინალური ქართული ხსენება იყოს, თუმცა ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს

¹ Канонарь, с. 283.

კახა შექრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მართლაც უძველესი პალესტინურ-იერუსალიმური ტრადიციის
დღესასწაული განსაკუთრებული პატივით შემონახულია
სწორედ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად აუცილებლად
უნდა შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან ძეგლს, როგორიცაა „თთუენი“.
კარგადაც ცნობილი, თუ როგორი სისრულით თარგმნა ეს კრებული
წმ. გიორგი მთაწმინდელმა.

„თთუენის“ (ანუ «თვენის») თარგმნა წმინდა მამამ
„სვინაქსარის“ თარგმნის შემდეგ დაიწყო. როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, „სვინაქსარში“ არაა შეტანილი 3 ნოემბრის ხსენება
იმის გამო, რომ ის არც ბერძნულ დედნებშია დაფიქსირებული,
10 ნოემბერს კი, როგორც ვნახეთ, დართული აქვს განმარტებითი
ანდერძი. რა ვითარებაა ამ მხრივ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ
შედგენილ ნოემბრის „თთუენში“?

დავიწყოთ 3 ნოემბრის ხსენებით. ეს ხსენება, სვინაქსარისგან
განსხვავებით, «თვენში» ასახულია საკითხავ მასალასთან ერთად,
სახელწოდებით:

„წმიდისა გიორგისი და სატყურება და ადა უდია სწმიდისა ტაძრისა მისისად“¹.

ნათელია, რომ „თვენის“ კალენდარი ამ ხსენებასთან და-
კავშირებით შეესაბამება იოანე-ზოსიმეს „კალენდარისა“ და „იად-
გარებს“.

ნოემბრის „თვენში“ შესულია, აგრეთვე, წმ. გიორგის 10
ნოემბრის ხსენებაც.

ვინაიდან „სვინაქსარში“ წმ. გიორგი მთაწმინდელმა ანდერძის
საშუალებით გვაუწყა, თუ რა უნდა ვიდღესასწაულოთ 10 ნოემბერს
– „სატყურება“ თუ „ურმის-თვალზე დაკვრა“, ლოგიკური
იყო, რომ მსგავსი შენიშვნა ანდა რაიმე მინიშნება გვენახა
„თვენშიც“, ხსენების სახელწოდებასთან დაკავშირებით, თუმცა

1 Ath. 69, 10r შდრ. Ath. 52, 13v, Jer. 124, 224r წმ. გიორგი
მთაწმინდელის „თვენის“ მონაცემების დამოწმებისას კარგებლობა
ამ გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა აღწერილობებით, რომებიც
შედგენილია ხელნაწერთა ერთვნული ცენტრის თანამშრომლის –
ღალი ჭრამაიას მიერ.

კახა შეკბაჯოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

სახეზეა მხოლოდ მოკლე აღნიშვნა, ყოველგვარი ინფორმატიული დაზუსტებისა და საკითხავი მასალის გარეშე:

„მასვე დღესა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი“¹.

ამასთან, ეს ხსენება მოთავსებულია სხვა ხსენებათა შემდგომ. ჯერ იხსენიებიან სამოცდაათაგანნი მოციქულნი: „ერასტო, ოლიმპია, სოსიძატრე, ტერტიოსი, როდიონი და კუარტო“, ამას მოჰყვება, ჩვეულებისამებრ, საკითხავი მასალა. შემდეგ მოდის ხსენება და განგება „წმ. მოწამე ორესტისა“ და სულ ბოლოს- „მთავარმოწამე გიორგისა“.

ცხადია, რომ „თვენში“ 10 ნოემბერი არ წარმოადგენს დიდ დღესასწაულს, ის მესამე ადგილზე დგას, ხოლო სახელწოდება უახლოვდება მეათე საუკუნის „იადგარების“ მონაცემს და სხვაობს „ლექციონარებისა“ და იოანე-ზოსიმეს „გალენდრისაგან“. „თვენი“ არ გვაუწყებს, ხსენება რას უნდა დავუკავშიროთ- „სატოურებას“ თუ „ბორბალზე დაკვრას“, როგორც ეს თავად მთარგმნელმა საგანგებოდ მიუთითა „სვინაქსარში“.

როგორც ნოემბრის „თვენების“ შემცველი ხელნაწერებიდან ირკვევა, კრებულის შედგენის შემდეგ, „თვენის“ ბოლო ნაწილში, ანუ დანართში, მთარგმნელმა შეიტანა საცისკრო, ცხრაოდიანი გალობის სამი კომპლექტი. აშკარაა, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელმა მაინც არ დატოვა 10 ნოემბრის ხსენება საკითხავი მასალის გარეშე, ვინაიდან ანგარიში გაუწია არსებულ ტრადიციას.

პირველი საცისკრო გალობის ავტორია „იოვანე“, სავარაუდოდ, წმ. იოანე დამასკელი. მეორე გალობა „აგრისტიქულია“ და მიწერილი აქვს „ქართულნი“. მესამე გალობა ეკუთვნის სინაის მთის ქართველ მოღვაწეს და თავად გიორგი ათონელისათვის მეტად მნიშვნელოვან პიმნოგრაფს – იოანე მინჩხს. მისი საგალობელიც აკროსტიქულია. საგულისხმოა, რომ „სვინაქსარში“ მითითებული იყო განგების 23 აპრილზე მოძიება, რაც, თავის მხრივ, საკითხავ მასალასაც გულისხმობდა, „თვენის“ დანართში კი, როგორც აღვნიშნეთ, სამი საცისკრო კანონია დადებული საკუთრივ 10 ნოემბრის ხსენების აღსანიშნავად².

1 Ath. 69, 47v.

2 წმ. გიორგის ღღესასწაულები შესულია, აგრეთვე, ისეთ

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნომბრის დღესასწაული

ვფიქრობთ, ნიშანდობლივია, რომ X საუკუნის მიწურულიდან იწყება წმ. გიორგის თაყვანისცემის ახალი ეტაპი. კ. კეკელიძე ამის შესახებ აღნიშნავდა:

„წმინდა მხედართა «მარტვილობანი» თუ «ცხოვრებანი» ქართულ ენაზედაცაა გადმოთარგმნილი. მათზე დიდი მოთხოვნილება დაბადებულა ჩვენში მეათე საუკუნის

მნიშვნელოვან კრებულში, როგორიცაა „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“. აღნიშნული კრებული, ელ. მეტრეველის მითითებით, უმნიშვნელოვანესი წყარო ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესასწავლიად დღიდან მონასტრის აშენებისა (983 წ.) XII-XIII საუკუნეებამდე. სააღაპე წიგნი ნაწილია 1074 წელს ათონზე გადაწერილი ხელნაწერისა (A 558), რომელიც „ათონის კრებულის“ სახელითაა ცნობილი. ეს კრებული შეიქმნა ივირთის წინამძღვრის გიორგი თლითისარის ზეთისას 1066-1080 წლებში (ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ. 1998, გვ. 3). აღნიშნული სააღაპე წიგნი ასევე მნიშვნელოვანია ლიტურგიისა და ონთმასტიკის თვალისაზრისით. ლიტურგიის მხრივ ინტერესს იწვევს კრებულის კალენდარი, ტიპიკონური მითითებები და ტერმინები. კალენდარი იწყება 15 ღვევებრით: „სახელითა მამისამთა და ძისამთა და სულისა წმიდისამთა. ესე არიან აღაპე მონასტრისა ჩუენისანი, ვინამთგან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდე“. „თუ ესა ღეკენბერსა იე აღაპი არს ი თ ა ნ ე სკეგელოზისა, მაშენებელისა ამის დიდებულსა ლავრისად“ (მეტრეველი 1998, გვ. 134). 23 აპრილის (ას. სტ. 6 მაისი) გიორგობაზე განწესებულია ივერთა საყანის წინამძღვრის გიორგი თლითისარისა და მისი მმის მიქაელის აღაპი: „თუ ესა აპრილსა კგ(23). „აღაპი არს მამისა ჩუენისა გიორგი თლითისარისად და მმისა მისისა მიქაელისი“ (მეტრეველი 1998, გვ. 151). 10 (ას. სტ. 13) ნოემბრის გიორგობაზე აღაპი განწესებულია გიორგი მეფისთვის: „თუ ესა ნოემბერსა ი(10) აღაპი არს გიორგი მეფისად“ (მეტრეველი 1998, გვ. 168). ელ. მეტრეველი შესაბამის (127 თ) კომენტარში აღნიშნავს, რომ მეუე გიორგი არის დაით აღმაშენებლის მამა – გიორგი II (გვ. 250). რაც შეეხება 3 (ას. სტ. 16) ნოემბრის გიორგობას. ეს თარიღი სააღაპე წიგნის კალენდარში თარგმისაა შესულია:

1. „თუ ესა ნოემბერსა კ(3). დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა: აღაპი განუწესეთ გიორგი მჭედელასა ქართველსა“ (მეტრეველი 1998, გვ. 169)
2. „ამასევე თუ ესა სამსა, წმიდისა მოწამისა გიორგისსა: აღაპი არს მმისა ჩუენისა გიორგისი“ (მეტრეველი 1998, გვ. 167-168).

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მიწურულიდან, განსაკუთრებით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში. როდესაც ჩენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი ფეოდალური მონარქია. ეს იქიდანა ჩანს, რომ დასახელებულ მხედართა ცხოვრება-მარტვილობანი¹ ითარგმნა მეათე საუკუნის გასულიდან მეთორმეტეს მეორე ნახევრამდე. ... ეს მოვლენა აისხება იმით, რომ ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში საჭირო იყო სამხედრო თავდადებისა და რაინდული მამაცობის გამოვლინების მაგალითები. ...გიორგი კაბადოვიელის „წამება“ ითარგმნა მეათე საუკუნეში, ალბათ აფხაზთა მეფის გიორგი II (გარდაიც. 955 წელს) დროს. ...მისი (წმ. გიორგის) კულტი (პოპულარობით, კ. შ.) სარგებლობდა ჩვენში მეცნე საუკუნის დამდეგიდან².

ამ საკითხს შეეხო აგრეთვე წმ. გრიგოლ ფერაძე:

„...XI საუკუნიდან XVIII ს-ის გასულამდე საქართველოს ტახტე ცამეტი გიორგი ზის და იქამდე არცერთ მეფეს გიორგი არ ჰქონია. კათოლიკოსთა რიცხვშიაც მოთავსებული X საუკუნეში სამი გიორგიდან ორი რაღაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. ...X-XII საუკუნეებში [სახელი]³ გიორგი ძლიერ გახშირებულია ბერთა წრებში: გიორგი მერჩულე⁴, ...გიორგი სონელი, გიორგი ოწელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ბერი, ხუცეს-მონაზონი, გიორგი ოლთისარი⁵, გიორგი შეუენებული ანტიოქიაში, გიორგი ვარაზვაჩე, ივერიის მინასტრის წინამძღვარი, გიორგი ჭყონდიდელი და სხვანი. ...XI საუკუნეში გავრცელებულ ბერთა შორის XII

¹, „გიორგი ძლიერამოსილი კაბადოვიიდან, დიმიტრი თესალონიკელი... მერქვიდე, თეოდორე ტირონი, თეოდორე სტრატილატი, ანდრია ტრიბუნი, ევტონი მოყვებითურთ და პროკოპი ღუქსი პალესტინელი“, იხ. კ. ქ. ქმედელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1945, გვ. 6.

² კ. ქ. ქმედელიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 6,7.

³ ამ სიტყვას ჩვენ ვამატებთ.

⁴ ამის შემდეგ დასახელებულია გრიგოლ თბიშელი.

⁵ ამის შემდეგ დასახელებულია გრიგოლ თშელი.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

საუკუნეში უკვე იშვიათად გვხვდება. ბერები უბრუნდებიან თავიანთ უდაბნოებს, რაც აღვილი გასაგებია და უტოვებენ გიორგის სახელს მხედრებს ე. ი. ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის ვალი იყო სამშობლოს დაცვა“¹.

აღნიშნულ საკითხს წმ. გრიგოლ ფერაძე მეორედაც შეეხო:

„...თუკი X საუკუნემდე გიორგის სახელით მეფე საერთოდ არ გვყოლია საქართველოში, ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრების შემდეგ, XI საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, საქართველოს ტახტზე გიორგები ჩნდებიან. ასევეა ბერების სახელთან დაკავშირებითაც. თითქმის ყველა ბერს, რომელიც ტაო-კლარჯეთიდან მოდის, ე. ი. კვლავ მესხეთის კულტურულ წრეს ეკუთვნის, გიორგი ჰქვია. ამას ემატება ისიც, რომ ერთადერთი საერთო პირი, რომელსაც გიორგი ჰქვია არის გიორგი ჩორჩანელი, წმ. სერაპიონ ზარზმელის ხელშემწყობი, კვლავ მესხეთიდან“².

წმ. გრიგოლ ფერაძე ვარაუდობს, რომ წმ. ნინოს, და წმ. გიორგის თაყვანისცემა აღმოსავლეთ საქართველოსკენ უნდა წამოსულიყო მესხეთიდან და, შესაბამისად, სამხრეთ საქართველოდან. ამ მხრივ, მისი დაკვირვებები მნიშვნელოვანი გვეჩვენება. მეცნიერის დაკვირვებას აძლიერებს «გრიგოლ ხანცოვის ცხოვრებაში» გამოვლენილი ის უწყებანი, რაც გემთთ განვიხილეთ. ვფიქრობთ, რომ წმ. გიორგის „კულტის“ გენეზისი ისტორიის კვლევისას, საქუთარივ საქართველოს ტერიტორიაზე, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურდღება წმ. გრიგოლ ფერაძის აღნიშნულ ვარაუდებს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ წმ. გრიგოლ ხანცოვი

1 წმ. გრიგოლ ფერაძე, ქართული წარმართობის შესახებ, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, (ვარშავა, 2012, გვ. 225). წმ. გრიგოლ ფერაძის მოსაზრებით: „...ბერთაბაში გიორგის სახელის გავრცელება უნდა იყოს გავლენა ერთს. ე. ი. თავდაპირველად ხალხში უნდა ყოფილიყო ეს სახელი გავრცელებული და შემდეგ ბერებმა გადაიღეს ეს ერთსაგან“ (გვ. 226).

2 წმ. გრიგოლ ფერაძე, საქართველოს ეპლესიის უძველესი ისტორიის პრინციპები, თხზულებათა კრებული, წიგნი I, გვ. 333.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომენის დღესასწაული

ქართლში (ნერსე ერისთავის კარზე) გამოდილი და განსწავლული მოღვაწე იყო და, შესაბამისად, წმ. გიორგის დიდი თაყვანისცემა მას უკვე იმ დროისათვის ექნებოდა გათავისებული, როგორც ქართლში ანუ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა და იზრდებოდა. ალბათ არ იქნება შეცდომა, თუკი წმ. გრიგორის და მის მიერ დაარსებული მონასტრის განსაკუთრებულ პატივისცემას დიდმოწამისაღმი, ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილებადაც მოვაძრებთ. აღვინშნავთ, რომ წმ. გიორგის თაყვანისცემის საკითხს შეეხო აგრეთვე თ. მესხი („ოქტონის ხატის რაობისა და ისტორიისთვის“, თბ. 2015). მისი მოსაზრებით, საქართველოს უძველეს გერბსა თუ სამეფო ინიციატივებზე წმ. მიქაელ მთავარანგელოზი უნდა ყოფილიყო გამოსახული (გვ. 71). თ. მესხის მოსაზრებით, პასუხისაცემია ის კითხვა, თუ როდის ჩაენაცვლა მიქაელ მთავარანგელოზის წმ. გიორგი (გვ. 78). მისივე მოსაზრებით, ეს მოხდა დავით აღმაშენებლის დროს. მე-3 თავში (მიქაელ მთავარანგელოზი ქართულ პერალდიგაში). ავტორი წერს: „წმ. გიორგის კულტი მიქაელ მთავარანგელოზისას დავით აღმაშენებლის ბერითოში უნდა ჩანაცვლებოდა“ (გვ. 33). ამის საფუძველს მას აძლევს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხატი (XIII საუკუნის), საღაც მეფე დავითი და წმ. გიორგი არიან გამოსახულნი. ნაშრომში, ავტორის აზრით, გარკვეულ დროს წმ. გიორგის „კულტზე“ მაღლა იდგა მიქაელ მთავარანგელოზის „კულტი“. აღნიშნულს არ ახლავს რაიმე დამამტკიცებელი წყარო, იქნება ეს ღიატურგიული, ისტორიული, პაგიოგრაფიული თუ სხვა. გარდა ამისა, ნაშრომი არ ითვალისწინებს ამ წმინდანების სახელობის უძველეს ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს, მათ რაოდენობასა და სიძველეს. ამ მხრივ «გრიგორ სანცოდელის ცხოვრება» უმნიშვნელოვანესია. მოელედ რომ ითქვას, წმ. გიორგის თაყვანისცემითი ტრადიციის კვლევა, ურთულესი საკითხია, რადგან აღნიშნულმა თაყვანისცემამ თავიდანვე უანაღოვო გამოვლინება ჰპოვა. აქედან გამომდინარე თ. მესხის აღნიშნული ნაშრომი, რომელიც მოწამის „კულტზე“ X-XI საუკუნეებიდან საუბრობს, ვერ იქნება მყარი იმის დასამტკიცებლად, რომ დავით აღმაშენებლამდე მიქაელ მთავარანგელოზი იღიაღებოდა განსაკუთრებულად, ხოლო

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

დავითის დროიდან – წმ. გიორგი. უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. გიორგი ათონელის სეინაქსარის (1040-1042 წლის) სპეციალური შენიშვნა, რომელიც, როგორც ვნახეთ, უძველესი დროიდან ანუ „პირველითგან“ წმ. გიორგის დიდ აღიარებასა და „კულტზე“ შეტყველებს საჭართველოში].

XVIII საუკუნიდან იწყება საღვთისმსახურო კრებულების გასწორება სლავური წიგნების შესაბამისად. ამ მხრივ განსაკუთრებული მუშაობა „თვეებზე“ მიმდინარეობდა. ეს საქმე თბილისში ანჩისხატის ტაძრის დეკანოზმა – ალექსი მესხიშვილმა 1758 წლის დამდეგს დაასრულა, კათოლიკოსმა ანტონ I-მა კი – ქალაქ ვლადიმირში 1758-1762 წლებს შორის.

დეკანოზმა ალექსიმ 3 ნოემბრის განგებას დაურთო შენიშვნა: „წმიდისა ამის დიდებულისა მოწამისა გიორგის დღესასწაულსა ვინაფრა აპრილსა 23 ვდღესასწაულობთ, ვინაფრან ამას დღესა სრულ-პყო ღუაწლი მოწამეობისა თუსისაჲ, ხოლო ნოემბერსა სამსა განახლებაჲ არს ტაძრისა მისისა, სადა დაიდგა მრავალმოღვაწე გუამი მისი“. შემდეგ დეკანოზი გვამცნობს, რომ 23 აპრილს ბრწყინვალედ დღესასწაულობენ ბერძნები და რუსები, ხოლო 10 ნოემბერს ვერსად პოულობს – ვერც რუსებთან და ვერც ბერძნებთან, განსხვავებით საჭართველოსგან. ჩანს, ამ ხსენების წყარო ალექსი მესხიშვილისათვის არაა ცნობილი¹.

ანტონ კათოლიკოსის ნოემბრის „საღღესასწაულოში“ კი საერთოდ არ გვხვდება 10 ნოემბრის დღესასწაულის ხსენება, თუმცა დასტურდება 3 ნოემბერი, ლიდიის ტაძრის „სატფურების“ სახელწოდებით, საკითხავ მასალასთან ერთად.

¹ ქ. ქმედელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ. გვ. 108-110.

წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული წმ. გრიგოლ
ფერაძის შრომების მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, 10 ნოემბრის დღესასწაულს შეეხო წმ. გრიგოლ ფერაძე ნაშრომში „წერილები ჩვენი ქართული ცხოვრებიდან წმინდა, გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში“ (ქართული წარმართობის შესახებ), სადაც იგი წერს:

„წმინდა გიორგი რომ დიდ პატივისცემას განიცდიდა უკვე X საუკუნემდე, ამის ცხადი მოწმეა საკუთრივ ქართული დღესასწაული 9 ნოემბერს. ეს უკვე იცოდნენ ძველადვე ქართველებმა, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელმა, და ცდილობდნენ, ეს სპეციალური ქართული დღესასწაული არ მოსპობილიყო. უძველესი ქართული ვერსიის იერუსალიმის განჩინებაში (VII ს.), აგრეთვე მის პარიზულ ქართულ ვერსიაში ეს დღე შეტანილია. რით აიხსნება ეს მოვლენა, ამის გამორკვევა ძნელია. შესაძლებელია, საქმის ვითარება ასე იყო: საბერძნეთის ეკლესია წმ. გიორგის ხსენებას დღესასწაულობს 23 აპრილს, 3 ნოემბერს დღესასწაულობს მისი ტაძრის განახლებას; საქართველოში შეიძლება 3 ნოემბერს უკვე რომელიმე წმინდანით აღნიშნავდნენ, რომლის ხსენება შემდეგ მოისპო ან სოციალურ ან პოლიტიკური მიზეზების გამო უხერხული გახდა და ამიტომ გადაიგანეს გიორგობა სწორზე. მთელი საქრისტიანო დღესასწაულების ერთი დანიშნული დღიდან სხვა დღეზე გადატანის დროს, მომეტებულ წილად, ორ წესს მისდევდა: თუ თვითონ დღის რიცხვს ჰქონდა მნიშვნელობა და ან სურდათ ეს რიცხვი მოსპობილიყო,

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

იტანებოდა ეს დღესასაწაული იმავე რიცხვის ექვსი თვის შემდგომ. თუ პირიქით, რიცხვს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც თვით თვეს, იტანდნენ დღესასწაულს იმავე თვის მხოლოდ დანიშნული დღის სწორზე. ჩვენში, როგორც ჩანს, თვისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიუციათ, ვიდრე დღისათვის – შესაძლებელია იმიტომ, რომ ალბათ უკვე იმ ხანებში ნოემბერს გიორგობის თვე ერქვა და ექვსი თვით რომ გადაეწიათ, ამ თვეს უკვე თავისი მნიშვნელობა, როგორც გიორგის თვეს, დაეკარგებოდა. ამ სპეციფიკური ქართული დღესასწაულის შესახებ ფრიად გაუგებარია XVIII საუკუნის მოღვაწის ალექსი მესხიშვილის მოწმობა¹.

პირველ რიგში, განვმარტოთ ის, თუ რას ნიშნავს „სპეციფიკურად ქართული დღესასწაული“.

სპეციფიკური დღესასწაული ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის კონკრეტული ხსენება შემუშავებულია ლოკალურ კონტექსტში ანუ მას ზეიმობენ მხოლოდ იქ, სადაც იგი დაწესდა, ანდა შესაძლოა, მოიპოვა აღიარება სხვა ეკლესიებშიც და მისი აღნიშვნის არეალი გასცდა ლოკალურ საზღვრებს.

წმ. გრიგოლ ფერაძის ზემორე ვარაუდს ვერ დავეთანხმებით რამდენიმე მიზეზის გამო:

1) ძნელი დასაჯერებელია, 3 რიცხვში ყოფილიყო რომელიმე ისეთი წმინდანის ხსენება, რომლის გამოც ქართლში ყველაზე საყვარელი და განდიდებული წმინდანის ხსენებას სწორზე გადაიტანდნენ და ამით ცვლილებას შეიტანდნენ იერუსალიმის ლექციონარში, თანაც ისე, რომ არ მიუთითებდნენ ამ ცვლილება- გადაადგილების თაობაზე.

2) როგორც ვაჩვენეთ, 10 ნოემბრის ხსენება მოცემულია იოანე-ზოსიმეს კალენდარშიც. შეუძლებელია, იმ განსწავლულობის ლიტურგისტს, როგორიც იყო იგი, არ სცოდნოდა ამ ცვლილების შესახებ. ამას გარდა, იოანე-ზოსიმე ახსენებს დაბა „ენბიგლონს“, რაც ქართული ტოპონომი ნამდვილად არაა.

¹ ყოლბაია, გვ. 228.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

3) თავად წმ. გრიგოლ ფერაძე იმოწმებს წმ. გიორგი მთაწმინდელს და მიუთითებს, რომ ხსენებული მოღვაწისთვის ცნობილი იყო 10 ნოემბრის დღესასასწაული. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მითითება, რასაც მთაწმინდელი გვაძლევს, როგორც ვნახეთ, პირდაპირ გვამცნობს შემდეგს:

„დაღაცათუ ბერძნი არა დიად დღესასწაულობენ“. ეს ნიშნავს იმას, რომ კონსტანტინოპოლის ტიპიკონში 10 ნოემბერი იყო განკუთვნილი წმ. გიორგის მოსახსენებლად. სწორედ ამიტომ აღნისნული ხსენება ვერ ჩაითვლება სპეციფიკურად ქართულად.

4) თუ 3 ნოემბერს აღინიშნებოდა ისეთი დიდი წმინდანის ხსენება, რომლის გამოც ჩვენში განსაკუთრებული წმინდანის ხსენების დღე სწორზე გადასწიეს, მაშინ გაუგებარია, როგორ „შოისპო“ მისი ხსენება ისე, რომ ამის შესახებ აღარაფერი ვიცით. გაუგებარია, აგრეთვე, „სოციალური ან პოლიტიკური“ მიზეზის გამო დიდი წმინდანის ხსენების გაქრობა.

5) წმ. გრიგოლ ფერაძე ვარაუდობს, რომ ჩვენში უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს თვეს, რადგან იმ ხანებში ნოემბერს უკვე ერქვა „გიორგობის თვე“. შესაბამისად, შენარჩუნდა თვის სახელწოდება და არ მიექცა ყურადღება რიცხვს, მაგრამ თუკი 10 ნოემბრის დღესასწაულის დადგენამდე ნოემბერს უკვე ეწოდებოდა „გიორგობის თვე“, ისმის კითხვა – რის საფუძველზე ეწოდა ასე ანუ წმ. გიორგის რომელმა ხსენებამ გამოიწვია ეს, იმ დროს, როცა 10 ნოემბერის დღესასწაული ჯერ არ არსებობდა? თუ დავუშვებთ და ვიტყვით, რომ ნოემბერს „გიორგობის თვე“ 3 ნოემბრის გამო უწოდეს, არ იქნება სწორი, რადგან 3 რიცხვის ხსენება არ ყოფილა არასდროს ქართლში განსაკუთრებული დღესასწაულის მიზეზი, როგორიც იყო და არის დღესაც 10 ნოემბერი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნოემბერს „გიორგობის თვე“ ჰქვია მხოლოდ და მხოლოდ 10 ნოემბრის დღესასწაულის გამო, რაც ნიშნავს, რომ ჯერ იყო ეს დღესასასწაული, შემდეგ კი ამ დღესასწაულის განსაკუთრებულობამ განაპირობა „ნოემბრის“, როგორც კონკრეტული თვის საერო სახელწოდების, ჩანაცვლება საეკლესიო სახელწოდებით – „გიორგობის თვით“, ზუსტად

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ისე, როგორც სექტემბერი ჩაანაცვლა „ენკენიობაშ“ (რომ არა აღდგომის ტაძრის „ენკენა“, გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ ეწოდა სექტემბრის თვეს აღნიშნული სახელი).

6) იერუსალიმის დეკუიონარის პარიზულ ნუსხაში ვკითხულობთ მთარგმნელის ერთ ასეთ ანდერძს:

„დიდებად შენდა ქრისტე, დაესრულა კანონი წელიწადისად. განწესებული რიცხუსა თთუეთასა, რომელი განაწესეს ნეტართა და ღმრთივშემოსილთა წმიდათა მოძღუართა ჩუენთა წესისამებრ წმიდისა ქალაქისა იერუსალტმისა, რომელსა ზედა ჩუენ მიერცა შეეძინნა რაოდენნიმე კრებანი და საჭმარნი გულსმოდგინებისამებრ ღმრთისმყუარეთახსა. რომელნი აღასრულებთ კანონსა კეთილად მსახურნი მღდელნი და მოძღუარნი“¹.

ანდერძის შემდეგ ჩამოთვლილია ცხრა, „სპეციფიკური ქართული დღესასწაული“ ანუ ანდერძის ავტორის სიტყვები: „რომელსა ზედა ჩუენ მიერცა შეეძინნა რაოდენნიმე კრებანი“ აღნიშნავს სწორედ იმ კრებებს ე. ი. დღესასწაულებს, რომლებიც წმ. გრიგოლ ფერაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „სპეციფიკური ქართული დღესასწაულები“². შესაბამისად, ისინი წარმოადგენდა ქართლის ეკლესიის ახალ ხსენებებს, რომლებიც შეემატა დედნისეულ მასალას „წესისამებრ წმიდისა ქალაქისა იერუსალტმისა“.

წმ. გრიგოლ ფერაძის მიერ ზემოთ ნახსენები იყო ლექციონარის პარიზული ნუსხაც შემდეგ კონტექსტში: „...აგრეთვე მის (ლექციონარის, კ. შ.) პარიზულ ქართულ გერსიაში ეს დღე შეტანილია“.

იბადება კითხვა, ვის მიერ არის შეტანილი გიორგობის 10 ნოემბრის დღესასწაული ლექციონარის პარიზულ ნუსხაში? არის ის დედნისეული ანუ „ნეტართა ღმრთივშემოსილ წმიდათა მოძღუართა“ მიერ დასაბამშივე განწესებული, თუ ქართველი მთარგმნელის მიერ შემატებული იმ მიზეზით, რომ 10 ნოემბერი „სპეციფიკური ქართული დღესასწაული“ იყო? შეუძლებელია, რომ 10 ნოემბერს ეწოდოს „სპეციფიკური“, რადგან ამგვარი

¹ Tarchnishvili, T II, p. 73.

² Ibid. p. 74.

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„სპეციფიკური“ ხსენებების ჩამონათვალში არ არის ნახსენები გიორგობის 10 ნოემბრის დღესასწაული.

წმ. გრიგოლ ფერაძე ზემორე საკითხს მოკლედ შეეხო, აგრეთვე, ნაშრომში „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები“¹, რაც ძირითადად ეხება ქართლის მოქცევის საკითხსა და წმინდა ნინოს.

ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით წმ. გრიგოლ ფერაძე წერს:

„...მის (წმ. გიორგის კ. შ.) პატივსაცემად ზემობენ „ეროვნულ“ დღესასწაულს 9 ნოემბერს, რაც იერუსალიმის ცნობილ განჩინებაშიც არის მოხსენიებული და კვლავ განსაკუთრებით მესხი ბერები იბრძვიან ამ დღესასწაულის შენარჩუნებისათვის. დღესასწაული დაარსდა ერთი სასწაულებრივი განკურნების ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოში მოხდა“².

აქაც წმ. გრიგოლ ფერაძე „ეროვნულ დღესასწაულად“ ასახელებს 10 ნოემბერს და აღნიშნავს, რომ ის იერუსალიმის ცნობილ „ლექციონარშიც“ არის მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, პასუხაუცემელი რჩება კითხვა იმის თაობაზე, თუ რა არის „ეროვნული დღესასწაული“ და როგორ წესდება იგი. აქვე ისახენიებიან „მესხი ბერები“. მესხ ბერებში წმ. გრიგოლ ფერაძე გულისხმობს სამხრეთ საქართველოს ბერ-მონაზენობას. ასე რომ, საქართველოში წმინდა გიორგის, მკვლევრის აზრით, ყველაზე ადრე მესხები იცნობდნენ:

„...მესხეთისათვის ის (წმ. გიორგი, კ. შ.) ბევრად ადრე იყო ცნობილი, უიდრე აღმოსავლეთ საქართველოსთვის და მესხები იყვნენ ისინი, ვინც წმ. გიორგი გააცნეს აღმოსავლეთ საქართველოს...“³.

ამ საკითხის გარკვევა ავტორმა სცადა ონომასტიკური მონაცემების საშუალებით. საკუთარი სახელების კვლევამ წმ. გრიგოლ ფერაძეს აჩვენა, რომ ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრებამდე

¹ ყოლბაია, გვ. 324.

² ყოლბაია, გვ. 334.

³ ყოლბაია, გვ. 333.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მეფეს „გიორგი“ არ რქმევია, ხოლო XI საუკუნიდან XVIII ჩათვლით მეფეთა შორის ცამეტს გიორგი ერქვა. ასევე ბერები, რომელნიც ამ სახელს ატარებდენ, მესხეთის კულტურულ წრეს ეკუთვნოდნენ. ამას ისიც ემატება, რომ ერთადერთი საერო პირი მეთერთმეტე საუკუნემდე, რომელსაც გიორგი ჰქვია, არის გიორგი ჩორჩანელი, რომელიც იხსენიება „სერაპიონ ზარზელის ცხოვრებაში“ და ისიც მესხია. ყოველივე ამას წმ. გრიგოლ ფერაძე უმატებს იმ ფაქტსაც, რომ მეათე საუკუნემდე შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება წმ. გიორგის ტაძრები, შემდეგ კი გორაკიც აღარაა მისი სახელობის ტაძრისა თუ ნიშის გარეშე. ამის საფუძველზე ავტორმა ივარაუდა, რომ დიდმოწამე გიორგის თაყვანისცემა აღმოსავლეთ საქართველოში მესხეთიდან შემოვიდა, როგორც მეომარი და მხედარი წმინდანისა¹.

დამოწმებული ციტატიდან – „და კვლავ მესხი ბერები იბრძვიან ამ დღესასაწაულის შენარჩუნებისათვის“ ვერ ირკვევა, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ანუ რაში გამოიხატა ის ღვაწლი, რაც სამხრეთ საქართველოში მოღვაწე მამებმა გაწიეს. შესაძლოა, მინიშნება იყოს მიქაელ მოდრეკილზე, რომლის „ნევმირებულ იადგარზი“ შესულია 10 ნოემბრის ხსენება, ანდა – გიორგი მერჩულეზე, რომელმაც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოიხსენია გიორგიიწმიდობა.

ვფიქრობთ, საყურადღებოა წმ. გრიგოლ ფერაძის მოსაზრება 10 ნოემბრის ხსენების დაწესებასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება მისსავე ზემოგანხილულ შეხედულებას ამ საკითხზე და საკმაოდ დაუსაბუთებელია.

რა არის ის „სასწაულებრივი კურნება“, რაც აღსრულდა დასავლეთ საქართველოში, რომლისგან გამომდინარეც, წმ. გრიგოლ ფერაძის მოსაზრებით, დაწესებულა ცალკე დღესასწაული, გადმონაცვლებული ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ იერუსალიმში და შემდეგ თვით იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიში.

ვფიქრობთ, ამ ვარაუდის განხილვა ზედმეტია, რადგან იგი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

¹ ყოლბაია, გვ. 333-334.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

როგორც ფიქრობენ, წმ. გიორგის თაყვანისცემა დაწესდა მცირე აზიაში, IV საუკუნეში. მას თავიდან ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიის ფარგლებში მისი გავრცელება V საუკუნიდან დაიწყო, ხოლო VI საუკუნეში უკვე დიდი აღიარებით სარგებლობს.

აღსანიშნია, რომ, როგორც მივუთითებდით, „წმ. გიორგის მარტვილობის“ ოთხი ვრცელი რედაქციის გარდა, არსებობს ე. წ. დადიანეს სახელით ცნობილი აპოკრიფული ცხოვრება.

დადიანე იყო სპარსეთის მეფე, რომელმაც ამ აპოკრიფის მიხედვით, აწამა წმ. გიორგი. დადიანესის აღნიშნული რედაქცია უძველესია. ის ფრაგმენტული სახით, პალიმფსესტზე დაწერილი, ვენაშია დაცული და IV-V საუკუნეებით თარიღდება. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ სპარსეთის მეფე დადიანე შვიდი წლის განმავლობაში აწამებს წმ. გიორგის. აქვეა ნახსენები მოგვი ათანასე, რომელსაც მეფე ავალებს წმინდა გიორგის „ჯადოქრობის“ დარღვევას. ცნობილი მკვლევრები (კ. კრუმბახერი, ვ. ლაზარევი და ა.კ ირპიჩნიკოვი) მიიჩნევდნენ, რომ ამ უძველეს ძეგლზე დაყრდნობით აღმოცენდა უფრო ვრცელი „მარტვილობები“, რომლებიც ეკლესიამ კანონიკურად სცნო, ხოლო დადიანესის აპოკრიფი უარყოფილ იქნა, რადგან მასში არარეალური და მითიური ცნობები იყო მოცემული¹.

IX საუკუნეში აღნიშნული რედაქცია აკრძალა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა წმინდა ნიკიფორე აღმსარებელმა (806-815)². იგივე მოხდა საქართველოშიც წმ. ექვთიმე ათონელის ცნობილი ინდექსის სახით, რაც მან ათონის მთიდან მოსწერა ბერ გიორგი ჰქონდიდელს.

კითხვა: „გეველრები შენ, ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნი არიან, რომელთა-იგი წმიდა კათოლიკე ეკლესიად არა შეიწყნარებს.“

მიგება: „წიგნი რომელთა კათოლიკე ეკლესიად არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწენეს.“

¹ გაბიძაშვილი, გვ. 11-12.

² ყოლბაია, გვ. 219.

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

სულ ამ ინდექსში მოხსენიებულია 11 არაკანონიკური წიგნი, აქვეა უწყება წმ. გიორგის აპოკრიფული ცხოვრების შესახებ: „....კუალად წმიდისა გიორგისი არს წამებად უცხო და უცხონი რამე საქმენი სწერიან, რომელსა დადიანესი ეწოდების, ხოლო წამებად ჭეშმარიტი წმიდისა გიორგისი იგი არს, რომელი დიოკლიტიანეს მიერ იწამა“¹. აშკარაა, რომ დადიანესის სახელით ცნობილი „მარტვილობა“ წმ. ექვთიმებდე ცნობილი იყო, თორებ ის მას არ აკრძალავდა. პატრიარქ ნიკიფორეს აკრძალვის შემდეგ წმიდა გიორგის „ცხოვრებას“ ხელს ჰკიდებენ ბერძენი ჰაგიოგრაფები და ცდილობენ კანონიკური, მეცნიერული და ზღაპრული ელფერის მატარებელი თხრობისაგან გაწმენდილი რედაქციის შექმნას. მათ შორისაა ნიკიტა-დავით პაფლაგონელი, რომლის აზრითაც, აღნიშნული „მარტვილობა“ შექმნილი იყო თვით ეშმაკის მიერ იმ მიზნით, რომ წმ. გიორგი წარმოჩენილიყო, როგორც არაისტორიული პიროვნება და შეწყვეტილიყო მის სახელზე აღვლენილი ლოცვა-ვედრებანი². ყველაზე ავტორიტეტული რედაქცია სვიმეონ ლოლოთეტისეულია. ის წმ. ექვთიმე ათონელის დროს საბერძნეთის ეკლესიაში მთავარ საკითხავს წარმოადგენდა ანუ წმ. გიორგის ხსენების დღეს სწორედ ამ მეტაფრასულ ვერსიას კითხულობდნენ აია სოფიის საპატრიარქო ტაძარში. ეს ძეგლი ქართულად ტარგმნა სწორედ ექვთიმემ, რაც დაცულია გელათის „მეტაფრასულ კრებულში“.

წმ. მამა გრიგოლ ფერაძემ თავის „ნარკვევებში“ მიუთითა, რომ დიღმოწამე გიორგი ადამიანთა შემოქმედებასა და წარმოდგენებში სამსახოვანი იყო³.

პირველი სახე წმინდანისა არის ხალხური ყოფითი აღქმის ნაყოფი. ეს სახე ჩაისახა და განვითარდა მცირე აზიაში, დადიანესის მარტვილობიდან გამომდინარე. ამას ეკლესია აღუდგა წინ და მოსპო, როგორც არარეალური. აქ წმინდა გიორგი წარმოგვიდგება, როგორც გოლიათი და უკვდავი გმირი.

¹ ქ. ქველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1960, გვ. 432-433.

² ყოლბაია, გვ. 332.

³ ყოლბაია, გვ. 221, 331.

კახა შექმაჯოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მეორე სახე წმ. გიორგის წარმოგვიდგენს ასევე როგორც ხალხური აღქმნის ნაყოფს, მხოლოდ საკუთრივ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ასპექტით. ამგვარ აღქმაში წმ. გიორგი შეერწყა წარმართულ კერპებს. მას მიეძღვნა ხალხური დღესასწაულები, სადაც უპირველესი ადგილი საკლავის შეწირვას უჭირავს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სახე ყველაზე მეტად საქართველოში იყო გავრცელებული და უამრავი ადგილობრივი ხალხური დღესასწაულით გამდიდრებული. წმ. გრიგოლ ფერაძე განიხილავს ამგვარ რწმენა-წარმოდგენებს და ასკვნის, რომ მათ „ვერც საზღვარი დაედება და ვერც კალაპოტი“¹.

რაც შეეხება წმ. გიორგის მესამე სახეს, რაც უკვე ვახსენეთ, იგი გულისხმობს ხსენებული მოღვაწის მხედრად ანდა მხედართმთავრად წარმოჩენას. გრიგოლ ფერაძის აზრით, ეს მისი რეალური სახეა, რაც წარჩინებული და განათლებული მესხი ბერების დამსახურებაა. გრიგოლ ფერაძე მიიჩნევს, რომ სწორედ ეს სახე მიიღო აღმოსავლეთ საქართველოში სამხრეთ საქართველოდან. შესაძლოა, მკვლევარი გულისხმებოდეს იმას, რომ პირველად მესხმა ბერებმა თარგმნეს ბიზანტიაში შექმნილი ის „ცხოვრება-მარტვილობანი“, სადაც წმ. გიორგი მხედართმთავარია. ეს თარგმანები ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მხოლოდ ზეპირი ტრადიცია არსებობს. ამას ემატება უამრავი რწმენა-წარმოდგენა და ხალხური დღესასწაულები. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება შემდგომ კვლევას მოითხოვს.

წმ. გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, რომ ბევრმა მკვლევარმა წმ. გიორგის ისტორიულობაში ეჭვი შეიტანა, ამის მთავარი მიზეზი კი გახდა IV ს-ის ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსის ევსები კესარიელის მიერ წმ. გიორგის არმოხსენიება „პალესტინელ მარტვილთა“ შორის.

წმინდანის ნამდვილობაში ეჭვის შეტანა არაა ახალი ამბავი, ამგვარი რამ უძველესი დროიდან დაწყებულა, როგორც ამას გვამცნობს IX ს-ის მოღვაწე ნიკიტა პაფლაგონელი. როგორც ჩანს, ევსების დროს, რომელმაც თავისი «საეკლესიო ისტორია» 325 წელს დაასრულა, წმინდა გიორგი არ იყო კარგად ცნობილი

¹ ყოლბაია, გვ. 223.

კახა შჩერბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომენტის დღესასწაული

კესარია-პალესტინაში, ვინაიდან იგი საყოველთაოდ ცნობილი სდება მაშინ, როდესაც მისი მოწაფის – „ბასიქარტისის“ მიერ იწერება წმინდანის „ცხოვრება-მარტვილობა“¹.

აქვე წმ. გრიგოლ ფერაძე შენიშნავს, რომ მას წმინდა გიორგის ისტორიულობაში ეჭვი არ შეაქვს და გამოთქვამს დაუზუსტებელ მოსაზრებას:

„მე კი მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ წმ. გიორგი ისტორიული პიროვნება იყო, მისი მარტვილობა და სამშობლო თუ უშუალოდ საქართველოში არა, რომელიმე მეზობელ ქვეყანაში უნდა ვეძებოთ“².

ამ აზრის გაზიარება შეუძლებელია, ვინაიდან სამშობლო წმინდანისა კაბალოკია, წამების ადგილი კი ქალაქი ნიკომიდია.

„გიორგის წამების“ კანონიკური რედაქციების მიხედვით, წმინდანი მოაკვლევინა იმპერატორმა დიოკლეტიანემ. დიოკლეტიანეს საიმპერატორო რეზიდენცია მდებარეობდა ქალაქ ნიკომიდიაში³. შესაბამისად, გიორგის წამებაც, როგორც ზედმიწევნით გარკვეულია, ნიკომედიაში უნდა მომხდარიყო, რადგან ძეგლში მოცემულია უშუალო დიალოგები წმინდანსა და მტარვალ იმპერატორს შორის.

წმ. გრიგოლ ფერაძეს ეკუთვნის უნიკალური ნაშრომი „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“⁴. ეს ენციკლოპედიური ტიპის შრომა შეიცავს უამრავ ცნობას ქართველი ბერებისა და მონასტრების შესახებ პალესტინაში. მრავალი საინტერესო ცნობის გვერდით ვხვდებით მითითებას წმინდა გიორგის შესახებაც. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ ინფორმაციის დამოწმებაც:

პილიგრიმები სახელწოდება Georgia-ს შესახებ

„ბუნებრივია, პილიგრიმთა ყველა განცხადებას საქართველოსთან დაკავშირებით შეუძლებელია გულისყრიანი

¹ ყოლბაია, გვ. 332.

² ყოლბაია, გვ. 332.

³ ქ. შვილდაძე, ადრეული ქრისტიანობის ისტორია, თბ. 2009, გვ. 97.

⁴ ყოლბაია, გვ. 231-321.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

გამოკვლევისა და კრიტიკის გარეშე დაეთანხმოთ, მაგრამ ჩანაწერებს, რომლებიც შემოწმდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. პილიგრიმები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, უპირველეს ყოვლისა, სიტყვა „გეორგია“-ს ეტიმოლოგიას. ზოგი მათგანი ქვეყნის სახელწოდებას წმ. გიორგის, ქართველთა მფარველ წმინდანს უკავშირებს: „ეს ხალხი ყველა წმინდანზე მეტ ჰატივს წმ. გიორგის მიაგებს. ის გამოსახულია ყველა მათ დროშაზე და განსაკუთრებით მოწიწებით ეთაყვანებიან“. სხვები ამბობენ: „გეორგიან“-ები წმ. გიორგიმ მოაქცია და ამიტომ პქვიათ მისი სახელიო“ (უილიამ მამაცი. 1461 წ.). „ეს წმინდანი, შესაძლებელია, წარმოშობით ქართველია“ (მ. ბაუმგარტენი. 1507 წ.). მოვიყვანთ ბაუმგარტენის ციტატას ოდნავ უფრო ვრცლად: „ქართველები აღმოსავლეთის ხალხია, ხალზე შედგარი და შეომარი ერი. სახელი ქართველთა წმინდანის მიხედვით პქვიათ, რომელსაც თავიაანთ მფარველად და შემწედ აღიარებენ და რომელსაც ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს“. ვფიქრობთ, ეს გამოთქმაც – „ქართველთა წმინდანის მიხედვით“ – მიანიშნებს წმ. გიორგის ქართველობაზე. მათ ეწოდებათ გეორგიან-ები იმიტომ, რომ „რაინდ გეორგიუსის“ (იგნატიო ვან ბჟეინფელდერი „მოგზაურის დღიური“ 1653-1656) „...ანდა უფრო რომელიღაც მწვალებელ გიორგის რწმენის მიმდევრები არიან“ (ლუი დე როშეშუარი). ფრანც ფერდინანდ ტროილოელი (1717 წ.) ყურადღებით იკვლევს ამ ეტიმოლოგიას. მან შენიშნა, რომ ქვეყნას გეორგია უკვე წმ. გიორგის დაბადებამდე ეწოდებოდა და სიტყვა გეორგია-ს უკავშირებს ბერძნულს, რაც ნიშნავს «მიწათმოქმედს»¹. ...ბევრი ამბობს, რომ თითქოს გეორგიან-ებმა თავიანთი სახელი მამაცი გმირის, გიორგის გამო მიიღეს. მათი თვალსაზრისი ემყარება იმას, რომ გეორგიან-ები დიდ თაყვანს სცემენ წმ. გიორგის და ერთგული არიან მისი, ყოველ დროშაზე აქვთ მისი გამოსახულება, ნიშნად იმისა, რომ ისინი ქრისტიანულ

¹ წმ. გრიგოლ ფერაძის მიერ მოტანილ ცნობებზე ავტორთა შითითება ექვთვის დ. ყოლბაიას. ყოლბაია, გვ. 272-273

კახა შეკრპაჟოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

რწმენაზე მთაქცია მან და მხოლოდ მან. სინამდვილეში გეორგიან-ებს ამ სახელს უეჭველად ეძახდნენ მანამადე, ვიდრე წმ. გიორგი დაიბადებოდა, ვინაიდან მელა, რომელიც იმპერატორ კლავდიუსის დროს ცხოვრობდა, ისენიებს მათ თავის პირველ წიგნში, სადაც ამ ხალხის ქვეყანას აღწერს. სხვებს სჯერათ, რომ გეორგიან-ებს მიწათმოქმედების სიყვარულის გამო უწოდებენ...“ (ფრანც ფერდინანდ ტროილოელი) ¹.

წმინდა გიორგის სხვა სსენებები

გარდა იმ სსენება-დღესასწაულებისა, რომლებიც ეძღვნება დიდმოწამე გიორგის, ასევე იძებნება ამ სახელთან დაკავშირებული სხვა სსენებანიც. ისინიც იერუსალიმურ-პალესტინური წარმოშობისაა და მათ მხოლოდ ლექციონარებსა და იოანე-ზოსიმეს კალენდარში ვხვდებით. აღნიშნული სსენებები არ გადასულა კონსტანტინოპოლიური წეს-განგების შემცველ კრებულებში, მათ X საუკუნის ჩათვლით იარსებეს. ეს სსენებები ფიქსირდება იოანე ქართველის კალენდარში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი – მიეკუთვნება თუ არა ისინი დიდმოწამე გიორგის?

მიუხედავად ამისა, მოვიტანთ ყველა მათგანს:

22 სექტემბერი:

„ევსუქი ხუცისა შენებულსა, ქსენებად მისი, დადგმად პეტრტისი, პავლტისი, ესაიაშისი, გიორგისი, თურქისობასი და ფოკადისი².

შესაბამის კომენტარში კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ ევსუქი იერუსალიმელის „შენებულის“ შესახებ კონკრეტული ცნობა არაა შემონახული³.

1 შენიშვნა ექუთვნის დ. ყოლბაიას.

2 Gariette, p. 91. ამავე თარიღზე, პარიზული ლექციონარი განაწესებს: „ევსუქი ხუცისა შენებოვლისა, ქსენებად მისი, დადგმად პეტრტისი, პავლესი: ყოველი მოციქულთად აშახურე“. იხ. Tarchnishvili, p. 45. იგივე უწყებაა კალა-ლატალის ლექციონარში. იხ. კეკელიძე, c. 134.

3 კეკელიძე, c. 273-274.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ამავე ხსენებაზე ჟ. გარიტი წერს:

„სახელები: ესაძა, გიორგი, თურსო და ფოქა, რომლებიც ამავე თარიღზე სხვაგან არ გვხვდება, საგარაუდოად, აგრძელებენ მითითებას „დადგმის“ შესახებ, ისევე, როგორც ეს პეტრესი და პავლეს შემთხვევაშია. როგორც ჩანს, ჩვენმა კალენდარმა შემოინახა წმინდანების უფრო სრული სია, ვიდრე „ლატალის ლექციონარშა“. ევსუქი იყო V საუკუნეში მოღვაწე ხუცესი¹.“

28 სექტემბერი:

‘ლიტანისა და ალექსანდრეწმიდას ეგუტერსა დადგმად წმიდისა გიორგისი: პანფილისი: ტრაქოზ: პროპოზ: ანდრონიკესი².“

‘ენბიგონეს დაბასა ლიტანია. და ალექსანდრეწმიდისა ეგუტერსა დადგმად წმიდისა გიორგისი. და პამპილისი. ალექსანდრესი. ტრაქოს. პროპოზ. ანდრონიკესი³.“

‘ენგიგლონს დაბასა, ლიტანია, და ალექსანდრეწმიდასა ეგუტერსა, დადგმად⁴ წმიდათამ: გიორგისი და პანფილინისი და

¹ Garitte, p. 336.

² ქ. კეკელიძე, c. 135.

³ M.Tarchnishvili, p. 48.

⁴ „დადგმად“ არის უძველესი ლიტურგიკული ტერმინი, რაც ახასიათებს პალეტურულ-იერუსალიმურ ლიტურგიკულ კრებულებს: ლექციონარებსა და ოთახ-ზოსიმეს კალენდარს. ამ ტერმინის უბირველესი მნიშვნელობაა წმინდანების ნაწილთა დასვენება, დაბრძანება რომელიმე მონასტერებსა თუ ეკლესიაში. ქ. გევგელიძემ ლექციონარის მე-15 კომენტარში განიხილა აღნიშნული ტერმინი და მიუთითა, რომ აქ იგულესხმებოდა წმინდანების ლუკეუმების თუ ჩასასვენებლების დასვენება. ხშირად ხდებოდა მათი ცემტის გადატანა ერთი აღგილიდან მეორეზე. მეეღლად საკურთხევლების ქვეშ ეწყობოდა განსასვენებლები, სადაც მათი წმინდა გვამები ანდა წმინდა ნაწილები იღებოდა. მან ასევე მიუთითა სხვა გააზრებაგეც ამ ტერმინისა, რომ «დადგმად» შესაძლოა გულისხმობდეს იმ ვითარებას როდესაც წმ. ნაწილები მოწამეებისა იღებოდა ტრაპეზის ქვეშ საკურთხეველში, ტაძრის ეურთხევის დროს (კეკელიძე, c. 184, 185, 186). გარდა ამ განმარტებისა, ლექციონარის პარიზულ ნუსხაში „დადგმად“ დასტურდება „სატურდების“ მნიშვნელობით, მხოლოდ არა

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ალექსანდრესი და ტრაქოს, პროპოზ და ანდრონიკეთ“¹.

მოცემული ხსენება სამივე ძეგლში იდენტურია, მხოლოდ მოწამე ალექსანდრე და დაბა ენბიგლონი (ენგიგლონი, ენბიგონე) არაა დასახელებული „ლექციონარის“ კ. კეკელიძისეულ გამოცემაში. ყურადღებას იქცევს, ასევე, ამ ხსენების ლიტანით აღსრულება.

ეს ხსენება რომ მოწამეებს ეძღვნება, აშკარაა და აღარ საჭიროებს ცალკე განხილვას. კ. კეკელიძე შეეხო ალექსანდრეწმიდის საკითხს². მისი მოსაზრებით, ალექსანდრეწმიდაში იგულისხმება ტაძარი წმიდა ალექსანდრესი, იერუსალიმის მთავარეპისკოპოსისა (212-250), რომლის ხსენებაც აღესრულება 21 აპრილს (ალექსანდრე მთავარეპისკოპოსისაც)³. მთავარეპისკოპოსი ალექსანდრე თავდაპირველად კაბადოკიაში ყოფილა ეპისკოპოსად, 212 წელს კი გამოირჩიეს იერუსალიმის მღვდელმთავრად. ევსები კესარიელი საეკლესიო ისტორიაში ახსენებს მას, მაგრამ არ საუბრობს

ტაძრის სატფურების არამედ „საკურთხეველის“: 12 ივლ: „ანათონის შენებულსა საკურთხეველისა დაღგმაზ“ (Tarchnishvili, p. 22). 6 სექტ: „სილოამს საკურთხეველისა დაღგმაზ“ (Tarchnishvili, p. 40.). 24 ოქტ: „გესამანიას, ღმრთისშობელისა საფლათსა, საკურთხეველისა დაღგმაზ“ (Tarchnishvili, p. 57.). 4 ნოემბ: „გელბანეს დაბასა, საკურთხეველისა დაღგმაზ“ (Tarchnishvili, p. 60.). იმას, რომ „საკურთხეველისა დაღგმაზ“ „სატფურეს“ გულისხმობს ამტკიცებს ორი რამ: 1) ყველა ამ ხსენების პარალელურად ლექციონარის „ქალა-ლატალის“ ნუსხები მიუთითებს: „საკურთხეველისა სატფური“. 2) 12 ივლისის თარიღზე პარაზული ნუსხა უთითებს შემდეგს: „ყოველი პპოო თქოთმებ. 22-სა“ ანუ მსახურება უნდა აღსრულდეს 22 ოქტომბრის განგებით, ხოლო 22 რიცხვში კი აღესრულება: „მარკი (მარკიანე) მეფისა შენებულსა გესამანიას სატფური დიდი“. კიდევ უფრო ცხადად, რომ ითქვას, „დაღგმას“ აქვს ორგვარი გააზრება: 1) წმინდა ნაწილების დასვენება. 2) საკურთხეველის (სამსხვერპლო, ტრაპეზი) სატფური.

1 G. Garitte, p. 93.

2 კეკელიძე, c. 275.

3 ვ. Tarchnishvili, p. 2, Garitte, p. 61. აქ ემატება, რომ შინ ხსენება აღესრულება წმინდა „ანასტასიაში“.

კახა შეკრპაჟოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, არც მის მიერ მოწყობილ ბიბლიოთექაზე. კ. კეკელიძის მოსაზრებით, „ალექსანდრეწმიდის“ ტაძრის აღმშენებლად უნდა მივიჩნიოთ არა ეს ალექსანდრე, არამედ ამავე სახელის მატარებელი, მისი შემდგომი პიროვნება¹.

ჩვენი აზრით, ალექსანდრეწმიდაში უნდა იგულისხმებოდეს ტაძარი ან მონასტერი უშუალოდ წმიდა მოწამე ალექსანდრეს სახელობისა, რომელიც 28 სექტემბრის ხსენებაშივე გვხვდება, ან სხვა მოწამე ალექსანდრესი, რომლის ხსენებაც სხვა დროს აღინიშნება, მაგალითად: 23 მარტი „...და ალექსანდრისი...და მათ თანა მოწამეთად“². 25 თებერვალი: „წმიდისა ალექსანდრის მარტისად, ყოველი მღდელმოძღვართად“³.

როგორც ჩანს, ეს წმინდანი მღდელმოწამეა, გამომდინარე ტიპიკონური მითითებიდან. 24 მარტი: „წმიდისა ალექსანდრისი და აღაპისი. დიდი მარტვილობაა...“⁴. რა გვაფიქრებინებს იმას, რომ ალექსანდრეწმიდაში უნდა იგულისხმებოდეს ისეთი ტაძარი ან მონასტერი, რომელიც წმ. ალექსანდრეს სახელობისაა? ის კრებულები, რომელთაც ამჟამად ჩვენ განვიხილავთ, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გარკვეული ვარაუდი გამოვთქვათ. ასე მაგალითად, როდესაც აღნიშნულ იერუსალიმურ-პალესტინურ კრებულის შემდგენლებს სურთ, რომ მიუთითონ, ვის მიერ დაარსებულ მონასტერსა თუ ეკლესიაში აღინიშნება დღესასწაული, ამას გვამცნობენ შემდეგნაირად: 18 მაისი: ჰავლის შონებულსა კსენებად იაკობ მოციქულისად, ძმისა უკფლისად⁵. 10 ივნისი: ზაბინოზ ხუცისა შენებულსა. ახალსა ზაქარია წმიდას. ორსა მილიონსა. ზაქარია წინამდებარებულისად⁶. 15 აგვისტო: ჰავრიკ მეფისა შონებულსა. გესამანიას. კსენებად ღმრთისმშობლისად⁷. 17 აგვისტო: ზაბინე ხუცისა შენებულსა. კსენებად ანდრია

¹ Кекелиძე, с. 275.

² Ibid. p. 42.

³ Ibid. p.40.

⁴ Ibid. p.43.

⁵ Ibid. p.10.

⁶ Ibid. p.14.

⁷ Ibid. p. 30.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მოციქულისად¹. 29 სექტემბერი: ენუკენტის შენებულსა, იოვანე ნათლისმცემელისად და ილია წინაისწარმეტყუელისად². მსგავსი აღგილები იოანე-ზოსიმეს კალენდარში: 25 მაისი: პავლეს შენებულსა, იაკობწმიდას, დადგმად იაკობ მოციქულისად³. 3 ივნისი: ფლავიანცს შენებულსა, გსენებად იოვანე ნათლისმცემელისად, ესაია წინაისწარმეტყუელისად⁴. 12 ივლისი: აფთონის შენებულსა, საკურთხეველისა სატფური, და თურსო მოწამისად⁵. 5 ოქტომბერი: „იორდანც ხუცისა შენებულსა ლაქერნან...ღმრთისმშობლისა ეკლესიასა სატფური⁶.

ამ დამოწმებებიდან ნათელია, რომ ალექსანდრეწმიდა არაა იერუსალიმის ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ აშენებული ეკლესია. ეს რომ ასე იყოს, ეს ძეგლები სხვაგვარად წარმოაჩენდა ამ ხსენებას, კერძოდ კი ასე: ალექსანდრეს შენებულსა ან ალექსანდრე ეპისკოპოსისა შენებულსა დადგმად წმიდისა გიორგისი. მაგრამ ისინი გვაუწყებენ, რომ ხსენება ალესრულება ალექსანდრეწმიდაში და არა ალექსანდრეს შენებულში, რაც იმას მიუთითებს, რომ ალექსანდრეწმიდის ეს ეკლესია თუ მონასტერი არაა რომელიმე ალექსანდრეს მიერ დაარსებული, არამედ დამაარსებელი (მაშენებელი) უცნობია, ხოლო ეკლესია კი სწორედ წმინდა ალექსანდრეს სახელობისაა. ამიტომაც მას ეწოდება ალექსანდრეწმიდა.

ასე მიუთითებენ ამ კრებულთა შემდგენლები ეკლესია-მონასტერთა დამაარსებლებს. მაგალითად: 18 ოქტომბერი: ლავრენტიწმიდას, დადგმად მისი, თერსომასი, თეოქცისი, იპოლოტისი⁷. 22 იანვარი: სტეფანეწმიდას, გსენება ყოველთა

¹ Tarchnishvili, p. 32.

² Tarchnishvili, p. 49. მსგავსი აღგილები მრავლადაა ღეჭვითნარის პარიზულ ნუსხაში. აქვე შევნიშნავთ, რომ ტოპონიმებისა და ეკლესია-მონასტრების აღმშენებელთა სახელების ხშირი დამოწმება განსაკუთრებით ახასიათებს ღეჭვითნარის პარიზულ ნუსხას.

³ Garitte, p. 68.

⁴ Garitte, p. 70.

⁵ Garitte, p. 78.

⁶ Garitte, p. 95.

⁷ Tarchnishvili, p. 55.

კახა შჩერბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მოწამეთა, რომელნი სტეფანშითგან ვიდრე დღეინდელად დღედმდე წამებულ არიან¹. 23, 24, 25-იანვარი: ანასტასიაშმიდას, ქსენებად კლემენტოს მღდელთმოძღურისად...².

ყურადღებას იქცევს ორი ხსენება, რომლებიც თავად ახდენენ შეპირისპირებას:

25 მაისი: პავლეს შონებულსა, იაკობშმიდას, დადგმად იაკობ მოციქულისად³.

23 ნოემბერი: ევფილე ხუცისა შონებულსა გიორგიშმიდას... სატფური⁴.

ამ მაგალითებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ალექსანდრეშმიდა, სადაც სხვა მოწამეებთან ერთად დაბრძანდა წმ. გიორგის წმიდა ნაწილები და აღესრულა სატფურება, არაა ალექსანდრეს მიერ აშენებული, არამედ – წმ. ალექსანდრეს სახელობისა. სავარუდოდ, ეს ალექსანდრე მოწამეა. რაც შეეხება დაბა ენგიგლონს: ეს ტოპონიმი რომ წმინდა გიორგის ხსენებებთან კავშირშია, ამას ასევე გვიდასტურებს „ლექციონარის“ პარიზულ ნუსხაში წმ გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაულის სახელწოდება: ენბიგონეს დაბასა, სატფური ეკლესიისად და ხსენებად წმიდისა გიორგისი⁵, აგრეთვე იმავე დღესასწაულის აღნიშვნა იოანე-ზოსიმეს კალენდარში: ენბიგლონს დაბასა ხსენებად წმიდისა გიორგისი და სატფური ეკლესიისად⁶.

23 ნოემბერი: გიორგიშმიდას, დავითის გოდოლის გარეგან სატფური⁷.

ევფილე ხუცისა შონებულსა, გიორგიშმიდას, დავითის გოდოლის გარეგან სატფური⁸.

¹ Tarchnishvili, p. 31.

² Ibid. p. 32.

³ Garitte, p. 68.

⁴ Tarchnishvili, p. 65.

⁵ Ibid. p. 61.

⁶ Garitte, p. 275.

⁷ კეკელიძე, c. 144.

⁸ Tarchnishvili, p. 65.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

‘გიორგიიწმიდას, დავითის გოდოლსა გარეგან სატფური’¹.

ამ ხსენების კომენტარშიც კეკელიძე წერს:

„აქ იგულისხმება დავითის ციხე-სიმაგრის, ანუ ციტა-დელის მთავარი კოშკი. ის მდებარეობდა ქალაქის გალავნის დასავლეთ კედლის შუაში. ანტონინა მარტინის სიტყვებით, ეს ციხე-კოშკი არის: «ძალიან დიდი, მასში ყოველ სართულზე არის მონასტრები». აშკარად, სწორედ აქ მდებარეობდა წმ. დიდმოწამე გიორგის მონასტერი”².

ამავე ხსენების შესახებუ. გარიტი აღნიშნავს:

„...ეს ტაძარი იხსენიება 614 წელს იერუსალიმის დაბყრობის თხრობაში: „და მივეღ ეკლესიასა წმიდისა მოწამისა გიორგისასა, რომელი იგი არს გარეშე ქალაქსა“...პროფ. აბელი ფიქრობს, რომ «წმ. გიორგის ეს ეკლესია სხვა არაფერია, თუ არა Gerocomion-ი (γηροκομείον, მოხუცთა სამურჩალო სახლი, კ. შ.), რომელიც დააარსა იმპერტორმა ევდოკიამ, იერუსალიმის გარეთ, სადაც არსებობდა წმინდა გიორგის ერთი ტაძარი. მსგავსი ცნობა მოცემულია ასევე კირილე სკვითობლელის «წმ იოანეს ცხოვრებაში», ...თუმცა ამას არ ეთანხმება პარიზის ლექციონარი”³.

მართლაც, აღნიშნული „გიორგიიწმიდა“, პარიზის ლექციონარის თანახმად, აშენებულია ევფილე ხუცესის მიერ. კ. კეკელიძის კომენტარის მიხედვით, „გიორგიიწმიდა“ დავითის ციტადელის ანუ ციხე-სიმაგრის მთავარ კოშკში მდებარეობდა, თუმცა ძეგლები მიუთითებენ, რომ ნახსენები „გიორგიიწმიდა“ დავითის გოდოლის გარეთაა („დავითის გოდოლსა გარეგან“).

14 თებერვალი: წმიდისა გიორგისი და წმიდისა მამისა ავქსენტისი⁴.

სოლომონ პატრიარქისად და წმიდისა გიორგისი და წმიდისა მამისა ავქსენტისი⁵.

¹ 116 Garitte, გვ. 104.

² კეკელიძე, ც. 287.

³ Garitte, გვ. 392, 393.

⁴ Tarchnishvili, P. 38.

⁵ Garitte, P. 50

კახა შეკბაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

ამ ხსენების კომენტარში ჟ. გარიტი აღნიშნავს:

„წმ. მამა ავქსენტი იყო ცნობილი ბითვინიელი განდეგილი (მეუდაბნოე), რომელიც იმპერატორ თეოდოსის (408-450) დროს მოღვაწეობდა. ბერძნული სვინაქსარიც მის ხსენებას 14 თებერვალს განაჩინებს¹. რაც შეეხება წმ. გიორგის, მისი იდენტიფიცირება ზუსტად ვერ ხერხდება. ჰ. გუსენი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიუთითებს, რომ აღნიშნული გიორგი არის ლირსი გიორგი ქოზიფელი. მისი ბერძნული ცხოვრება არ გვამცნობს გარდაცვალების თარიღს, თუმცა ბერძნული თვენი ხსენებას 8 იანვარს განაწესებს“².

იოანე-ზოსიმეს „გალენდარში“ რამდენიმე ადგილას ჩანს სახელი გიორგი, რაც იქვეა დაზუსტებული და არ უკავშირდება დიდმოწამე გიორგის:

7 აპრილი: „გიორგი იერუსალიმელ პატრიარქისაა“³.

19 აპრილი: „გიორგი პატრიარქისაა“⁴.

18 მაისი: „გიორგი ეპისკოპოსისაა“.

15 აგვისტო გიორგი მონაზონისა სალოსისაა⁵.

შესაძლოა, რომ ზემოაღნიშნულ ხსენებაში, სადაც წმ. გიორგია დასახელებული, მართლაც იგულისხმებოდეს ან გიორგი ქოზიფელი, როგორც ეს ჰ. გუსენმა ივარაუდა, ან ჩვენ მიერ ჩამოთვლილი წმიდანები, ანდა თავად წმ. დიდმოწამე გიორგი კაბადოკიელი; რადგან სახელი ზედწოდების გარეშეა მითითებული, რთულია ზუსტად განსაზღვრა.

26 აპრილი: კსენებად წმ. ევსუქისი, საკსენებელი ადრიანოსისი და ანატოლისი და ადრიანო და ალაპი მარტვლთამ, გიორგისი, თორსისოდ და ალექსანდრესი⁶.

¹ წმიდასა გამისა ჩუენისა ავქსენტი საკურველთმოქმედისაა, რომელი იყო მცირისა თევდოსის ზე კერძოთაგან აღმოსავლეთისათა (იხ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბ. 2001, გვ. 40).

² Garitte, P. 159.

³ Ibid. P. 59.

⁴ Garitte, P. 61.

⁵ Ibid. P. 84.

⁶ Garitte, P. 62.

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ამ თარიღის კომენტარში ჟ. გარიტი მიუთითებს: „Georgii – Voir supra, 23 aprel“¹, ე. ი. ეს ის წმ. გიორგია, რომლის სსენებაც 23 აპრილს უნდა ვიზილოთ. ჟ. გარიტის სიტყვებით რომ ვთქვათ: 23 არის „დიდმოწამის წამების ტრადიციული თარიღი“, ხოლო იოანე-ზოსიმეს კალენდრის მიხედვით კი – არა წამება, არამედ „სატფურება“, შესაბამისად 26 აპრილიც „სატფურებაა“ ისევე, როგორც 24 აპრილი².

12 ივლისი:...თვრსო მოწამისად და პროკლე და ილარიონ მოწამეთად და გიორგისი³.

13 ივლისი: ანდრეასი სტრატილატომესი წმიდისა მოწამისად და გაბრიელ მთავარანგელოზისად და ათენაგონა ეპისკოპოსისად და გიორგისი⁴.

ჟ. გარიტის ვარაუდით, 12 და 13 ივლისს მოხსენიებული წმ. გიორგი ერთი და იგივე წმინდანია. ამ კომენტარში მეცნიერი არ ახდენს მათ იდენტიფიცირებისას⁵.

25 ივლისი: ანაასი, ეპრაქსიასი, კლიმბიად, და კვიპრიანე მამათმთავრისა ანტიოქიისად და ივსტინა ქალწულისა ენკრატისისისა და მოწამისად, და გიორგისი⁶.

ნათელია, რომ საქმე გვაქვს მოწამეების სსენებასთან. შესაბამის კომენტარში ჟ. გარიტი მიუთითებს:

„წმ. გიორგის სსენება ბერძნულ სვინაქსარში 25 ივლისს არ გვხვდება, არამედ 20 ან 21 რიცხვზე. ის ასევე მოცემულია 12 და 13 ივლისს“⁷.

კომენტარიდან ნათელია, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდრი 12, 13, და 25 ივლისს ერთი და იმავე წმინდანის სსენებას განაწევებს.

¹ Garitte, P. 208.

² სახელები: თვრსო, ალექსანდრე და გიორგი რამდენიმე სსენებაში ერთადაა მოცემული, რაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

³ Garitte, P. 78.

⁴ Ibid. P. 78.

⁵ Ibid. P. 277-278.

⁶ Ibid. P. 80.

⁷ Ibid. P. 288.

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

20 ივლისის თარიღზე სვინაქსარში მართლაც გვხვდება წმ. გიორგის სახელი: „წმიდათა მოწამეთა: გიორგისი და თეოდორესი“¹.

ვფიქრობთ, რომ დამოწმებული წმ. გიორგი და წმ. თეოდორე, რომლებიც უ. გარიტის მითითებისამებრ, ნამდვილად დასტურდებიან სვინაქსარში, ის წმინდანები არიან, რომელნიც ერთად ისხენიებიან „წმ. გობრონის მარტვილობაში“: „მაშინ წამა ადარნასე შეფეხან ჭეშმარიტი მარტვლობად მისი, ვითარცა გიორგისი და თეოდორესი“².

დიდმოწამე თეოდორეს სახელით ორი გამორჩეული მოწამეა ცნობილი: წმ. თეოდორე ტირონი³ (დაახ. 306 წ.) და წმ. თეოდორე სტრატილატი⁴ (დაახ. 319 წ.). არსებობს ორივე მათგანის როგორც „კიმენური“, ისე „მეტაფრასული“ და „სვინაქსარული“ „ცხორებანი“, ასევე ჩვენამდე მოღწეულია წმ. თეოდორე ტირონის „სასწაულებიც“⁵. როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზის გამო, წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს ხსენება ერთ დღეს დაწესდა, რაც ვლინდება კიდეც „სვინაქსარსა“ და „წმ. გობრონის მარტვილობაში“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „სვინაქსარი“ 20 ივნისს წმ. მოწამეებს გიორგისა და თეოდორეს საკითხავს არ უძღვნის, რაც, ვფიქრობთ იმაზე მიანიშნებს, რომ მათი პიროვნება და „ცხოვრება“ აღნიშნული კრებულის შემდგენლისთვის ცნობილია და საკითხავები მოცემულია მათსავე ხსენებაზე: წმ. გიორგისა 23 აპრილს და წმ. თეოდორესი 17 თებერვალს (თუ წმ. თეოდორე ტირონია), ან 8 ივნისს (თუ წმ. თეოდორე სტრატილატია). წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს ხსენებათა ერთად დადგენის

1 იხ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბ. 2001, გვ. 117.

2 ძევლი ჭართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ. 1964, გვ. 182.

3 ხსენება 17 თებერვალს, ასევე გარდამავალი ხსენება – რიდმარხვის პირველ შაბათს.

4 ხსენება 8 ივნისს.

5 იხ. ე. გაბიძაშვილი, ჭართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ. 2004, გვ. 214-217.

კახა შეკრბაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მიზეზის გასარკვევად შესასწავლია წმ. თეოდორე ტირონისა და წმ. თეოდორე სტრატილატის „ცხორქებანი“, რამაც შესაძლოა, ახსნას ეს გარემოება.

დამოწმებულმა სსენებებმა, შესაძლოა, აღძრას ეჭვი წმ. გიორგისადმი მათი მიკუთვნების გამო, მაგრამ უ. გარიტისათვის ამ სსენებების დიდმოწამე გიორგისათან დაკავშირება ეჭვს არ იწვევს. ამას მოწმობს იოანე-ზოსიმეს „კალენდრის“ მისეულ გამოცემაზე დართული „ქართულ სახელთა საძიებელი“ (Index Nominum Ibericus). აქ ჩამოთვლილია ის სსენებები, რომლებიც ვერ დაუკავშირდება დიდმოწამე გიორგის:

გიორგი ეპისკოპოსი – 18 Mai.

გიორგი იერუსალიმის პატრიარქი – 7 Spr.

გიორგი პატრიარქი – 19 Apr.

გიორგი მონაზონი, სალოსი – 15 Aug.

წმ. დიდმოწამე გიორგის სახელს უ. გარიტის მიერ შედგენილ ქართულ სახელთა საძიებელში უკავშირდება ყველა ის სსენება, რომლებიც ზემოთ დავიმოწმეთ:

„გიორგი წმ. მოწ. – 14. Febr. 23, 24, 26 Apr. 1, 25, Ma^o¹. 12, 13, 25 Iul. 22, 28 Sept / გიორგი წმ. სატფური: 23, 24, 26 Apr. სატფური ლუდას – 3, 4, 10 Nov. App. 7². დავითის გოდოლის გარეგან, – 23 Nov³.

თითქმის იგივე მდგომარეობაა „კალენდრის“ პ. კეკელიძისეულ გამოცემაში. Index nominum-ში მითითებულია:

1 მოცემულია 1 და 25 რიცხვი ერთად, რადგან ითანე-ზოსიმეს შენიშვნა მიწერილია აქვს მაისის დასაწყისში ანუ 1 რიცხვზე, სადაც მითითებულია, რომ 25 მაისს საბერძნეთში აღინიშნება გიორგისა. შესაბამისად, აქ უნდა ვიგულისხმოთ არა ორი, არამედ ერთი დღესასწაული ე. ი. 25 მაისის.

2 ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ითანე ქართველის კალენდრის მე-7 რიცხვის შენიშვნაში დასახლებულ „გიორგიწმიდის მარხვას“, რომელიც 10 ნოემბერს უნდა დასრულდეს, უ. გარიტი „ლიდიის სატფურების“ სსენებას უკავშირდებს. აღნიშნულ შენიშვნას ვიმოწმებთ ქვევით.

3 Garitte, p. 438.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„გიორგი მოწამე: 14 თებ. 26 აპრ. 12, 13, 25 ივლ. 22, 28 სექტემბერ“¹.

შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე წმ. გიორგი, რომლებიც მღვდელმთავრები იყვნენ, ერთი მათგანი კი – სალოსი. ჟ. გარიტისაგან განსხვავებით, კ. კეკელიძე 7 აპრილის თარიღზე მოხსენიებულ გიორგი იერუსალიმის პატრიარქსა და 19 აპრილზე მოხსენიებულ გიორგი პატრიარქს ერთ პიროვნებად მიიჩნევს². ამას მოსდევს ‘გიორგი წმიდისა სატფური: 23, 24 აპრ. 25 მაისი³, 3, 4, 10 18⁴. ნოემბერი. გოდოლი დავითისი 23 ნოემბერი“⁵.

26 აპრილს ჟ. გარიტი უკავშირებს 23 აპრილის „გიორგი წმიდის სატფურის“ ხსენებას:

„გიორგი წმ. სატფური: 23, 24, 26“.

გამოდის, რომ 23 აპრილის სატფურება 3 დღე აღინიშნებოდა 23-დან 26-ის ჩათვლით, რადგან 25-ში არაა მოცემული მსგავსი განწესება. კ. კეკელიძეს კი 26 აპრილი ცალკე აქვს გამოყოფილი ანუ არ აკუთვნებს სატფურების ხსენებას. ვთიქონობთ, ჟ. გარიტის განმარტება უფრო მართებულია, რადგან მსგავსი სამდლიანი აღნიშვნა, ერთი დღის გამოტოვებით, გვხვდება ასევე წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედთან დაკავშირებითაც:

15 ნოემბერი: „...და გრიგოლი მთავარებისკოპისად და საკვირველთმოქმედისად“.

1 ქეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 283.

2 ქეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 283.

3 25 მაისი შეცნიერს შეცდომით აქვს სატფურებათა ინდექსში მოთავსებული. ითანე-ჭილიშვილის სამგზისი მითითების მიხედვით 25 მაისი წმ. გიორგის წამების ხსენების დღე იყო საბერძნეთში, რომელსაც დადი დღესასწაულის სახე ჰქონია მაშინ. ცხადია ეს მონაცემი გაღმოსულია „აია სოფიის“ იმდროინდელი კალენდრიდან, რომელსაც ითანე ქართველი უწოდებს-„საბერძნეთისა დედამც“.

4 18 ნოემბრის ხსენება ასევე შეცდომით აქვს მიკუთვნებული წმ. გიორგის, რადგან ამ რიცხვში ხსენებაა წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის და არა წმ. გიორგისი. იხ. ქეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 276, ასევე Garitte. p. 104.

5 ქეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 283.

კახა შეკრბაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

16 ნოემბერი: არაა მოცემული.

17 ნოემბერი: „...და გრიგოლისი საკვირთვეთმოქმედისაა“.

18 ნოემბერი: „...და წმიდისა გრიგოლისივე“¹.

წმ. გიორგის ხსენებათა სიმრავლე, ერთი შეხედვით, გაკვირვებას იწვევს და იმით უნდა აიხსნას, რომ იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“ მთელი იერუსალიმისა და პალესტინის რეგიონის ხსენება-დღესასწაულებს აერთიანებს. აშკარაა, რომ პალესტინა-იერუსალიმის ქრისტიანული საეკლესიო წიაღი იცნობდა წმ. გიორგის მრავალ ხსენება-დღესასწაულს. X საუკუნეში ამ ტრადიციებს კრებს იოანე-ზოსიმე და ქმნის ზემოხსენებულ უნიკალურ კრებულს – „კრება თთუეთად წელიწადისათად“.

იოანე-ზოსიმეს კალენდარში აღნიშნული გიორგიწმიდობის მარხვის შესახებ

იოანე-ზოსიმეს „კალენდარის“ ბოლო ნაწილში წარმოდგენილია დამატება-დანართი, რაც მოიცავს 7 ლიტურგიკულ შენიშვნას. მე-7 შენიშვნა ეხება 56-დღიან მარხვებს. შენიშვნას ასეთი სათაური ახლავს:

„და ესე მარხვანი წმიდათა დღესასწაულთანი ნე დღე
არს“².

1. „დადგების მარხვად იოვანტს შობისად თუესა
აპრილსა ლ“.
2. „და მარიამობისად თუესა ივნისსა კ“.
3. „და ღმრთისმშობლისა შობისად თუესა ივნისსა
ივ“.
4. „და გიორგი წმიდისად თუესა სექტემბერსა ივ“.
5. „და მთავარანგელოზთად თუესა სექტენბერსა
ით“.
6. „და წმიდისა საბაძის თუესა ოკტომბერსა ი“.
7. „და ქრისტესშობისად თუესა ოკტომბერსა ლ“.

ესე მარხვანი წმიდათა დღესასწაულთანი დიდთა მარხვათა

¹ Garitte, p. 104.

² Garitte, p. 119.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

ზედა¹. ე[...], და ესეცა გულისხმა-გეყავ, რომელსა დღესა აქა მარხვა [...] და უკეთუ შე-რასმე-ცომილ ვარ, შემინდევით ღმრთისათვის.

ესე ყოველნი მარხვასა შეუდგინე თუ გინდეს².

8. დაღგების მარხვად ხარებისი იანვარსა კუ და ოდეს ნაკი იყო კთ.

9. „და ფერისცვალებისად ივნისსა ია“

10. „და ხარიტონწმიდისად აგჟსტოსა გ“.

11. „და კონონმოწამისად აპრილსა ი“.

12. „და მოსესი წინასწარმეტყუელისად ივლისსა ი.

13. „და ელიასი ივლისსა თ“.

14. „იოანეს თავის [...] ივნისსა ვ“³.

დამოწმებულ შენიშვნაზე დართულ კომენტარში ჟ. გარიტი წერს:

„ეს პარაგრაფი მიუთითებს თარიღებზე, რომელიც აღნიშნავს ზოგიერთი დღესასწაულის წინამოსამზადებელ 56-დღიანი მარხვების სერიის (série) დასაწყისს. 56 დღე არის რვა კვირა და გამოანგარიშებულია იმგვარად, რომ მივიღოთ ეფექტური (effectif)⁴

1 როგორც ჩანს, შენიშვნის ამ ნაწილში კიდევ იყო ნახსენები სხვა დღესასწაულები.

2 შენიშვნის ეს აღგილი: „ესე ყოველნი მარხვასა შეუდგინე თუ გინდეს“, დაღი აღბათობით მიუთითებს შემდეგს: თუკი ღვთისმსახურს მოუნდება ამ დღესასწაულების მსახურების ჩატარება, რომლებიც „შენიშვნას“ ხელნაწერის ხარჯებული ნაწილის გამო აქლია, შეუძლია, რომ მარხვას „შეუდგინოს“, ანუ დაღმარხვის მსახურებას შეუერთოს მათი საკითხავი მასალა ე. ი. ითანებობები ამ ყოველივე ღვთისმსახურს თავისუფლებას ანიჭებს, რასაც უეჭველად განსაზღვრავს სიტყვები – „თუ გინდეს“. ამგვარი სიტყვები გვხვდება აგრეთვე რიგით მეორე ღიატურგიკულ შენიშვნაში: „...ხოლო თქუენ, ვითა გინებთ, ყავთ“. იხ. Garitte, p.114.

3 Garitte, p. 119-120.

4 სიტყვები „ეფექტური მარხვა“ მიუთითებს არა თვითონ მარხვის სტილზე, არამედ მის სტრუქტურულ აგებულებაზე. 40 დღე იმარხულეს მაცხოვარება და ელია წინასწარმეტყუელმა, სწორედ ამ გარემობის

კახა შეკრძალვის: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

მარხვის 40 დღე. შაბათი და კვირა არ შედიოდა მარხვის დღეებში. ზოგი აღმოსავლური ეკლესია აღდგომის მარხვისთვის ითვლიდა ეფექტური მარხვის 40 დღეს, რაც ითვალისწინებდა კვირაში 5 დღეს მარხვას და ის გადანაწილებული იყო 8 კვირაზე. ეს სისტემა დადგენილი იყო იერუსალიმში".

შეიძლება თუ არა, რომ ეს მარხვა დავუკავშიროთ წმ. გრიგოლ ხანცოელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებულ მარხვას? ჩვენი აზრით, ეს შეუძლებელია, რადგან იოანე ქართველის „კალენდარში“ დამოწმებული მარხვა „ორმოცეული“ მარხვაა. ავტორი მთლიანი დღეების რაოდენობას გვთავაზობს ე. ი. 56 დღეს. ჟ. გარიტის განმარტებით, აქ იქმნება „ეფექტური მარხვის 40 დღე“, ანუ 56 დღეს უნდა გამოვაკლოთ 8 შაბათი და კვირა, რაც 56 დღეს მოაკლებს 16 დღეს და მივიღებთ „ორმოცეულს“. ჟ. გარიტისავე საფუძვლიანი განმარტებით, კვირაში 5 დღე მიმდინარეობდა მარხვა და შესაბამისად, შაბათი და კვირა არ ითვლებოდა მარხვის დღეებად.

იოანე-ზოსიმესთან დასახელებულ 14-სავე დღესასწაულს აქვს მარხვის 56-დღიანი ხანგრძლივობა. «წმ. გრიგოლ ხანცოელის ცხოვრებაში» გიორგი მერჩულის მიერ დამოწმებული მარხვა კი 9-დღიანია, თანაც „წუელით“. წმ. გრიგოლის „ცხოვრებისა“ და იოანე-ზოსიმეს „კალენდრის“ მარხვები რომ ერთი და იგივე იყოს, მაშინ წმ. გრიგოლის „ცხოვრებაში“ გიორგიწმიდობის მარხვა 56 დღიანი იქნებოდა ან იოანე ქართველი მიუთითებდა გიორგიწმიდობის მარხვის 9-დღიან ხანგრძლივობაზე „წუელით“.

იოანე-ზოსიმესთან დამოწმებული მარხვები უჩვეულოა და მრავალ კითხვას სვამს. აშკარაა, რომ მათ შესახებ ცნობები არ მოეპოვება თვით ჟ. გარიტს. იგი მხოლოდ მარხვის სტრუქტურული მონაცემებით ითარგლება. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მეოთხე მარხვაზე, რომელიც ეძღვნება წმ. გიორგის.

გამოა შეკჩული 40 დღე მარხვისთვის. 56 დღე შუსტად თრმოცდლიან მარხვას ქმნის, მოვაკლებთ რა რეა შაბათ-კვირას იმ მიზეზით, რომ შაბათსა და კვირას მეაცრი მარხვა არაა მიზანშეწონილი. ამ თრ დღეს დიდმარხვაში აუცილებლად ტარდება სრული, საზეიმო ღიატურგია და გეთით სსილება.

კახა შეკბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული გიორგიწმიდის მარხვა იწყებოდა 15 სექტემბერს, გრძელდებოდა 56 დღე (მარხვის 40 დღე) და სრულდებოდა 10 ნოემბერს. მარხვა არ იყო დადგენილი თებერვლის ბოლოს, რომ დღესასწაული 23 აპრილს მოწეულიყო, არამედ სექტემბერში, რათა მარხვა 10 ნოემბერს დასრულებულიყო და შესაბამისად, აღნიშნულიყო 10 ნოემბრის გიორგობა (შესაძლოა, სატფურება). ნათელია, რომ გიორგიწმიდობის მარხვა პალესტინური წარმოშობისაა, სადაც წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. აქედანაც კარგად ჩანს ქართლის ეკლესიის ღრმა ლიტურგიკული კავშირი პალესტინასთან. კვლავ აღვნიშნავთ, რომ ქართლის ეკლესია მემკვიდრეა წმ. გიორგის იმ უძველესი და განსაკუთრებული თაყვანისცემისა, რასაც დასაბამი პალესტინის წმინდა მიწაზე მიეცა.

წმ. გიორგის დღესასწაულები შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონში

საბაწმიდური ტიპიკონი, რომელიც XII საუკუნის დამდეგს ითარგმნა ქართულად, თავდაპირველად შიომღვიმის მონასტერში დაიდო ღვთისმისახურების სახელმძღვანელოდ. აღნიშნული ძეგლი „შიომღვიმის ტიპიკონის“ სახელითაა ცნობილი. ტიპიკონი 1247-1269 წლებში შიომღვიმის მონასტრისთვის გადაუწერიათ 1172 წლით დათარიღებული ხელნაწერიდან. 1917 წლამდე ტიპიკონი შიომღვიმეში ინახებოდა.

შიომღვიმისადმი დაწერილ ანდერძში დავით აღმაშენებელი გვამცნობს:

„მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან ასენი (ასენ იყალთოელი) და თუთ სულიერმან ბერმან მოძღვანელმან ჩემმან იოვანე, რაჯთა წესეა ზედა სუმეონწმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვმისა წესნი, რომელ თუთ მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუტნიერად“.

ჩანს, რომ არსენ ბერსა და იოანე მოძღვარს დავით მეფისთვის შეუთავაზებიათ „სვიმეონწმიდის“ მონასტრის განგება, რომლის თარგმანიც მათ უკვე გამზადებული ჰქონიათ.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

აღნიშნული წეს-განგება წარმოადგენს წმ. საბა განწმენდილის ლავრის ტიპიკონის იმ რედაქციას, რომელიც „სეიმეონწმიდის“ მონასტერში, შავ მთაზე ჩამოყალიბებულა¹.

გარდა შიომღვიმისა, სვიმეონწმიდური ტიპიკონი სხვა ეკლესია-მონასტრებისთვისაც გადაუწერიათ. მისი შემცველი ხელნაწერები დაცულია, ასევე, საზღვარგარეთის ქართულ სამოღვაწეო ცენტრებშიც – სინასა, (N 83) და იერუსალიმში (N 146, N 150). კრებულის მთლიანი სახელწოდებაა: „ტუბიკონი საეკლესიოდა წესისად კეთილგანგებულისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა საბახს ლავრისაა, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“².

ნახსენები ტიპიკონი იცნობს წმ. დიდმოწამე გიორგის ორ დღესასწაულს. პირველი არის 3 ნოემბერი:

„სატფურებად წმიდისა დიდისა მოწამისი გიორგისი ღუდიას, ესე იგი არს დიდებად³ წმიდისა გუამისა მისისად“⁴.

აქამდე დამოწმებული ძველი ქართული ღიტურგიკული ძეგლები 3 ნოემბრის სსენებაზე არ მიუთითებდნენ წმ. გიორგის ნაწილების შესახებ. სწორედ მოწამის წმინდა გვამის აღმოყვანებამ და გადასვენებამ ღილიაში გამოიწვია მისი ბაზილიკის აშენება და სატფურება. ამის მსგავსია ბერძნული „ჟამნის“ მონაცემი, რომლის მიხედვითაც, ეს აღსრულდა კონსტანტინე ღიდის დროს:

„ენკენია წმ. დიდმოწამე გიორგის ტაძრისა ლიდიაში, ანუ მისი წმინდა სხეულის დაღება“. „ენკენია აღსრულდა კონსტანტინე ღიდის დროს“⁵.

¹ ე. კოჭლამაშაშვილის აზრით, მთარგმნელთა არჩევანი იმიტომ შეჩერდა „სეიმეონწმიდის“ განვებაზე, რომ ლიტერატურაში მამა შიო საქართველოში ჩამოსვლამდე ცწორედ შავი მთის უდაბნოში მოღვაწეობდა. იხ. ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, XIII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი გამოსაცემად მთაშვალეს ე. კოჭლამაშაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ. 2005, გვ. 9.

² ე. კოჭლამაშაშვილი, ე, გიუნაშვილი, გვ. 6-12.

³ შესაძლოა, მართებული წაკითხვა იყოს „დაღებად“ , კ. უ.

⁴ ე. კოჭლამაშაშვილი, ე, გიუნაშვილი, გვ. 44.

⁵ ΩΡΟΛΟΓΙΟΝ ΤΟ ΜΕΓΑ, ΕΚΔΟΣΙΣ-ΤΗΣ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗΣ

კახა შეკრბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

წმ. გიორგის მეორე დღესასწაული არის წმინდანის აღსასრულის დღე 23 აპრილი. ტიპიკონის მითითების შესაბამისად, ეს დღე ღამისთვევით უნდა განეგოს:

„წმიდისა და დიდისა მოწამისა გიორგისი – ღამისთვევასა ვყოფთ“¹.

გიორგობა რომ ღამისთვევით უნდა ჩატარდეს, ამას „ტიპიკონი“ დასაწყისშიც მიუთითებს:

„განსაზღვრებად ღამისთვევათა ყოვლისა წელიწადისათა... კგ – აპრილსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისად“².

23 აპრილის გიორგობა რომ განსაკუთრებულია ღამოწმებული წეს-განგებისთვის, ამას მიუთითებს არა მარტო მისი მსახურების ღამისთვევით ჩატარება, არამედ ისიც, რომ წმინდანებისათვის ღამისთვევა ძეგლში სულ რამდენჯერმეა ნახსენები, ერთ-ერთი კი სწორედ 23 აპრილის გიორგობაა.

10 ნოემბერს „ტიპიკონი“ მხოლოდ სამოცდაათი მოციქულის ხსენებას განაწესებს:

„წმიდათა მოციქულთა: ერასტოს, ოლიმპია და შისთანათა“³.

ამრიგად, შიომღვიმის „ტიპიკონი“ არ იცნობს 10 ნოემბრის გიორგობას, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, მონასტერში მას მაინც აღასრულებდნენ. „ტიპიკონი“, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ შიომღვიმის მონასტერში დავით აღმაშენებლის დროიდან მკვიდრდება, ხოლო იქამდე ანუ დავითის მეფობამდე 10 ნოემბერის „გიორგიწმიდობა“ დიდი ხნის აღიარებული დღესასწაული იყო მთელ საქართველოში, რაც არაერთ წყაროზე დაყრდნობით უკვე ვაჩვენეთ. შესაბამისად, 10 ნოემბრის გიორგობის დღესასწაულის აღნიშვნა, როგორც ქართლის ეკლესიის უძველესი ტრადიცია, დანერგილი იქნებოდა შიომღვიმის მონასტერშიც.

ანალოგიური ვითარებაა ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ორ უძველეს ნიმუშთან დაკავშირებითაც. ორივე მათგანი მოწმობს

ΔΙΑΚΟΝΙΑC THC ΕΚΚΛΗΣΙΑC THC ΕΛΛΑΔΟC, ‘Εκδοσεις A’ 1963, ‘Εκδοσεις Θ,’ 1986, ‘Εκδοσεις I,’ 1991, 241.

¹ Ibid. გვ. 83.

² Ibid. გვ.18.

³ Ibid. გვ. 45.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

როგორც მათი შეთხზვის, ისე მონასტრის წეს-განგებაში მათი ჩართვა-განწესების ადგილობრივ ლიტურგიკულ წესს¹.

წმინდა გიორგის 10 ნოემბრის (ახ. სტ. 23) დღესასწაულის საგალობლები (ტაძრის სატფურება თუ ურმის-თუალზე წამება)

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლებიდან უძველესი ნიმუში ეკუთვნის ცნობილ ჰიმნოგრაფს წმ. რომანოზ მელოდის (კონტაკიონები), ასევე გერმანოზ პირველს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს. მას თავდაპირველად შეუთხზავს სტიქარონები, რომლებიც შემდეგ კანონად გადაკეთდა. ამ კანონის თარგმანს იცნობს ქართული ტრადიციაც, რადგან ის უთარგმნია წმ. გიორგი მთაწმინდელს. წმ. ოოანე დამასკელის საგალობლები, მიძღვნილი დიდმოწამე გიორგისადმი, ასევე ერთ-ერთ უძველეს ნიმუშადაა მიჩნეული. თითქმის თანადროულია ასევე ცნობილი ჰიმნოგრაფის – წმ. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონი. საგალობელთა ავტორები არიან ასევე იგნატიოს (ეგნატე) პატრიარქი (IX ს, ჰიმნოგრაფიული კანონი), ანატოლი, თესალონიკის ეპისკოპოსი (IX ს, სტიქარონები), გიორგი სკილიცე (XII ს, ჰიმნოგრაფიული კანონი). ამ უკანასკნელის საგალობლები ჩაუნაცვლებია დავით ჰიმნოგრაფის კანონს (XIV ს). XIV საუკუნის ხელნაწერებში მოიპოვება გერასიმე ბერის კანონი. წმ. გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლები შეიქმნა ასევე ასევე ასევე ლათინურ ენაზე².

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი ეკუთვნის IX საუკუნის ცნობილ მოღვაწეს თეოფანე გრაპტოსს. არსებობს ამ კანონის ძველი ქართული თარგმანი. ის წარმოდგენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის „თვენში“ (H-2336, 181V-185r)³.

¹ ლ. ხაჩიძე, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, თბ. 2012, გვ. 12-13.

² ლ. კვირიკაშვილი, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები, საგალობლები გიორგი მთავარმთაწამეზე, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1970, გვ. 106-112.

³ კვირიკაშვილი, გვ. 112.

კახა შეკრპაჟოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი პიმნოგრაფიული კანონების ბიბლიოგრაფიული ნუსხა შეადგინა პავლე ინგოროვებამ. ამ ნუსხის მიხედვით ქართულ ენაზე დაცულია 12 საცისკრო კანონი. მათი უმეტესი ნაწილი თარგმნილია. ჩამონათვალში პირველ ადგილზე დასახელებული საგალობელი – „შენ, მეუფეო, რაუამს გამოაბრწყინვე“. პ. ინგოროვებას მოსაზრებით, ეკუთვნის წმ. გრიგოლ ხანცოლს.

ღ. კვირიკაშვილის მითითებით, პ. ინგოროვებას მოსაზრება არ შეესაბამება სიმართლეს. აღნიშნულ კანონს ქართულ ენაზე სხვა ვერსიაც მოეპოვება, კერძოდ, ის დაცულია „იელის იადგარში“¹.

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კანონებიდან უმნიშვნელოვანებია X საუკუნის ქართველი პიმნოგრაფის – იოანე მინჩხის მიერ შექმნილი კანონი, რაც გვხვდება 10 ნოემბრის დღესასწაულზე. ის ასევე დაცულია Jer. 124 ხელნაწერში. ღ. კვირიკაშვილის აზრით, ამ კანონს რედაქცია გაუწია წმ. გიორგი მთაწმინდელმა².

იოანე მინჩხის ამ საგალობლის ვერსია შესულია ასევე „ოვენის“ შემცველ H-2336 ხელნაწერში. წმ. გიორგი მთაწმინდელი ამ ვერსიას მიქელს უკავშირებს. სახელი წარწერილია აშიაზე, საგალობლის დასაწყისთან. პ. ინგოროვებას ვარაუდით, საგალობლის ავტორი უნდა ყოფილიყო მიქელ მოდრეკილი³. იგი ასევე მიუთითებდა, რომ მიქელის სახელით ცნობილ ავტორს არ იცნობს ბიზანტიური პიმნოგრაფია. მიქელ მოდრეკილის იადგარს კი აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც აღნიშნული საგალობელი უნდა ყოფილიყო დადებული. როგორც ღ. კვირიკაშვილი მიიჩნევს, აღნიშნული კანონი, რაც წმ. გიორგი ათონელის თვენში მიქელს უკავშირდება, უნდა ეკუთვნოდეს იოანე მინჩხს, ანუ მისეული დაკვირვებით, აღნიშნული საგალობელი მინჩხის პიმნოგრაფიული კანონის გადამუშავებულ ვერსიას წარმოადგენს (ეს მოსაზრება შემდგომ კვლევას მოითხოვს).

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი იოანე მინჩხის საცისკრო კანონის შესწავლა, ცხადყოფს, რომ იგი გააზრებული კანონზომიერებითაა

¹ კვირიკაშვილი, გვ. 134-138.

² კვირიკაშვილი, გვ. 140.

³ კვირიკაშვილი, გვ. 142-143

კახა შექრბაჟოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

შედგენილი. II ოდიდან მოყოლებული, ცხადი ხდება, რომ მინჩხის მიერ შექმნილი ცხრა გალობიანი საცისკრო კანონი არის არა უშუალოდ „ურმის-თვალზე“ დაკვრისადმი მიძღვნილი გალობა, არამედ – წმ. გიორგის ცხოვრებაზე აგებული ჰიმნი.

საგალობლის I ოდა წარმოადგენს შესავალს, ძირითადი შინაარსი კი გადმოცემულია მომდევნო რვა გალობაში, სადაც აქცენტი კეთდება მოწამის ღვაწლზე, იმ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, რომლებიც უკავშირდება მის მოწამეობრივ ახოვანებას. ნახსენებია „ცხოვრებებიდან“ ცნობილი რამდენიმე სახე ტანჯვისა: „ბორბალზე წამება“, გახურებული „რკინის ცანდლები“ და „საპყრობილეში ჩასმა“. მოხსენიებულია აგრეთვე „მკვდრის აღდგინების სასწაული“ და „დედოფლის ქრისტიანობაზე მოქცევა“.

უნდა აღინიშნოს, რომ მინჩხის ეს საგალობელი თავისი შინაარსითა და სათაურით („ნოემბერსა ი. სხუანი გალობანი წმიდისა გიორგისნი“) ახლოსაა იადგარების ხაზთან, სადაც 10 ნოემბერი არ უკავშირდება არც „ტაძრის სატფურებას“ და არც „ურმის-თვალზე დაკვრას“.

ნოემბრის „თვეენში“ წმ. გიორგის 10 ნოემბერის დღესასწაულზე წმ. გიორგი ათონელმა არ შეიტანა საგალობლები, რადგან ისინი არც ბერძნულ დედნებში იყო დაცული, მაგრამ კრებულის ბოლო ნაწილში, ანუ დანართში, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია სამი საცისკრო კანონი. ერთი მათგანი ეკუთვნის „იოანეს“, სავარაუდოდ, წმ. იოანე დამასკელს. მეორე – ქართველ ჰიმნოგრაფს იოანე მინჩხს, მესამის ავტორი კი უცნობია, თუმცა ერთვის საინტერესო სათაური: „სხუანი გალობანი „ქართულნი“ წმიდისა გიორგისნი“¹.

შესაძლოა, წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავდაპირველად იმიტომაც არ შეიტანა საგალობლები 10 ნოემბრის დღესასწაულზე, რომ მას ჯერ არ მოეპოვებოდა ისინი, 23 აპრილის დღესასწაულიდან კი არ მიიჩნია მიზანშეწონილად მათი მოხმობა, რადგან მას, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა ერთიმეორისგან ლიტურგიკულად

¹ Jer. 124, XI ს, ფ. 254. A-1520 XVI ს, ფ. 77-78. ე.გაბიძაშვილი, თბ. 1991, გვ. 250.

კახა შექრბაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

გაემიჯნა 23 აპრილი (თავის კვეთა) და 10 ნოემბერი (ურმის-თვალზე შესვლა, მისივე უწყებით).

ამრიგად, წმ. გიორგი ათონელმა იღვაწა იმისთვის, რომ მოეძებნა 10 ნოემბრის გიორგობასთან შინაარსობრივად შესაბამისი საგალობლები, რომ ხაზი გაესვა ამ დღესასწაულის მნიშვნელობისათვის ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში.

ისმის კითხვა – არის თუ არა „თვენში“ 23 აპრილის დღესასწაულისათვის განკუთვნილი შვიდი საგალობლის ავტორთაგან ერთ-ერთი, კერძოდ მიქელი წმ. გიორგი მთაწმინდელისათვის ქართველი პიმნოგრაფი?

ერთი მხრივ, ნათელია, რომ 10 ნოემბრის გიორგობისთვის წმ. გიორგი ათონელმა შეიტანა ქართული საგალობლები, რასაც თავისი მიზანი პქონდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მისთვის მიქელი ბერძენი ავტორია, რადგან მისი საგალობელი შეტანილი აქვს 23 აპრილზე, რომელიც ბერძნებისთვისაც და ქართველებისთვისაც საერთო დღესასწაული იყო; ამას გარდა, ამ ხსენებას ისედაც მრავალი საგალობელი მოქმედობოდა ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში და აქედან გამომდინარეც, აღარ იქნებოდა საჭირო ქართული საგალობლის იქ შეტანა. ათონელი მოღვაწისთვის მიქელი რომ ქართველი ავტორი ყოფილიყო, მის საცისკრო კანონს აღბათ 10 ნოემბრის გიორგობაზე ვიხილავდით იმ ქართული საგალობლების გვერდით, რომლებიც უკვე ვახსენეთ. ლ. კვირიკაშვილის მოსაზრებით, წმ. გიორგი მთაწმინდელმა იცის, რომ მიქელი ქართველი ავტორია და ისიც, რომ მისი საგალობელი მინჩხის საგალობლის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, მას აღნიშნული კანონი არ შეაქვს 10 ნოემბრის გიორგობაზე. მიქელის ვინაობის დადგენას ართულებს ის გარემოებაც, რომ მიქელ მოდრეკილის „მეხურ იადგარს“ აკლია აპრილის თვე, სადაც პ. ინგოროვასა და ლ. კვირიკაშვილის მოსაზრებით, უნდა ყოფილიყო ეს გადამუშავებული საგალობელი.

ზემოთ უკვე აღინიშნა ნოემბრის თვენში 10 ნოემბრის გიორგობაზე წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ მოძიებული კანონის შესახებ, რომელსაც „ქართული“ ეწოდება. ამ კანონის შესახებ ე. გაბიძაშვილი წერს:

კახა შეკრპაჟოვის: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

„...მეორე – საგალობელი, რომელსაც სათაურში აწერია „ქართულნი“. ამჯერად თუმცა ძნელია ამ სიტყვის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ის ორიგინალური არ არის და თარგმნილია ბერძნულიდან. მიუხედავად ამისა, რაღაც ნიუანსით იგი ქართულ ეკლესიასთანაა კავშირში და ჩვენი არჩევანიც მასზე ამიტომ შევაჩერეთ“¹.

ამ პიმნოგრაფიული კანონის თითოეული ოდა შედგება ოთხისუთი ტროპარისგან. თუ ცალკეული გალობა შედგება ოთხი ტროპარისგან, მაშინ ყოველი მესამე ტროპარი ანტიერეტიკული შინაარსისაა, ხოლო თუ ხუთი ტროპარისგან შედგება, მაშინ ამგვარია ყოველი მეოთხე. ერესი, რასაც ამხელს პიმნოგრაფი, არის „მონოთელიტობა“, რომელსაც დასაბამი მიეცა ბიზანტიაში მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში – ჰერაკლე კეისრის დროს².

ისმის კითხვა: სხვა ეპოქაში მცხოვრებ პიმნოგრაფს რატომ დასჭირებოდა მოწამისადმი მიძღვნილ საგალობელში ისეთი ერესის მხილება, რომელიც უკვე სრულიად დამარცხებული იყო? გაცილებით სავარაუდოა საქმე გვქონდეს მონოთელიტური ერესი მძვინვარების მომსწრე ავტორთან. დავიმოწმებთ საგალობლიდან რამდენიმე ანტიერეტიკულ ადგილს:

„ღოცვად მართმადიდებელთა შეიწირე, ქრისტე, მოქადაულთა შენთა ორითა მით ბუნებითა და ორითა ნებითა და საქმითა აღმსარებელნი შენი აცხოვნენ მწნისა გიორგის მიერ“ („უგალობდითსა“, IV ტროპარი).

„აცხოვნე ერი შენი, ქრისტე მხოლოდშობილო, რომელი ქალწულისაგან უბიწოდსა გამოსჩნდი ჭორცითა ორითა ბუნებითა სრულითა – ღმრთებითა და კაცებითა – და მწვალებელნი დამზუქნ, ქრისტე“ („განძლიერდასა“, III ტ.).

1 გაბიძაშვილი, გვ. 24.

2 ვ. ბოლოტოვი, მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია, თბილისი, 2009, გვ. 558-624.

ა. პ. ლებედევი, მსოფლიო საეკლესიო ისტორია კრებების ისტორია, თბილისი, 2012, გვ. 315-370.

ქ. ღილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, ფრანგულიდან თარგმანი ბრეგვაძემ, თბ. 1998, გვ. 22-23.

კახა შექმაჯოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

„დამიცვენ, უფალო, და მიქსენ სიმრავლისაგან ცოდვათა ჩვენთახსა ღმერთად და კაცად შენდა მქადაგებელნი შენი შემოქმედებით და ორითა ნებითა და საქმით“ („ღაღაღყავსა“, III ტ.).

აღნიშნული საცისკრო კანონის სტრუქტურა ასეთია: პირველი ორი ან სამი ტროპარი უშუალოდ წმ. გიორგის განდიდებას ემსახურება, შემდეგი – მესამეან მეოთხე ტროპარებიანტიერეტიკული შინარსისაა, ხოლო ბოლო – მეოთხე ან მეხუთე ტროპარი კვლავ სპეციფიკურია, რაც შეესაბამება მეშვიდე საუკუნეს – ეპოქას, როდესაც მძვინვარებს მონოთელიტობა და ამას ემატება არაბთა შემოსევები ჯერ მთელ აღმოსავლეთში, შემდეგ კი თავად იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლის ასაღებად. კანონის ოდების ყოველ ბოლო ტროპარში პიმნოგრაფი მიმართავს უფალს და წმ. გიორგის ევედრება მართლმადიდებელი მეფის გამარჯვებას ისმაიტელებზე და მათგან ქალაქის დახსნას. სწორედ მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში იყო კონსტანტინოპოლი მაჰმადიანი არატების ალყაში ხუთი წლის განმავლობაში – 673 წლიდან 678 წლის ჩათვლით. ამ დროს იმპერიას განაგებდა კონსტანტინე IV (668-685)¹. მოვიტანთ საგალობლიდან რამდენიმე შესაბამის ადგილს:

„ისწრაფე, იქსენ, იესუ, ისმაიტელთაგან ერი შენი მორწმუნე მონებისაგან მათისა და მართლმადიდებელსა მეფესა ბარბაროზი დაუმორჩილენ მვნისა გიორგის მიერ“² („უგალობდითსა“, V ტ.).

„წარდევნენ წინააღმდეგომნი ისმაიტელი და იქსენ მონებისაგან ერი შენი, ნათესავნი, მაცხოვარ, სამეცნიერებელი შენი გამოიქსენ, გიორგი, მიერ ქალაქი ესე თანამეცნიოურთ დედითა“ („განძლიერდასა“, IV ტ.).

„ჯერ გიჩნ შენ, მეუფეთ, რამთა მოპშადლო მეფესა მორწმუნესა და ერსა დაცვად ქალაქის შენისა, დამდაბლებად მტერთა ჩუენთა და დაქსნად წვალებისა“ („კურთხეულარსა“, IV ტ.).

„ერი მართლმადიდებელი და მეფე აღმსარებელი, შენდა მომართ მვედრებელი, გევეღრები შენ, ქრისტე, მიქსენ ჩუენ

1 დილი შარლო, 1998, გვ. 23.

2 გაბიძაშვილი, 1991, გვ. 251.

კახა შჩერბაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ისმაიტელთაგან ბილწა და მოსრენ იგინი და ამაო ყვენ სიცბილნი მათნი“ („ადიდებდითსა“, V ტ.).

აღნიშნულ კანონში მხოლოდ ორგან გვხვდება მითითება „ურმის-თუალზე“. ესაა „აკურთხევდითსას“ III ტროპარი და „ადიდებდითსას“ I ტროპარი:

„განპბანე გუამი და სამოსელი შენი სისხლთა დათხევითა და ურმის-თუალითა, სანატრელო გიორგი, გურგუნოსანო, და აკურთხევდი ქრისტესა უკუნისამდე“.

„ქრისტეს სამწმუნოებითა მტკიცითა, გონებითა სრულითა, სასოებითა წარსდექ, წმიდაო, ურმის თულსა მას, საშინელსა სატანჯუელსა შენ, სანატრელო მვნეო გიორგი, გურგუნოსანო“¹.

როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ ეს საგალობელი წმ. გიორგი მთაწმინდელისათვის „ქართულს“ წარმოადგენს, მასში აქცენტი „ურმის-თვალზე“ კეთდება. აღბათ, ამიტომაც მიიჩნია წმ. გიორგი ათონელმა სწორად მისი დადება 10 ნოემბრის დღესასწაულზე.

რაც შეეხება მიქაელ მოდრეკილის „ნევმირებულ იადგარის“ – ეს კრებული 10 ნოემბრის გიორგობის დღესასწაულზე საგალობლების საკმაო რაოდენობას განაჩინებს, რაც, თავის მხრივ, ამ დღის განსაკუთრებულად აღნიშვნაზეც მიუთითებს.

მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ წმ. გიორგის აღნიშნულ დღესასწაულს ასე მოიხსენიებს:

„თუესა ნოემბერსა ი, წმიდისა მოწამისა გიორგისი“,

ანუ ეს დღე ამ კრებულისთვის არის ზოგადად დიდმოწამე გიორგის დღესასწაულის ხსენება.

წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაულს მიქაელ მოდრეკილთან ეძღვნება შემდეგი პიმნები:

შვიდი „უფალო ღაღადყავის“ დასდებელი, აქედან ოთხი „გიხართდენის“ ტიპისაა. ამას მოსდევს პირველი საცისკრო „განონი“². პირველ საცისკრო კანონს მოსდევს ექვსი „აქებდითის“ დასდებელი. ამის შემდეგ ისევ „განონი“ და სამი „აქებდითსა“, ბოლოს კვლავ პიმნოგრაფიული კანონი.

¹ გაბიძაშვილი, გვ. 253.

² კ. გვახარია, მიქაელ მოდრეკილის პიმნები, X საუკუნე, წიგნი II, თბ. 1978, გვ. 301-302.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს უკანასკნელი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

აღნიშნული საგალობლების შინაარსის გაცნობამ ნათელყო, რომ 10 ნოემბერი ვერ დაუკავშირდება მხოლოდ ბორბალზე წამებას, ანუ ვერ ვიტყვით, რომ ეს ხსენება მიქაელის „იადგარში“ კონკრეტულად „ურმის-თუალზე დაკვრაა“, რადგან საგალობლები გვაუწყებენ როგორც „ურმის-თვალზე დაკვრას“, ისე წმ. გიორგის აღსასრულს.

ამ დღის საგალობლებში მრავალჯერ იხსენიება „დღესასწაული“, მაგრამ ზუსტად რა შინაარსისაა ეს „დღესასწაული“, არაა დაკონკრეტებული. ამიტომ მართებული იქნება, რომ 10 ნოემბერი მოვიაზროთ „იადგარული ტრადიციით“, როგორც „დღესასწაული წმიდისა გიორგისი“, რომელიც თავის თავში მოიცავს წმ. გიორგის ყველა იმ სატანჯველს, რაც მას შეამოხვიეს. ამასთან, „იადგარში“ დაცული საგალობლები ამ დღეს მოწამის აღსასრულთანაც აკავშირებს. დავიმოწმებთ იმ ადგილებს, სადაც დიდმოწამის აღსასრულზეა საუბარი:

„შეიწირე მსხუერპლად სულად-სულნელად ზეცისა ტაბლასა..., მოწამეო, რაჟამს-იგი მიიღე შენ მახვლითა აღსრულებად¹ (აკურთხევდითსა).

„დირს იქმენ, ნეტარო, სასუფეველსა მოციქულთა თანა, მწნეო გიორგი“ („აკურთხევდითსა“).

„მწნეო შორის მოწამეთა, ღუაწლისა-მძლეო გიორგი, დღეს ყოველნი შემოკრებილნი გიგალობთ, რამეთუ სრბად აღასრულე შენ სასწმუნოებითა, ღირსო, და მთიგე ღმრთისაგან ძლევისა გვირგვინი“ (I „აქებდითი“, „სხუანის“ ფენა).

„...მოწამეო გიორგი, ვითარცა სათნმან ღმრთისამან გუნდნი ეშმაკთანი უკუნ-აქციენ და აწ ანგელოზთა თანა იხარებ“ (II „აქებდითი“).

როგორც ითქვა, საგალობლებში ნახსენებია მოწამის „ურმის-თუალზე“ წამებაც:

„გიხართდენ, ღუაწლისა-მძლეო წმიდაო გიორგი, რამეთუ შენ სიხარულით მოსწრავედ აღესრულე ასპარეზსა მას ძლევისასა

¹ გვახარია, II ტ. გვ. 303.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ცანდლითა მით რეინისადთა და ურმის-თუალითა წარმოსტყუენე
მტრისა ძლიერებად“ („უფალო ღალადყავი“, VI).

„დაამტიცე (დასთხიე? ქ. შ.) სისხლი ძლევისად, რაუამს
დაემსჭუალე შენ ურმის-თუალსა საშინელსა, გიორგი, და
ქრისტემან განგუუნა ვნებათაგან, ღირსო, და განგაძლიერა...“
(„ღალადყავი“, I).

„გუამი შენი დაჭრილი ურმის-თუალითა საზარელითა
იხილე, ღიდებულო გიორგი, ხოლო სულითა იყავ ძლიერ და
სიხარულითა ჭმა-ჰყავ, ვერ ღირს არს ვნებად ესე მერმისა მის
ღიდებისა“ (II საცისკრო კანონი, „აკურთხევდითსა“).

საინტერესოა, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარი, „ლექცი-
ონარებისა“ და ორანე-ზოსიმეს „კალენდრისაგან“ განსხვავებით,
10 ნოემბერზე სატფურებას არ იცნობს.

უშუალოდ სატფურების შინაარსის საგალობლები დადებულია
3 ნოემბერზე.

ეს თარიღი მიქაელის „იადგარში“ მოიცავს შემდეგ საგა-
ლობლებს:

სამი დასდებელი, რომლებიც შინაარსობრივად წმინდანის
წამებასა და აღსასრულს უკავშირდება. ამას მოსდევს საცისკრო
კანონი, რომელიც წმ. გიორგის ტაძრის სატფურების შინაარსისაა.

მისი ნაწილია ასევე „აქებდითსას“ სამი დასდებელი, რადგან
ისინიც სატფურებას ეძღვნება.

ამის შემდგომ კვლავ საცისკრო კანონია, რომელსაც პ.
ინგოროვა წმ. გრიგოლ ხანცოლის დაწერილად მიიჩნევდა. იგი
არაა დაწერილი ტაძრის კურთხევისათვის და ყველაზე მეტად
წმ. გიორგის აღსასრულის სსენებას ესადაგება თავისი შინაარსით,
თუმცა „ურმის-თუალი“ მასშიც იხსენიება.

ბოლოს, მოცემულია „აქებდითის“ სამი დასდებელი.

ამით მთავრდება 3 ნოემბრის საკითხავები¹.

ზემოთ უკვე აღინიშნა ჩვენ მიერ, რომ მიქაელ მოდრეკილის
„მეხურ იადგარში“ 10 ნოემბრის გიორგობას ეძღვნება სამი
კანონი. მათგან მესამე სწორედ ის საგალობელია, რომელიც წმ.
გიორგი ათონელმა „თვენის“ 10 ნოემბრის სსენებას მიუსადაგა,

¹ გვახარია, II, გვ. 295-299.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

იოანე მინჩხისა და სხვა იოანეს (სავარაუდოდ, იოანე დამასკელის) კანონებთან ერთად.

აღნიშნულ კანონს წმ. გიორგი მთაწმინდელი „ქართულს“ უწოდებს. მიქაელის „იადგარში“ მას გარკვეული ნიუანსიც გამოარჩევს: თუ პირველსა და მეორე კანონს ერთმანეთისაგან მიჯნავს „აქებდითსას“ დასდებლები, მესამე კანონს მეორისაგან მიჯნავს სათაური: „თუესა ნოემბერსა ი“. შესაძლოა, მიქაელ მოდრეკილმა გარკვეული მიზეზის გამო, გამოაცალკევა აღნიშნული სათაურით მესამე საგალობელი პირველი ორისაგან. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელმა მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ 10 ნოემბერზე დადებული სამი კანონიდან გამოარჩია ბოლო, მესამე გალობა და „ქართულნი“ უწოდა.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

წმ. დიდმოწამე გიორგის მიმართ გამოვლენილი თაყვანისცემა, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის ისტორიაში უანალოგოა. არცერთ მოღვაწეზე არ შექმნილა ისეთი დიდი ლიტერატურა, როგორც მასზე. ადრიდანვე ბიზანტიაში მისი „წამების“ რამდენიმე რედაქცია დაიწერა, რომლებიც შემდგომში გავრცელდა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულადაც, ჰიმნოგრაფიული კანონები კი ბერძნულ ენაზე რიცხვით ცამეტია. ამას ემატება, ასევე, ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში წარმოდგენილი რამდენიმე ორიგინალური ქართული საცისკრო კანონი. ცნობილია, აგრეთვე, ქრისტიან ხალხთა მიერ სხვადასხვა ენაზე დაწერილი ლექსები, პოემები და ლეგენდები¹.

მიიჩნევა, რომ წმინდა გიორგის აღიარებასა და თაყვანისცემას დასაბამი მიეცა კაბადოკიაში IV საუკუნეში, ბიზანტიაში კი მისი გავრცელება V საუკუნიდან იწყება, ხოლო VI საუკუნიდან სრული აღიარება მოიპოვა². წმ. გრიგოლ ფერაძე მიუთითებდა,

¹ XIII საუკუნეში შეიქმნა უშარმაშარი პოემა გერმანულ ენაზე, რომლის ავტორია რეინბომ ფონ დორინი. იხ. გაბიძეშეილი, გვ. 5.

² წმ. გიორგის უძველესი საღვთისმსახურო ნაგებობების არსებობა დასტურდება მცირე აზიასა და მის მოსაზღვრე შეარევებში.

კახა შექმნაკოდი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

რომ „დადიანეს“ სახელით ცნობილი წმ. გიორგის არაკანონიკური „მარტვილობა“ მცირე აზის ხალხურ-ლიტერატურული შემოქმედების ნაყოფი იყო¹. იგი, ასევე, წერდა, რომ წმ. გიორგი მთელ მცირე აზიაში სამი სახით იყო ცნობილი, ისევე როგორც საქართველოში². თუკი კაბადოკიიდან იწყება წმ. გიორგის აღიარება და თაყვანისცემა, მაშინ გამოდის, რომ ეს მოვლენა მჭიდრო კავშირშია მისი დაბადების ადგილთან.

ჩვენი წინამდებარე განხილვის მიზანი იყო წმ. გიორგის დღესასწაულების, უპირველესად კი, 10 ნოემბრის გიორგობის კვლევა უძველესი ქართული ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით.

ნათელი ხდება 10 ნოემბრის გიორგობის უძველესი, პალესტინური დღესასწაულის დაწესების მიზეზი, კერძოდ, დიღმოწამის საფლავზე აშენებული ბაზილიკის კურთხევის ანუ სატფურების ფაქტი³.

ლიტურგიკული ძეგლები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ „ურმისთუალზე დაკვრის“ სახელწოდების პირველად გაჩენის დრო და ეპოქა.

რაც შეეხება იმას, რომ წმ. გიორგისადმი თაყვანისცემის დაწყების ადგილად კაბადოკიის მიჩნევას, ეს აზრი გამართლებულია იმით, რომ იგი წარმოშობით სწორედ კაბადოკიიდან იყო, მაგრამ არ იქნება შეცდომა, თუ ამ ტრადიციული მოსაზრების გვერდით აქედან მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ თავდაპირველად წმ. გიორგის „ულოტი“ ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთით ისაზღვრებოდა. იხ. კვირიკაშვილი, გვ. 30.

1 ყოლბააა, გვ. 221.

2 ყოლბააა, გვ. 331.

3 ჭერჭერობით სამეცნიერო ლიტერატურაში 10 ნოემბრის გიორგობის დღესასწაულის დაწესებასთან დაკავშირებით კ. ქვემობის განმატებაზე საფუძვლიანი მოსაზრება არ გამოთქმულა. უძველესი ლიტურგიკული ძეგლები ანუ „ლექციონარები“ და ითანებოს „კალენდარი“ 10 ნოემბრის გიორგობას უკავშირებენ ლიდიაში წმ. გიორგის ტაძრის კურთხევის (სატფურება, ენეგნია) ლიტურგიკულ მოვლენას.

კახა შექმაჯოი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

გამოჩენდება სხვა ვარაუდებიც. უძველესი ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით წმ. გიორგის დღესასწაულების კვლევა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ისინი, ვფიქრობთ, მიუთითებენ წმ. გიორგის თაყვანისცემის დაწყების უფრო ზუსტ არეალს, ვიდრე ეს კაბადოკიაა. ბერძნული „ჟამნის“ და სხვა ბერძნული წყაროების მიხედვით, წმინდანი გადაასვენეს არა კაბადოკიაში, არამედ ლიდიაში (და შესაბამისად, პალესტინაში). შესაბამისად, მისაღები გვეჩვენება დიდმოწამე გიორგის თაყვანისცემის დასაბამად პალესტინის წმინდა მიწის მიჩნევა, რადგან ყველა დროში მოწამის ნაწილთა აღმოყვანება და გადასვენება წარმოადგენდა დიდ დღესასწაულს, ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წმინდანის ცხოველმყოფელი საფლავის ადგილმდებარეობას. ამიტომ, გამართელბული უნდა ჩანდეს წმ. გიორგის სახელთან პირველ რიგში სწორედ პალესტინის დაკავშირება, ვინაიდან თვით წმინდანმა გამოირჩია ეს მხარე თავისი წმინდა ნაწილების სამუდამო განსასვენებლად.

V-X საუკუნეების ქართული ლიტურგიკული კრებულების შესწავლის საფუძველზე ნაშრომში მოცემულია მტკიცებულებანი იმისა, რომ წმ. გიორგის „ურმის-თუალზე“ დაკვრის დღის აღნიშვნის საწყისი და საფუძველი წმ. გიორგის ფაძრის „სატფურების“ დღეა, რაც IV საუკუნეში უნდა იყოს დაწესებული პალესტინური ერუსალიმურ ქრისტიანულ წიაღში. ნაშრომში გამყარებულია კ. კეკელიძის მოსაზრება ამ დღესასწაულთან დაკავშირებით.

გარდა 23 აპრილის, 3 და 10 ნოემბრის გიორგობის დღესასწაულებისა, ნაშრომში განხილულია წმინდა გიორგის სხვა სენიებებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი იოანე-ზოსიმეს „კალენდარშა“ შემოინახა. აღნიშნულ „კალენდარში“ დაცულია მრავალმხრივ საინტერესო ცნობები, რომლებიც უძველესი პალესტინური ლიტურგიკული ტრადიციების შესწავლისათვის იშვიათ წყაროს წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანი ეხება წმ. გიორგისადმი მიძღვნილ მარხვას. აღნიშნული მარხვა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ის მიემართება არა 23 აპრილის გიორგობას (მარტვილობის დღეს), არამედ 10 ნოემბრის გიორგიწმიდობას.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

ნაშრომში განხილული და შეფასებულია წმ. გრ. ფერაძის მოსაზრებანი 10 ნოემბრის დღესასწაულთან დაკავშირებით.

ნაშრომში შესწავლილია ქართული ჰაგიოგრაფიის ის ძეგლები, სადაც საუბარია წმ. გიორგის აღნიშნული დღესასწაულის შესახებ. „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრების“ ლიტურგიკული თვალსაზრისით კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ხანცოის მონასტერში არსებობდა საგანგებო მარხვა, რომელიც ასევე 10 ნოემბრის წმ. გიორგის დღესასწაულისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი. კვლევამ აჩვენა, რომ „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ეს მარხვა და ოთანე ქართველის „კალენდარში“ აღნიშნული გიორგიწმიდობის მარხვა სხვადასხვაა, თუმცა ერთი და იმავე დღესასწაულისადმია მიძღვნილი.

ნაშრომში განხილულია წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ნოემბრის „თუენში“ შესული ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელსაც წმ. გიორგი ათონელი „ქართულს“ უწოდებს. ამ საგალობლის შინაარსის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ავტორი უნდა იყოს VII საუკუნეში მოღვაწე ანტიმონოთელიტი ბიზანტიიელი ჰიმნოგრაფი.

ძველი ქართული ლიტურგიკული, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური და აპოკრიფული წყაროების შესწავლის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული საქართველოში შემოსულია პალესტინიდან და შემოსვლის დღიდან უცვლელად და განსაკუთრებული პატივით აღინიშნება, განსხვავებით სხვა მართლმადიდებელი ეკლესიებისგან. წმ. გიორგი მთაწმინდელის მეშვეობით ცნობილი ხდება, თუ როგორი ვითარება იყო აღნიშნულ ხსენებასთან დაკავშირებით საბერძნეთის ეკლესიაში XI საუკუნის მეორე მეოთხედში. მასვე ეკუთვნის 10 ნოემბრის გიორგობის ახალი ლიტურგიკული სახელწოდება, რამაც ეს თარიღი მჭიდროდ დააკავშირა წმინდანის წამებასთან და ახლებურად წარმოაჩინა ხსენებული დღესასწაული ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ. 1973.
2. ბოლოტოვი ვ, ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში, თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო გ. გვასალიამ, თბ. 2009.
3. გაბიძაშვილი ე, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ. 2004.
4. დილი შ, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ. 1998.
5. იოანე მინჩის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, თბ. 1987.
6. კეკელიძე კ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ. 1945.
7. კეკელიძე კ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ. 1955.
8. კეკელიძე კ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ. 1957.
9. კეკელიძე კ, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960.
10. კვირიკაშვილი ლ, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები, საგალობლები გიორგი მთავარმოწამეზე, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1970.
11. ლებედევი ა, მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია, რუსულიდან თარგმნა გ. გვასალიამ, თბ. 2012.
12. მეტრეველი ე, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპეჭიგნი, თბ. 1998.
13. მეტრეველი ე, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, (XI-XVIII სს.), თბ. 1962.
14. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, რედაქტორი ე. ჭელიძე, თბ. 2001.

კახა შეკრპაკოვი: წმ. გიორგის 10 ნომებრის დღესასწაული

15. მშვილდაძე მ, ადრეული ქრისტიანობის ისტორია, თბ. 2009.

16. მიქაელ მოდრეკილის პიმნები, X საუკუნე, წიგნი II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გვახარიამ, თბ. 1978.

17. მიქაელ მოდრეკილის პიმნები, X საუკუნე, წიგნი III, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გვახარიამ, თბ. 1978.

18. მესხი თ, ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, თბ. 2015.

19. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი, ტ. IV, თბ. 1965.

20. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1956.

21. ტიბიკონი შიომღვიმის მონასტრისა, XIII საუკუნის სელნაწერის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ. 2005.

22. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს: ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკი-ევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი. 1980.

23. უტიე ბ, კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები, მრავალთავი, X, თბ. 1983.

24. ფერაძე გ, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო დ. ყოლბაიამ, ვარშავა, 2012.

25. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკი-ევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯლამაიამ, თბ. 1978.

26. ქართული ლექციონარის პარიზული ნუსხა, ტ. I, ნაწილი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხერი-ევლმა და ბ. შავიშვილმა, თბ. 1987.

27. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თარგმა და სქოლიონები დაურთო ე. ჭელიძემ, I, თბ. 2008.

კახა შეკრბაჯოგი: წმ. გიორგის 10 ნომენტის დღესასწაული

28. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-XII), დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და პ. ქავთარიამ, თბ. 1989.
29. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ. 1991.
30. ხაჩიძე ლ, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, თბ. 2012.
31. Кекелидзе К, Иерусалимский Канонарь VII века (грузинская версия), Тифлис, 1912.
32. Прот. М. Лисицын, Первоначальный славяно-русский Типикон, Санкт-Петербург, 1911.
33. Egeria's Description of the Liturgical Year in Jerusalem: Translation, Based on the translation reproduced in Louis Duchesme's Christian Worship, London, 1923.
34. Dictionnaire encyclopédique du christianisme ancien, t. I, Paris, 1990.
35. Garitte G, Le Calendrier Palestino-Géorgien du Sinaiticus 34 (X Siècle), Bruxelles, 1958.
36. Propylaeum ad Acta Sancturum Novembris, Synaxarium Constantinopolitanum, Bruxellis, Mensis November.
37. Tarchnishvili M, Scriptores Iberici Tome 13, Le Grand Lectionnaire (V-VIII s.), de L'Eglise de Jérusalem, Tome I, Edite Par, Louvain, 1960.
38. Tarchnishvili M, Scriptores Iberici Tome 13, Le Grand Lectionnaire (V-VIII s.), de L'Eglise de Jérusalem, Tome II, Louvain, 1960.
39. ΟΡΟΛΟΓΙΟΝ ΤΟ ΜΕΓΑ, ΕΚΔΟΣΙC ΤΗC ΑΠΟСΤΟΛΙΚΗC ΔΙΑΚΟΝΙAC ΤΗC ΕΚΚΛΗSIAC ΤΗC ΕΛΛΑΔΟC, „Εκδοσεις Α’ 1963, „Εκδοσεις Θ,’ 1986, „Εκδοσεις Ι’, 1991.
40. ონტერნეცსაიტი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Kakha Shcherbakovi

On the Title and History of the Feast Day of St. George on November 10 (23 November on New Style)

This work aims to study the origins of St. George's feast on November 10 and peculiarity of its celebration in Georgia.

It is known that St. George occupies a special place in the Georgian Christian culture and generally, in the consciousness of the Georgian people. The feast day of November 10 or "the torture on the wheel", as it turns out, is one of the interesting manifestations of it in such canonical branch of Georgian ecclesiastical writing as the liturgy.

Based on the study of the 5th-10th-century Georgian liturgical collections, the paper proves that the origin and ground for marking the feast of St. George's torture on the wheel is the day of Deedicate (Renovation) of St. George's church which must have been established in the 4th century within Palestinian-Jerusalem Christian bosom. The work confirms Acad. K. Kekelidze's viewpoint regarding this feast.

Besides St. George's feasts (Giorgoba) on April 23, 3 and 10 November, the work also attests other commemorations of St. George the most part of which has been preserved in „Ioane-Zosime's Calendar“. The mentioned „Calendar“ keeps the data interesting in many ways, which represent rare sources for studying the ancient Palestinian liturgical traditions. One of them refers to the fast dedicated to St. George. The mentioned fast is of particular interest, as it concerns not St. George's feast on April 23, but the feast on November 10. The fast indicated in the „Calendar“ is of Palestinian origin, as well as St. George's feast on November 10.

The paper considers and evaluates St. G. Peradze's opinion in connection with the feast on November 10.

On the basis of study the liturgical collections ("Great Synaxarion" and "Menology") under St. George the Athonite's redaction the

კახა შეკმარივი: წმ. გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული

novelty relating to this Holy Father to mark St. George's feast on November 10 in Georgian church is shown.

The paper studies those monuments of Georgian hagiography, which deal with the mentioned feast day of St. George. Based on the study of "The Life of St. Gregory Khandzeli" from liturgical viewpoint it is shown that there existed the special fast dedicated to St. George's feast on November 10 at the Khandzta monastery. The research has shown that this fast mentioned in "The Life of St. Gregory Khandzeli" and St. George's fast mentioned in "Ioane – Zosime's Calendar" are different, but dedicated to the same fast.

The paper deals with one of the hymnographic Canons included in November "Menology" under George the Athonite's redaction which is termed as „Georgian“ by him. On the basis of the study of this hymn content it can be presumed that its author must be a Byzantine hymnographer who lived and labored in the 7th century.

Based on the study of Old Georgian liturgical, hagiographic, homiletic and apocryphal sources it is shown that the feast day of St. George on November 10 came to Georgia from Palestine and unlike other Orthodox churches, it is commemorated unchanged from the day of its entry. The role of St. George the Athonite, the legislator of the Georgian church, in the establishment of this feast day is of great importance. Thanks to him it becomes known today, what the situation was like in connection with the mentioned commemoration in the Greek church in the second quarter of the 11th century. It also belongs to him the new, liturgical name of the feast of St. George on November 10, which closely linked this date with the saint's torture and showed it in a new way in the Georgian liturgical tradition.